საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№29 (311)
5 – 11 აგვისტო, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## «აჭარა თურქებს აქვთ ჩაბარებული. მთელი ეკონომიკა მათ ხელშია და ჩვენ იქ მხოლოდ სტუმრად ჩავდივართ»
6



მამა გიორგი (რაზმაძე):

## თუ ასე გაგრძელდა, აჭარასაც საბოლოოდ დავკარგავთ
7



## ზონდერები, ვეტო და შუბლის ძარღვი, ანუ ვინ გახდება ვახტანგ გომელაურის პრესმდივანი?
10



## ომი არ დაუწყია საქართველოს, ომი სააკაშვილმა დაიწყო!
5



## «აუცილებლად ციხეში უნდა გააუპატიურონ ვინმე, ხმა რომ ამოვიღოთ?»
8



„თითოეულ ოჯახს იმ რაოდენობის საქონლის შესაძენად, რამდენიც შარშან შეიძინა, სულ ცოტა, სამასი ლარით მეტის გადახდა მოუწევს. ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა“

## «გაძვირდება პური და ყველა ის პროდუქტი, რომელსაც ელექტროენერგია სჭირდება»
9

5
### ბარაკ ობამამ სირიის დაბომბვის სანქცია გასცა

WALL STREET JOURNAL
### «საქართველო დარწმუნდა, რომ დასავლეთი არც სამხედრო ძალით დაეხმარება და არც იარაღით»
2

### აგვისტოს 5 ფრაზა, ანუ არის თუ არა სააკაშვილი «ორმაგი აგენტი»
4

### გრანტიჭამია «მგლების» – იასონ ბადრიძისა და ზურაბ ბურიელიძის «მეცნიერული» მოღვაწეობით სამართალ-დამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ
11

### «ბოინგ 777»-ის განადგურების ოპერაციას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ხელმძღვანელობდა
14

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აფეთქება ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე



**აზერბაიჯანული გამოცემა apa.az-ის მიერ გავრცელებული ცნობით, აფეთქება ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე თურქეთის ტერიტორიაზე მოხდა — ყარსში.**

აფეთქებამ ხანძარი გამოიწვია, თუმცა ცეცხლის ლოკალიზება მალე მოხერხდა. ინციდენტის მიზეზები ჯერ უცნობია, როგორც ყარსის გუბერნატორი გუნაი ოზდემირი აცხადებს, მომხდარის თაობაზე დაწყებულია გამოძიება. მომხდარის გამო რეგიონში გაზის მიწოდება შეფერხებულია. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის — მარიამ ვალიშვილის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე მომხდარი აფეთქება საქართველოს გაზმომარაგებაზე გავლენას არ იქონიებს.



## შინაგან საქმეთა მინისტრად — გიორგი მღებრიშვილი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად — კახა კახიშვილი

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გიორგი მღებრიშვილი წარადგინა, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პოსტზე — კახა კახიშვილი.**

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც უწყებას უსაფრთხოების სამსახური გამოეყო და ***ვახტანგ გომელაური*** ახალშექმნილი სამსახურის უფროსად დაინიშნა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების დაწესებულება იქნება, 1 აგვისტოდან შეუდგა მუშაობას.

**გიორგი მღებრიშვილი** 1970 წლის 9 მაისს თბილისში დაიბადა; 1990-1996 წლებში დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნის სპეციალობით. მან კარიერა 1997 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში სტაჟიორად დაიწყო; ამის შემდეგ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე; იყო ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული; 2014 წლიდან დღემდე იკავებდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პოსტს; ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს; ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**კახა კახიშვილი** 2014 წლიდან დღემდე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილეა. ის, ასევე, არის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ექსპერტთა კლუბის წევრი.

კახა კახიშვილი დაიბადა 1973 წლის 22 მარტს; დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; კარიერა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ისნის რაიონის შსს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურში პოლიციელის თანამდებობაზე; შემდეგ მუშაობდა პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე; იყო პროკურატურის წარმომადგენელი ევროპის საბჭოში. კახა კახიშვილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებდა ადამიანის უფლებების დაცვის დარგში; ასევე იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების უფროსი; სახალხო დამცველის რწმუნებული სამართალდამცავ ორგანოებში; კასპის, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი; საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი; არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ სამართლებრივი დირექტორი; ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს; ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## WALL STREET JOURNAL
## საქართველო დარწმუნდა, რომ დასავლეთი არც სამხედრო ძალით დაეხმარება და არც იარაღით

**გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემა The Wall Street Journal-მა საქართველოზე გამოაქვეყნა ვრცელი მასალა, რომლის ფრაგმენტიც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“ გაავრცელა:**



„უკრაინის ომმა ქართველები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოში, დასავლეთი მათ სამხედრო ძალით არც ახლა დაეხმარება და არც იარაღს მისცემს თავის დასაცავად. უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკონომიკურადაც გამოიხატა: საქართველომ მკვეთრი ევროატლანტიკური კურსის კორექტირების კვალობაზე რუსეთთან სავაჭრო კავშირების აღდგენა გადაწყვიტა; სამაგიეროდ მას რუსეთმა ემბარგო მოუხსნა. „ნატოში გაწევრება არც დღეს და არც ხვალ არ მოხერხდება. რატომ უნდა შევუქმნათ ადამიანებს ილუზია?“ — მოჰყავს გამოცემას საქართველოს პრემიერმინისტრის სპეცწარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — **ზურაბ აბაშიძის** სიტყვები.

The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ სტატიას გამოეხმაურა რუსული საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“, რომელიც წერს, რომ ეკონომიკურმა პრობლემებმა და უსაფრთხოების საკითხებმა საქართველო აიძულა, კვლავ რუსეთისკენ შეტრიალებული იყო. წლების განმავლობაში საქართველოს პროდასავლური კურსი ჰქონდა, რომელსაც რუსეთთან ჯერ ურთიერთობის გაცივება, ხოლო 2008 წლის შემდეგ სრული გაწყვეტა მოჰყვა. ახლა კი საქართველოს მთავრობა ცდილობს, გარკვეული გზა იპოვოს მეზობელთან ურთიერთობის დასაბალანსებლად. ამასთანავე, ნატოში გაწევრება გრძელვადიან გეგმად რჩება, მაგრამ, აბაშიძის აზრით, აქამდე საქართველო **„ისე არ უნდა მივიდეს, რომ საკუთარი ქვეყნისგან ქვა ქვაზე არ დატოვოს“.**

**«საქართველომ მკვეთრი ევროატლანტიკური კურსის კორექტირების კვალობაზე რუსეთთან სავაჭრო კავშირის აღდგენა გადაწყვიტა, სამაგიეროდ, მას რუსეთმა ემბარგო მოუხსნა. «ნატოში გაწევრება არც დღეს და არც ხვალ არ მოხერხდება. რატომ უნდა შევუქმნათ ადამიანებს ილუზია?» — მოჰყავს გამოცემას საქართველოს პრემიერმინისტრის სპეცწარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძის სიტყვები**

„საქართველოს სპეცწარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე თვლის, რომ ქვეყნის მოსახლეობა არ უნდა იქნას შეყვანილი შეცდომაში: „რა საჭიროა ილუზიები, ჩვენ არავინ გვიცავს, რაც სრულად ასახავს ამ პრობლემური რეგიონის რეალობას“, — წერს „რია ნოვოსტი“.

## ებრაელი ჟურნალისტი: სააკაშვილს ხან ნავსადგურში ვხედავდი, ხან — ველოსიპედზე, ბოლოს კი კაბინეტში დალაქავებულ სპორტულ მაისურში გამოწყობილი დამხვდა



**„მიხეილ სააკაშვილი ოდესაში ტრიათლეტივით (სპორტსმენი, რომელიც დაკავებულია ტრიატლონით — რედ.) დარბის. მას ხან ნავსადგურში ვხედავდი, სადაც მოსახლეობას კორუფციასთან ბრძოლაზე ესაუბრებოდა, ხან — ველოსიპედზე მჯდარს, შემდეგ კი უკვე გუბერნატორის კაბინეტში დაჭმუჭნილ და დალაქავებულ სპორტულ მაისურში გამოწყობილი დამხვდა. 47 წლის საქართველოს ექსპრეზიდენტი პოლიტიკურ სცენაზე თავისი უცნაური დაბრუნებით ტკბებოდა“, — წერს გაზეთ „ჰაარეც“-ის ჟურნალისტი.**

ავტორი ვრცლად გადმოგვცემს მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ დეტალებს, როგორც ოდესის ოლქის გუბერნატორის რანგში, ასევე იმ პერიოდშიც, როცა იგი საქართველოს პრეზიდენტი იყო.

„უკრაინაში საოცარი ამბები ხდება“, — იცინის ერთ-ერთი ოდესელი, რომელსაც ვერ აუხსნია, რატომ დაინიშნა მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად ან რისთვის დარბის ამდენს ქუჩაში. ოდესამდე მიხეილ სააკაშვილს თბილისში შევხვდი შვიდი წლის წინათ, როცა მან რუსეთთან ომის შემდეგ ისრაელიდან ჩამოსული ჟურნალისტები თავისთან მიიწვია იმის საჩვენებლად, რომ, მიუხედავად რუსეთის შეჭრისა და ისრაელის სამხედრო დახმარების შეჩერებისა („რუსეთის ზეწოლის გამო“), მისი მთავრობა კვლავ ინარჩუნებდა ძალაუფლებას. არადა, მისი დამხობა, ერთი შეხედვით მართლაც გარდაუვალი იყო — მოსკოვმა მწვავე პასუხი გასცა მიხეილ სააკაშვილისა და ქართული არმიის მცდელობას, სამხრეთ ოსეთის ტერიტორია სეპარატისტებისგან გაეთავისუფლებინა. რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს სიღრმეში გადაადგილდებოდნენ, რუსული ტანკები კი თბილისიდან 50 კილომეტრის დაშორებით იდგნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმის შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი წაართვა, მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლება კიდევ ხუთი წლის განმავლობაში შეინარჩუნა! თუმცა, რაც დრო გადიოდა, პრეზიდენტის დიდება თანდათან მკრთალდებოდა — მმართველობის სტილი სულ უფრო ავტორიტარული ხდებოდა, რამაც, საბოლოო ჯამში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტიის დამარცხება გამოიწვია. პრეზიდენტობის ვადის ამოწურვიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა“, — წერს ებრაელი ჟურნალისტი.



## დავით ნარმანია:
## სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 19 მილიონი ლარია აკუმულირებული

**თბილისის მერის თქმით, 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის დახმარების პროცესი სოციალური სამართლიანობის დაცვით მიმდინარეობს.**

„19 მილიონ ლარამდე არის აკუმულირებული იმ მოსახლეობის მხარდასაჭერად და მათთვის ბინების შესაძენად, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზარალდნენ. შესაბამისად, ეს პროცესი სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვით მიმდინარეობს. ვინც ნახა და შეარჩია შესაბამისი ბინები, მათი ნაწილი უკვე დაკმაყოფილებულია. პროცესი მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უკრაინელთა 61 პროცენტი ქვეყნიდან გაქცევაზე ოცნებობს




**უკრაინელთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, როგორ დატოვოს ქვეყანა. ამ დასკვნამდე მივიდა ორგანიზაცია TNS on-line Track-ი უკრაინაში სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარების შემდეგ.** ბოლო 6 თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ უკრაინელთა რაოდენობა, რომლებიც სხვა ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად წასვლაზე ოცნებობს. ასეთი ადამიანები განსაკუთრებით ბევრია კიევში. ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრებთ სურთ, ქვეყანა დროებით დატოვონ. უკრაინელთა 15 პროცენტს ქვეყნის დატოვება სამუდამოდ უნდათ, 10 პროცენტს — ვითარების გამოსწორებამდე, 36 პროცენტი კი საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვს.

FT FINANCIAL TIMES

# უკრაინის არმია დემორალიზებულია და ხელისუფლების ნდობას კარგავს

## «ისინი თავს საზარბაზნე ხორცად მიიჩნევენ ამ მინავლებულ ომში»

**უკრაინის არმიის ჯარისკაცები, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში მსახურობენ, პრეზიდენტისა და მთავრობისადმი ნდობას კარგავენ, — წერს ბრიტანული გამოცემა Financial Times-ი.**



უკრაინელი სამხედროები, რომლებსაც გამოცემის კორესპონდენტი ესაუბრა, უკმაყოფილებას ვერ მალავენ ცუდი მომარაგების გამო და პრეზიდენტს წარუმატებელი პოლიტიკის წარმოებაში ადანაშაულებენ, რომლის შედეგადაც შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხშირად ირღვევა.

„რატომ არ მოდის პრეზიდენტი აქ? საკუთარი თვალით ნახავდა, რა ცუდად გვამარაგებენ", — მოჰყავს Financial Times-ს ერთ-ერთი ჯარისკაცის სიტყვები. „პოროშენკო ამჯობინებს კონფლიქტის ზონიდან შორს მდებარე პოლიგონების მონახულებას და იარაღის ახალი სახეობების შემოწმებას, რომლებიც ჯერაც არ გამოუგზავნიათ ფრონტის ხაზზე", — ამბობს სამხედრო.

ბრიტანული გამოცემის კორესპონდენტის აზრით, ასეთი განწყობა ტიპურია უკრაინის არმიისთვის. **„ისინი თავს საზარბაზნე ხორცად მიიჩნევენ ამ მინავლებულ ომში",** — წერს ბრიტანელი ჟურნალისტი.

პოროშენკომ არაერთხელ დაიჩივლა, რომ ვაშინგტონი უარს ეუბნება კიევს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების (javelin) მიწოდებაზე, თუმცა უკრაინელ ჯარისკაცებს აქამდე არ მიუღიათ ადგილობრივი წარმოების რაკეტები, — აღნიშნავს ბრიტანული გამოცემა.

„დონბასში მებრძოლი ბევრი ჯარისკაცი აღტაცებულია ექსტრემისტული ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორით", რომლის ლიდერმაც გასულ კვირაში მოსახლეობას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და ახალი რევოლუციისკენ მოუწოდა. ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი ნდობა იკლებს არა მხოლოდ არმიაში, არამედ, საერთოდ, საზოგადოებაში. კიევის სოციოლოგიის ინსტიტუტის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგების მიხედვით, პრეზიდენტ პოროშენკოს მხარს უჭერს ამომრჩეველთა მხოლოდ 14,6%, პრემიერ იაცენიუკს — 1,3%; ამის მიზეზი კი არის გაჭიანურებული ომი, ეკონომიკური დეპრესია და ნელი რეფორმები. ამასთანავე, მთავრობის მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი უკიდურესად არაპოპულარულია. მაგალითად, ტარიფების 4-ჯერ გაზრდა კომუნალურ გადასახადებზე, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობა იყო ფინანსური დახმარების სანაცვლოდ. ეს უმძიმესი ტვირთი აღმოჩნდა უკრაინელი პენსიონერებისთვის", — წერს Financial Times-ის კორესპონდენტი.

> **«დონბასში მებრძოლი ბევრი ჯარისკაცი აღტაცებულია ექსტრემისტული ორგანიზაცია «მემარჯვენე სექტორით», რომლის ლიდერმაც გასულ კვირაში მოსახლეობას მთავრობისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისა და ახალი რევოლუციისკენ მოუწოდა. ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი ნდობა იკლებს არა მხოლოდ არმიაში, არამედ, საერთოდ, საზოგადოებაში. კიევის სოციოლოგიის ინსტიტუტის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგების მიხედვით, პრეზიდენტ პოროშენკოს მხარს უჭერს ამომრჩეველთა მხოლოდ 14,6%, პრემიერ იაცენიუკს — 1,3%»**



მილოშ ზემანი:

# ევროპას ლტოლვილების ნაკადი რომ მოაწყდა, დამნაშავე აშშ და ევროპის ზოგიერთი ქვეყანაა

**„ევროპას რომ ლტოლვილების ნაკადი მიაწყდა, დამნაშავეა აშშ და ევროპის ის ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობდნენ სირიის, ლიბიისა და ერაყის წინააღმდეგ მიმართულ უგუნურ აქციებში", — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა.**

„მიგრაციის ამჟამინდელი ტალღა (ევროპაში) წარმოიქმნა გიჟური იდეის შედეგად — შეჭრილიყვნენ ერაყში, სადაც თითქოს ინახებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. ის, აგრეთვე, წარმოიქმნა გიჟური იდეის შედეგად, დაემყარებინათ წესრიგი ლიბიაში, შემდეგ — სირიაში. ამ მოქმედებების კვალდაკვალ დასახელებულ ქვეყნებში აღმოცენდა ტერორისტული რეჟიმები, რომლებსაც მოჰყვა ლტოლვილების უზარმაზარი ნაკადი, რომელიც ევროპას მოაწყდა. ამ ყველაფერში ბრალი მიუძღვის არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანასაც, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებდნენ ლიბიის წინააღმდეგ", — განაცხადა მილოშ ზემანმა პრაღულ ინტერნეტპორტალ „ბლესკისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მილოშ ზემანს განზრახული აქვს შემოდგომაზე გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა. მას სურს, აღდგეს გაეროს ე.წ. ცისფერი ჩაფხუტების სისტემა — ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ერთობლივი ქვედანაყოფები, მაგრამ ახლა, ჩეხეთის პრეზიდენტის აზრით, ეს ქვედანაყოფები უნდა დაკომპლექტდეს სპეციალური ძალების სამხედრო მოსამსახურეებით და მათ უნდა დაეკისროთ არა მშვიდობისმყოფელთა ფუნქციები, არამედ მიეცეთ ტერორისტების ბაზების ლიკვიდაციის უფლება.

ასიათასობით მიგრანტის ბედის გამო შექმნილმა კონფლიქტმა ევროკავშირის შიგნით განხეთქილება გამოიწვია — ევროკავშირის ქვეყნები აქამდე ვერ შეთანხმდნენ, როგორ უნდა გაანაწილონ 40 ათასი ლტოლვილი, რომლებიც უკვე ჩავიდნენ საბერძნეთსა და იტალიაში და კიდევ 20 ათასს ელოდებიან.

# როცა ტაბურეტი სჯობს დანას

## იერუსალიმში გეიაღლუმი სავალალოდ დასრულდა — დაჭრილია 6 ადამიანი

**დასავლელი, კერძოდ, ამერიკელი ე.წ. ლიბერალებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული მედიასაშუალებების გააფთრებული პროპაგანდის მიუხედავად, აშშ-ის სტრატეგიულად მოკავშირე ქვეყნებში ბევრია ადამიანი, რომელთათვისაც პედერასტია მიუღებელია. ისინი, ქართველებისგან განსხვავებით, თავიანთ მრისხანებას არა ტაბურეტებით, არამედ ცივი იარაღით გამოხატავენ; ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ტაბურეტი სჯობს დანას...**





30 ივლისს იერუსალიმში ჰომოსექსუალთა ე.წ. სიამაყის აღლუმი, რომელიც 2009 წლის აგვისტოში ახალგაზრდულ გეიცენტრში მომხდარი მკვლელობიდან 2 წლისთავზე გაიმართა, სისხლიანი ინციდენტით დასრულდა.

დანით შეიარაღებული მამაკაცი თავს დაესხა გეიაღლუმის მონაწილეებს და 6 ადამიანი დაჭრა, ორი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. რომ არა სამართალდამცავების სწრაფი რეაგირება, დაშავებულთა რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა და, სავარაუდოდ, თავდასხმას მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

ჰომოსექსუალებს თავს დაესხა ეროვნებით ებრაელი **იშაია შლისელი**. როგორც გაირკვა, ანალოგიური თავდასხმა მან 2005 წელსაც განახორციელა და აღლუმის 3 მონაწილე დაჭრა. შლისელს 12 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ 10 წელი იჯდა — უმაღლეს სასამართლოში აპელაციის შემდეგ ვადა შეუმცირეს და სამი კვირის წინათ გამოვიდა ციხიდან.

ლგბტ-თა მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები სამი რელიგიისთვის წმინდა ქალაქს შეურაცხყოფენ.





# ხარკოვში სატანისტებმა ხატები წაბილწეს

**3 აგვისტოს, ღამით ხარკოვის ერთ-ერთ უბანში განლაგებული ხატები სატანური სიმბოლოებით წაბილწეს.**

უცნობმა პირებმა წმინდანების გამოსახულებას მიახატეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რიცხვი 666 და მიაწერეს Ave Satana.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რატომ ტოვებს ორმაგი ინტერესის აშკარა კვალს სააკაშვილის ნაბიჯები? რატომ იკვეთება მის საქციელში როგორც ამერიკის, ასევე რუსეთისთვის სასარგებლო შტრიხები? პასუხი მარტივია: ეს იმის გამო ხდება, რომ ამერიკისა და რუსეთის ინტერესები კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში თანხვედრილია! ამ ორი ქვეყნის უპირველესი ინტერესი საქართველოს დასუსტება, დაკნინება, დაჩანაკებაა; შემდგომ კი ერთმანეთში გაარკვევენ, ვის რა ნაწილი და რომელი მსუყე ლუკმა ერგება ჩვენი ქვეყნისა!**

# აგვისტოს 5 ფრაზა, ანუ არის თუ არა სააკაშვილი «ორმაგი აგენტი»

**7 წელიწადია, ნებისმიერი ნორმალური ქართველისთვის 8 აგვისტო ავადსახსენებელი დღეა. როგორც ამბობენ, ჩვენს იმჟამინდელ „სახელოვან“ მთავარსარდალს, რომელსაც თარიღების დამთხვევის მანია, დიდი ხანია, აწუხებს, სურდა, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვების თარიღისთვის დაემთხვია ცხინვალის რეგიონის დედასამშობლოსთვის დაბრუნება და ამით ცოცხალი პარალელი გაევლო საკუთარ თავსა და დიდგორის მომგებ უდიდეს მეფეს შორის.**



**ადგნენ და ყველაფერი უტიფრად მხოლოდ სააკაშვილს გადააბრალეს. სინამდვილეში კი არც იმჟამინდელ «წამყვან ოპოზიციურ ძალას», რომელიც დღეს ხელისუფლების ორივე შტოშია მოკალათებული და მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი დღეს თავდაცვის მინისტრია, ნამდვილად არ მიუძღვის ნაკლები წვლილი საზოგადოებაში იმ აზრის დანერგვაში, რომ «რუსეთის არმია დემორალიზებულია, მისი ტანკები დაჟანგულია და ნატოს უახლესი სტანდარტებით გაწვრთნილი ქართული ჯარი სულ კუდით ქვას ასროლინებს მტერს!»**

ვიცი, ახლა ბევრი იტყვის, — რას ამბობ, კაცო, სააკაშვილს სულაც არ სურდა ცხინვალის დაბრუნება, ის, უბრალოდ, ავანტიურაზე წავიდა, რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი, რადგანაც ორმაგი აგენტია — ამერიკის დავალებებსაც ასრულებს და რუსეთისასაცო. დღევანდელი სტატიაც სწორედ ამ საორჭოფო თემას შეეხება, ანუ იმას, მიხეილ სააკაშვილი ორმაგი აგენტია თუ ორმაგი სულელი...

ორმაგი აგენტი მაშინ არის ადამიანი, როდესაც ორივე მხარეს მეტ-ნაკლებად ატყუებს და პირადი ინტერესისთვის იყენებს.

**როცა პირიქით ხდება, ანუ მაშინ, როდესაც ორივე მხარე ამ ადამიანს იყენებს და საბოლოოდ ყველაფერი მისი „გაფარჩაკებით“ მთავრდება, ასეთ შემთხვევაში ეს ადამიანი, „აგენტი“ კი არა, სულელია!**

მაგალითად, წოდება „აგენტი“ შეიძლება გავიმეტოთ **ედუარდ შევარდნაძისთვის, მიხეილ სააკაშვილი** კი არის ელემენტარული ტუტუცი, რომლითაც თავის დროზე ჩაანაცვლეს მართლაც „აგენტი“ შევარდნაძე.

ყურადღება მიაქციეთ — ორივე შემთხვევაში ლაპარაკიც კი არ არის „სამშობლოს სიყვარულზე“ ან რაიმე მსგავს ამაღლებულ ცნებაზე. აქ საუბარია, უბრალოდ, პიროვნებაზე, მის ღირსებასა და თავმოყვარეობაზე!

ადამიანი, რომელსაც შეიძლება, მაინცდამაინც არ უყვარდეს სამშობლო, მაგრამ უყვარდეს საკუთარი თავი, არ დაუშვებს, პიროვნულად „გაბანძდეს“ და თავმოყვარეობა შეელახოს. ასეთად შეგვიძლია ამ შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძე მივიჩნიოთ.

აი, სააკაშვილი კი ისეთი ადამიანების გატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც არც სამშობლო უყვარს, არც საკუთარი თავი, არც ღირსება აქვთ, არც თავმოყვარეობა და გარკვეული ამპარტავნული გათვლით, თუკი სახელს, დიდებასა და ფულს შეჰპირდებით, შესაძლოა, ისე დაბრმავდეს, ისე ახუნტრუცდეს და ისეთი იდიოტური ნაბიჯები გადადგას, რომ არა მხოლოდ სამშობლოს დაუშავოს რამე, არამედ საკუთარი პიროვნების „გაფარჩაკებამდეც“ მივიდეს.

და როდესაც ვიხსენებ 2008 წლის აგვისტოს იმ ავადსახსენებელი 5 დღის პერიპეტიებს, მანამდე ცოტა ხნით ადრე თუ შემდეგ მალევე განვითარებულ მოვლენებს, უფრო და უფრო ვრწმუნდები — **სააკაშვილმა „ორმაგი აგენტის“ ფუნქცია კი არ შეასრულა, არამედ, უბრალოდ, ის ორმაგად „დააგოიმეს“ და მისი „ყვარყვარული“ ბუნება შესანიშნავად გამოიყენეს.**

ამას ყველაზე ნათლად ადასტურებს ის 5 ფრაზა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს აგვისტოს კონფლიქტს, ანუ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალწლიანი დაძაბულობის ერთ-ერთ საომარ ეპიზოდს ეხება.

ამ ფრაზებიდან ზოგი ამ 5-დღიან ომამდე ცოტა ხნით ადრეა ნათქვამი, ზოგი — უშუალოდ ომის დროს და ზოგიც — ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ხუთივე ზუსტად და თანმიმდევრულად ასახავს, რა უბედურებაში ვიყავით საქართველოს მოსახელობა და როგორი „ბრძენი“ მესაჭეები ჰყავდა ჩვენს ქვეყანას.

მაშ, ასე:

**1. „ლავროვის ხისტი და მუქარის შემცველი განცხადება ევროკავშირის მისამართით, მიანიშნებს რომ პუტინი ძალიან შეშინებულია“ (გრიგოლ ვაშაძე,** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი);

**2. „გადავხედე რუსულ ინტერნეტსაიტებს და ფაქტია, რომ რუსები ვერ გაბედავენ და არც აპირებენ ჩვენზე სამხედრო დარტყმას“ (ლადო გურგენიძე,** საქართველოს პერემიერმინისტრი);

**3. „ტელეფონით დავუკავშირდი კულახმეტოვს, მან მითხრა, რომ ოსები მას არ უჯერებენ, არ უსმენენ და ამიტომ მას აღარ აინტერესებს ცხინვალი საერთოდ, ახლა ვჯდები მანქანაში და შევდივართ ცხინვალში“ (თემურ იაკობაშვილი,** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში);

**4. „ხალხო! იცით, თურმე რამდენი ყოფილან ეს რუსები? რა რაოდენობის სამხედრო ტექნიკა ჰქონიათ? კუდი რომ ჯერ კიდევ როკის გვირაბთან იყო, თავი უკვე გორს უახლოვდებოდა (გიგი უგულავა,** თბილისის მერი);

**5. „არ გვეგონა, რომ რუსეთი სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა! მაგათ რომ თვითმფრინავებით არ დავებომბეთ, ჩვენ მოვიგებდით!“ (დავით კეზერაშვილი,** საქართველოს თავდაცვის მინისტრი).

საკმარისია?

თუ ამას დავამატებთ იმ პერიოდისთვის საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას **„რუსული ჟანგიანი ტანკებისა“** და **„ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ულტრათანამედროვე ქართული ჯარის“** შესახებ, საკმარისიც არის და, სამწუხაროდ, გაცილებით მეტიც!

სხვათა შორის, აი, ეს ბოლო მოსაზრება ისე იყო გავრცელებული, რომ შეუძლებელია, ვინმეს მასზე „საავტორო უფლება“ მიანიჭო. ამ სრულ სისულელეს არა მხოლოდ მიშა და მისი მთავრობა, არამედ იმჟამინდელი ოპოზიციის წარმომადგენლებიც სრული სერიოზულობით ამბობდნენ ხოლმე ერთ-ორ „კინკილა“ ოპოზიციურ ტელევიზიაში სტუმრობისას...

ეს უკვე მერე, უმძიმესი შედეგების გამო დაივიწყა ყველამ, რომ თვითონაც აქეზებდნენ ჩვენს საზოგადოებას შეიარაღებული კონფლიქტისკენ და სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ საქართველო შეძლებდა რუსეთისთვის ომის მოგებას. **ადგნენ და ყველაფერი უტიფრად მხოლოდ სააკაშვილს გადააბრალეს. სინამდვილეში კი, არც იმჟამინდელ „წამყვან ოპოზიციურ ძალას“, რომელიც დღეს ხელისუფლების ორივე შტოშია მოკალათებული და მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი დღეს თავდაცვის მინისტრია, ნამდვილად არ მიუძღვის ნაკლები წვლილი საზოგადოებაში იმ აზრის დანერგვაში, რომ „რუსეთის არმია დემორალიზებულია, მისი ტანკები დაჟანგულია და ნატოს უახლესი სტანდარტებით გაწვრთნილი ქართული ჯარი სულ კუდით ქვას ასროლინებს მტერს!“**

დიახ, ეს ასეა და, ვისაც არ სჯერა, კარგად გადახედოს ხსენებული ტელევიზიების 2008 წლის ივნის-ივლის-აგვისტოს „თოქ-ოუების“ არქივს!

რაც შეეხება სააკაშვილსა და მის მთავრობას, მათ, რა თქმა უნდა, თავისი უტვინობაც ეყოფათ, რისი დასტურიც, აი, თუნდაც ზემოთ მოყვანილი ის ხუთი ფრაზაა...

რა თქმა უნდა, დრო, სიტუაცია და მასშტაბები სულ სხვაა, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ომი და:

**1. უინსტონ ჩერჩილი** აცხადებს: „რიბენტროპის მუქარა ევროპის მისამართით მიანიშნებს, რომ ჰიტლერი ძალიან შეშინებულია“;

**2. ფრანკლინ რუზველტი** აცხადებს: „მე გადავხედე გერმანულ პრესას, მოვუსმინე გერმანულ რადიოს და ისინი არ აპირებენ ომის დაწყებას ჩვენ წინააღმდეგ“;

**3. გენერალი ეიზენჰაუერი** ამბობს: „მე დავუკავშირდი ფელდმარშალ კაიტელს და ის ამბობს, რომ პოლონელები მას არ უსმენენ და ამიტომ სულ არ აინტერესებს ვარშავა. ახლა ვჯდები მანქანაში და მივდივარ ვარშავაში“;

**4. სტალინი** მიმართავს ხალხს რადიოთი: „ხალხო! იცით, რამდენი სამხედრო ტექნიკა ჰყოლიათ გერმანელებს? აი, ბოლო რომ ჯერ კიდევ ბრესტთან იყო, თავი უკვე მოსკოვს უახლოვდებოდა“;

**5.** გენერალი **შარლ დე გოლი** უმტკიცებს ფრანგ ხალხს: „ჩვენ არ გვეგონა, თუ გერმანია სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა! მაგათ რომ თვითმფრინავებით არ დავებომბეთ, ჩვენ მოვიგებდით“.

წარმოიდგინეთ, აი, ასეთი „კომბოსტოსთავიანი“ მმართველები რომ ჰყოლოდა მსოფლიოს მაშინდელ მოწინავე ქვეყნებს, რას უზამდა და როგორ გადაუვლიდა ადოლფ ჰიტლერი და მთელი მისი ფაშისტური ხროვა მსოფლიოს!

მაგრამ იმხანად მსოფლიო გადარჩა...

საქართველო 2008-ში კი — ვერა!

რაღა თქმა უნდა, სრული აბსურდი და მორიგი სიჩლუნგეა იმის მტკიცება, თითქოს პუტინს თბილისში შემოსვლა და სააკაშვილის გადაგდება უნდოდა და ვერ შემოვიდა...

ჩვენი ქვეყანა ვერც მომავალში გადარჩება, სამწუხაროდ, თუ სააკაშვილისა და მისი გუნდისნაირ ჩლუნგებს „ორმაგი აგენტები“ ვუძახეთ და არა სრულიად უტვინო ყვარყვარეები!

მაშ, **რატომ ტოვებს ორმაგი ინტერესის აშკარა კვალს სააკაშვილის ნაბიჯები? რატომ იკვეთება მის საქციელში როგორც ამერიკის, ასევე რუსეთისთვის სასარგებლო შტრიხები?**

პასუხი მარტივია: **ეს იმის გამო ხდება, რომ ამერიკისა და რუსეთის ინტერესები კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში თანხვედრილია!**

განა საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ასე არ იყო?!

ძალიან შორსაც რომ არ წავიდეთ, განა რუსეთ-ირანის დაპირისპირება თავის დროზე სწორედ ასეთ ხასიათს არ ატარებდა?!

ორივე მხარე ცდილობდა, რაც შეიძლება დასუსტებულიყო საქართველო, დაყოფილიყო სამთავროებად, დაჩაჩანაკებულიყო და დამოუკიდებლად მოქმედების თავი აღარ ჰქონოდა!

თუმცა, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მსოფლიოსი არ იყოს, მაშინაც გადარჩა საქართველო; გადარჩა მართლაც ბრძენი მამულიშვილების გაბედული, გააზრებული და ფრთხილი ნაბიჯების წყალობით. გადარჩა ჩვენი ერი ფიზიკურად...

დღეს? — მართალია, აღარ გვყავს ყვარყვარე, რომელსაც ამერიკელები „სახელის, დიდებისა და ფულის მოხვეჭის“ დაპირებით ნებისმიერ სულელურ ნაბიჯს გადაადგმევინებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერც დღევანდელი ხელისუფლება დაიკვეხნის მკაცრად და გადაჭრით ჩამოყალიბებული რაიმე დოქტრინით.

ჯერაც ზენიტშია პოპულიზმი და მთავრობა ცდილობს, ანდრო ბარნოვისა და მისნაირების მოსაწონად იმოქმედოს და ილაპარაკოს და არა ისე, როგორც ეს რეალურად სჭირდება ქვეყანასა და ხალხს!

მართლაც ძნელი სათქმელია, სად მიგვიყვანს „ავტოპილოტის“ რეჟიმით ქვეყნის მართვა...

სამაგიეროდ, შეგვიძლია, ზუსტად ვთქვათ, რომ **12 აგვისტო** ახლოვდება; **დღე, რომელიც ქართველთა ისტორიაში, ყველაზე დიდი სამხედრო გამარჯვების ნაცვლად, ყველაზე უტვინო სამხედრო ავანტურის სამარცხვინო დასასრულის დღედ გვიქციეს...**

**„სააკაშვილი დასავლელმა პარტნიორებმა წააქეზეს, უბრალოდ, იმედი მისცეს და შემდეგ „გადააგდეს“ ან რატომღაც უკან დაიხიეს. ისევე, როგორც ეს უკრაინაში მოხდა და შემდეგ უკრაინა რუსეთის წინაშე მარტო აღმოჩნდა. მოგვიანებით კი ამბობდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ყოველთვის ვეუბნებოდით სააკაშვილს, არ იომოო, მაგრამ იმ დონის გიჟი არ იყო სააკაშვილი, თავისი სიცოცხლე და ქონება სასწორზე შეეგდო და ეფიქრა, რომ ქართველები რუსებს ომს მოვუგებდით. ჟანგიანი ტანკები ჰყავდათ რუსებსო, რომ ამბობდნენ, იმდენი არიან, ჩექმები რომ გვესროლონ, მოგვერევიან“**

შვიდის წლის შემდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სოსო ზექალაშვილი:

# ომი არ დაუწყია საქართველოს, ომი სააკაშვილმა დაიწყო!

**აგვისტოს ომიდან 7 წელი გავიდა, მაგრამ რთულია იმ საშინელების დავიწყება, რომელიც საქართველომ 2008 წლის აგვისტოს იმ უმძიმეს დღეებში განიცადა. როგორი იყო ეს ომი ერთი რიგითი გორელის თვალით, „საქართველო და მსოფლიოს“ სოსო ზექალაშვილი მოუთხრობს.**



**— ბატონო სოსო, რა ვითარება იყო ომის წინა დღეებში გორში, იგრძნობოდა თუ არა ომის დაწყების საფრთხე?**

— რა თქმა უნდა, იგრძნობოდა. მახსოვს, 8 აგვისტოს წინა დღეებში ქართული სამხედრო ეშელონები გადაადგილდებოდნენ. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, რატომღაც ერიდებათ თქმა, ვინ დაიწყო ომი. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, ომი დაიწყო სააკაშვილმა თავისი ქალაქის მასირებული დაბომბვით. **ომი არ დაუწყია საქართველოს, რადგან ეს არ ყოფილა ოფიციალურად საქართველოს პარლამენტის ან მთავრობის გადაწყვეტილება. ეს იყო სააკაშვილის პირადი გადაწყვეტილება, მისი ახირება.**

8 აგვისტოს დილას, რომელიც ოფიციალურად ითვლება სამხედრო ოპერაციის დაწყების თარიღად, 4 საათის განმავლობაში ცა სულ წითელი იყო...

**— წინა ხელისუფლება თავს იმართლებდა, წინა დღეებში საწინააღმდეგო მხრიდანაც იყო სროლები და პროვოკაციებიო...**

— სიცურეა, რომ ამბობენ, პროვოკაციები იყო და ომი იმიტომ დაიწყოო, რადგან ეს სროლები და პროვოკაციები 1990-იანი წლებიდან არ წყდებოდა. თითო-ოროლა გასროლა ყოველთვის ხდებოდა. ჩნდება კითხვა: **თუ ასეთი რაღაც ხდებოდა და წინა დღეებში ქალაქი იბომბებოდა, რატომ არავინ გამოვიდა ჩვენი ხელისუფლებიდან ოფიციალური განცხადებით — რუსები შემოგვესივნენ და გვბომბავენო?** მერე ხომ ატყდა ამბავი და მოუწოდებდნენ ყველას, საერთაშორისო საზოგადოებას, — გვიშველეთო?! მაგრამ პირიქით კეთდებოდა განცხადებები, რომ, აი, ცხინვალი ავიღეთ და ვიმარჯვებთო. სხვათა შორის, თავდაპირველად რუსებს არც ახსენებდნენ. **კოსმოსიდან გადაღებულია კადრები, როდის გადმოკვეთა რუსის ჯარმა საზღვარი, ეს იყო უკვე 9 აგვისტოს.**

**— 8 აგვისტოს ტელევიზიები ავრცელებდნენ ინფორმაციას, ქართული ჯარი ომს იგებსო, რა ხდებოდა რეალურად გორში?**

— დიახ, ერთი დღე მოსახლეობაც ეიფორიაში იყო, ვფიქრობდით, რომ ომს ვიგებდით. ქალაქშიც სიმშვიდე იყო და არც არავინ გარბოდა, მაგრამ მეორე დღეს, 9 აგვისტოს, უკვე ქალაქის დაცლა დაიწყო. გარბოდა მოსახლეობა. როცა ჯარმა უკან დაიხია, მოსახლეობაც გაიქცა. გორი და მის გარშემო სოფლები პანიკამ მოიცვა.

სამ დღეში გორი უკვე მკვდარ ქალაქს ჰგავდა. როგორც სასაფლაოზე, ისეთი სიჩუმე იყო. წინა დღეებში ოსი „ბოევიკები“ გორის რაიონის სოფლებს შეესივნენ და ძირითადად შურისძიების მიზნით, წინა ომიდან ვისი ბოლმაც ჰქონდათ, ყველას ხოცავდნენ. სოფელ ტყვიავში ახლობლები მყავს და მიყვებოდნენ, რომ იმ ადამიანების სახლებიც კი გადაწვეს, რომლებიც 1990-იან წლებში იბრძოდნენ ან ოდესმე ოსი ვინც მოკლაო. ხალხიც დახოცეს. მეშინოდა, გორშიც არ შემოსულიყვნენ, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერს გაანადგურებდნენ.

მაგალითად, ასეთ ფაქტსაც შევესწარი, სტალინის ქუჩაზე მიდიოდა ქართულნომრიანი ავტომანქანა, სამხედროებს იარაღი მომარჯვებული ჰქონდათ და ესროდნენ რუსებს, იყო ერთი ამბავი. გაირკვა, რომ ისინი ოსი „ბოევიკები“ იყვნენ, რომლებმაც მანქანა თურმე ქართველებს გასტაცეს.

**«ომის დღეებში ჩვენი პატრონი და დამცველი არავინ იყო — არც პოლიცია, არც ჯარი, არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, არავინ. მახსოვს, ჰუმანიტარული ტვირთიც კი დარჩენილმა მოსახლეობამ ყოველგვარი პანიკისა და არეულობის გარეშე თვითონ დაარიგა და გაინაწილა, ქალაქშიც ძალიან ცოტანი დავრჩით... იმხანად გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი იყო. არც გამგებელი, არც გუბერნატორი... ვისაც კი პასუხი მოეთხოვებოდა, არც ერთი ოფიციალური პირი ქალაქში არ იყო და, ტყეში თუ გავიდნენ და იქიდან იბრძოდნენ, არ ვიცი»**

ომის დღეებში ჩვენი პატრონი და დამცველი არავინ იყო — არც პოლიცია, არც ჯარი, არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, არავინ. მახსოვს, ჰუმანიტარული ტვირთიც კი დარჩენილმა მოსახლეობამ ყოველგვარი პანიკისა და არეულობის გარეშე თვითონ დაარიგა და გაინაწილა, ქალაქშიც ძალიან ცოტანი დავრჩით.

**— ამბობთ, რომ ქალაქში ოფიციალური პირებიდან აღარავინ იყო, თუმცა წინა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, გმირულად ვიბრძოდით ომის დღეებშიო.**

— სიცრუეა. იმხანად გუბერნატორი **ლადო ვარძელაშვილი** იყო. არც გამგებელი, არც გუბერნატორი... ვისაც კი პასუხი მოეთხოვებოდა, არც ერთი ოფიციალური პირი ქალაქში არ იყო და, ტყეში თუ გავიდნენ და იქიდან იბრძოდნენ, არ ვიცი.

**— თქვენ ომის დღეებშიც არ დაგიტოვებიათ ქალაქი, არ გეშინოდათ?**

— სიმართლე გითხრათ, ქალაქში თვითონ რუსის ჯარის მხრიდან საშიშროება არ მიგრძვნია. მართალია, სამხედრო ბაზა გაძარცვეს და წასვლისას გადაწვეს კიდეც, ხალხს არაფერს გვიშავებდნენ; ალბათ, უბრძანეს, მშვიდობიან მოსახლეობას არ შეხებოდნენ, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, ჭურვს მოეკალი. ოჯახი თბილისში გამოვუშვი, მე კი გორში დარჩენა გადავწყვიტე.

**— განაცხადეთ, ომი სააკაშვილმა დაიწყოო, რატომ უნდა ყოფილიყო ის დაინტერესებული ომის დაწყებით?**

— ვფიქრობ, სააკაშვილი დასავლელმა პარტნიორებმა წააქეზეს, უბრალოდ, იმედი მისცეს და შემდეგ „გადააგდეს“ ან რატომღაც უკან დაიხიეს; ისევე, როგორც ეს უკრაინაში მოხდა და შემდეგ უკრაინა რუსეთის წინაშე მარტო აღმოჩნდა. მოგვიანებით კი ამბობდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით სააკაშვილს, არ იომოო, მაგრამ იმ დონის გიჟი არ იყო სააკაშვილი, თავისი სიცოცხლე და ქონება სასწორზე შეეგდო და ეფიქრა, რომ ქართველები რუსებს ომს მოვუგებდით. ჟანგიანი ტანკები ჰყავდათ რუსებსო, რომ ამბობდნენ, იმდენი არიან, ჩექმები რომ გვესროლონ, მოგვერევიან.

**— როგორ ხვდება გორი 7 წლის შემდეგ 8 აგვისტოს?**

— დამწვარ-დანგრეული სახლები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ აუშენა ყველას, ამ შემთხვევაში ვერავის დავძრახავ. ჩემს კორპუსში ორ მცხოვრებს ბინები დაეწვათ და უზრუნველყვეს საცხოვრებლით, სახლებიც შეღებეს და გაალამაზეს.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ომის თარიღს ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ, კონცერტებს ატარებდნენ, მანქანები დადიოდნენ სამგლოვიარო სიგნალებით, მაგრამ უკვე მეორე წელია, გორი მშვიდად ხვდება აგვისტოს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

# ბარაკ ობამამ სირიის დაბომბვის სანქცია გასცა

## ამერიკელებს სულაც არ ანაღვლებთ, რომ სირიის მთავრობის ოპოზიციისადმი მათმა მხარდაჭერამ უკვე 220 ათასი სირიელის სიცოცხლე შეიწირა

**მსოფლიოში ვითარება ისე დაიძაბა, რომ სჯობს, ყველამ თავი შეიკავოს რადიკალური მოქმედებისგან, მაგრამ ასეთ მომენტებშიც კი აშშ გამაოგნებელ გადაწყვეტილებებს იღებს. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სანქცია გასცა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გამოყენებაზე სირიაში ე.წ. ზომიერი ოპოზიციის დასაცავად.**



ობამას გადაწყვეტილება განსაცვიფრებელი არ იქნებოდა, თუკი მსგავს სიტუაციაში ამერიკელები რუსეთს ტერორიზმში არ დაადანაშაულებდნენ, ხოლო დონბასის რუსი მოსახლეობის დამცველ მოხალისეებს — სეპარატიზმში. ამიტომ ძალიან უცნაურია იმის მოსმენა, რასაც აშშ დაუფარავად ამბობს, რომ დაბომბავს **ბაშარ ასადის** არმიას, თუკი შეეცდება, იმ „ბოევიკების“ პოზიციებს შეუტიოს, რომლებიც ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას უპირისპირდებიან. აშშ-ის უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის — **ალისტერ ბასკის** განცხადებით, აშშ-ის ხელისუფლების ეს პოზიცია მიმართულია იმისკენ, რომ ოპოზიციის ჯარებმა თავისი მისია შეასრულოს. ასე **რუსეთსაც ხომ შეუძლია, თავისი სამხედრო კონტიგენტი შეიყვანოს დონბასში და დაბომბოს უკრაინელთა პოზიციები იმისთვის, რომ დონბასელთა სახალხო ლაშქარმა თავისი მისია შეასრულოს — დაიცვას სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ადამიანები პოროშენკოს აგრესიისგან?! მაგრამ ასე თუ მოხდება, რუსეთს, ამერიკისგან განსხვავებით, აგრესორად მონათლავენ.**

აშშ კი დაუფარავად განაგრძობს სირიის მთავრობის ოპოზიციის მხარდაჭერას და სრულიადაც არ ადარდებს, რომ ამ მხარდაჭერამ უკვე შეიწირა 220 ათასი სირიელის სიცოცხლე.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „როდესაც თურქების მიერ გახსნილ საწარმოში ქართველები გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე თურქები, ესეც ხომ რაღაცაზე მეტყველებს?!“



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

# აჭარა თურქებს აქვთ ჩაბარებული. მთელი ეკონომიკა მათ ხელშია და ჩვენ იქ მხოლოდ სტუმრად ჩავდივართ

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 7 წელი გავიდა. დგას თუ არა დღეს საქართველო ომის საფრთხის წინაშე და მზად არის თუ არა გამოწვევებისთვის — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრება.**

— 2008 წლის მოვლენებიდან დიდი დრო გავიდა, ყოველ შემთხვევაში, პატარა ქვეყნისთვის ეს საკმარისი იყო დასაფიქრებლად და ისეთი ნაბიჯების გადასადგმელად, რომლებიც ამ ქვეყნის როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ გამოჯანმრთელებას შეუწყობდა ხელს. სამწუხაროდ, მსგავსი რამ არ მოხდა და, როგორც ვატყობ, არც მომავალში მოხდება, ვინაიდან 2008 წლის სისხლიანი მოვლენების შემდეგ საქართველოში, პოლიტიკური თვალსაზრისით, დიდწილად არაფერი შეცვლილა. ვერც საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ და ვერც ახალმა ვერ გამოიტანეს დასკვნები — რა მოხდა 2008 წელს.

**— შესაძლებელი იყო კი რეალური ცვლილებები? ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის კარდინალურად გამოსწორება შეუძლებელი იყო.**

— ახლა უკვე ნათელია და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ითქვას: სააკაშვილის ხელისუფლება შეკვეთას ასრულებდა. საქართველო რუსეთისთვის ამიერკავკასიის ცხელ წერტილად უნდა გადაქცეულიყო. მიხეილ სააკაშვილმა ეს დავალება შეასრულა, მაგრამ **საქართველომ არ შეასრულა სააკაშვილის დავალება და არ აჰყვა მის ავანტიურას. ხალხი არ აჰყვა არც ბაქრაძის ავანტიურას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ჩანგლებითა და დანებით ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა.**

როდესაც ამბობენ, ვლადიმერ პუტინია ყველაფერში დამნაშავეო, მინდა, აღვნიშნო: პუტინი საერთოდ არ იყო საქმის კურსში, ვინაიდან იმხანად ის რუსეთის პრემიერის რანგში, პეკინში, ოლიმპიადაზე იმყოფებოდა. ყველაფერი, რაც მოხდა, რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის — მედვედევის გადაწყვეტილება იყო და, სხვათა შორის, მედვედევს, ამ ნაბიჯების გამო, როგორც რუსეთის პოლიტიკური ელიტა, ასევე რუსული პრესაც მწვავედ აკრიტიკებდა.

**— შესაძლებელია, პუტინს არაფერი სცოდნოდა?**

— დიახ, ვინაიდან, მოვლენები სწრაფად განვითარდა და არავინ ელოდა, რომ სააკაშვილი ასეთ სულელურ ნაბიჯს გადადგამდა.

**— დღეს რა ვითარებაა, დგას თუ არა ქვეყანა ისევ ომის საფრთხის წინაშე? მოგეხსენებათ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეუერთდა და მართალია, საქართველოში ამტკიცებენ, რომ ახალი არაფერი მომხდარა და ქვეყანამ, უბრალოდ, ძველი დადგენილება გააგრძელა, ამ ფაქტს უკვე მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის — დიმიტრი პესკოვის განცხადება, რომ გამორიცხული არ არის, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ საპასუხო ნაბიჯები გადადგას...**

— საქართველო თავისი ქმედებებით რუსეთის გასაღიზიანებლად ყველაფერს აკეთებს. გამუდმებული ლაპარაკი იმაზე, რომ ნატოში შევდივართ და სულ მალე ნატოს საწვრთნელი ბაზა გაიხსნება საქართველოში, ამას გარდა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების და მათ შორის, თავდაცვის მინისტრის განცხადებები, ცხადია, რუსეთს აღიზიანებს და ისიც ცხადია, არ იქნება საქართველოს მიმართ დადებითად განწყობილი. თავდაცვის მინისტრი, რომელიც ისეთივე თავდაცვის მინისტრია, როგორც მე — ჩინეთის პრეზიდენტი, ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთი ძალიან ღიზიანდება ქართული პოლიტიკური ელიტის უკრაინაში ნავარდით. რუსებს განსაკუთრებით აღიზიანებთ სააკაშვილის ოდესის ოლქის ადმინისტრაციის მმართველად დანიშვნა და მისი ანტირუსული განცხადებები. მათთვის ისიც მიუღებელია, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უკრაინის მხარეს იბრძვიან. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო განცხადებებისა და ქმედებების გამო საფრთხე, ცხადია, არსებობს. **ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რუსეთმა ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომლებიც საქართველოს არ წაადგება.**

გამოწვევა ბევრია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს. მას ჰგონია, რომ, რადგან საქართველოდან 5 კილოგრამი მწვანილი და ორი კილოგრამი ვაშლი შევიდა რუსეთის ბაზარზე, ამის გამო რუსეთმა მადლობა უნდა გადაგვიხადოს. რუსეთის ბაზარი ისეა გაჯერებული უცხოური პროდუქტებით, სულაც არ სჭირდება საქართველოს არც სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, არც მინერალური წყალი და არც ალკოჰოლური სასმელი. ეს ისევ ჩვენ გვჭირდება.

საქართველო არც ნატოსა და არც ევროკავშირის ინტერესებს არ უნდა შეეწიროს. რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ქვეყნის დღევანდელ თუ ხვალინდელ კეთილდღეობას სრულიად ეწინააღმდეგება. **ჩვენი მეზობელი ქვეყნების — აზერბაიჯანისა და სომხეთის — სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში არსებულ ვითარებას რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ მათ გაცილებით უკეთესი პერსპექტივა აქვთ რუსეთთან ურთიერთობით, ვიდრე საქართველოს რუსეთთან მტრობით. ასევე, შევადაროთ იმ ქვეყნების მდგომარეობა და სოციალური პირობები, რომლებიც უკვე 10-12 წელიწადია, ევროკავშირის წევრები არიან და დავფიქრდეთ, რატომ არიან ისინი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში.** 10-12 წლის განმავლობაში ისეთი წარმატებული სოციალისტური ქვეყნები, როგორებიც იყო რუმინეთი, ბულგარეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. **ბალტიისპირეთის მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დაშლის დროს 8 მილიონი იყო და ახლა 6 მილიონს ძლივს აღწევს.**

**— საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის — უილიამ კორტნის განცხადებით, აშშ-ის კონგრესში საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე საუბარი მალე დაიწყება, რუსეთს რომ არ ეგონოს, საქართველო მარტოაო...**

— ეს ძალიან სასაცილოა. **ჩვენი დაახლოებით ოცი ათასი ჯარისკაცი როგორ უნდა ებრძოლოს რუსეთის უზარმაზარ და ძლიერ არმიას? სასაკლაოზე გაშვების ტოლფასია, როდესაც მეუბნები, რომ მომცემ იარაღს, რათა რუსეთისგან თავი დაიცვა. ან რა ისეთი სისტემა უნდა შეიძინოს ხიდაშელმა საფრანგეთში, რომ ამ სისტემამ საქართველო დაიცვას?! როგორ შეიძლება ვინმემ ამაზე სერიოზულად იფიქროს?!** კბილებამდე რომ შევიარაღდეთ, ჩვენ არ ვიცით ამ იარაღის გამოყენება, ამას სპეციალური წვრთნა სჭირდება. ეს ისე სასაცილოა, საუბარიც კი არ შეიძლება. ვერანაირი იარაღი საქართველოს ვერ უშველის. თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდა, საქართველო შავ დღეში აღმოჩნდება.

## «თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდა, საქართველო შავ დღეში აღმოჩნდება»

**— ბატონო ჰამლეტ, ადეიშვილის შემდეგ ინტერპოლმა კეზერაშვილისა და სააკაშვილის წინააღმდეგაც შეწყვიტა ძებნა. რატომ ვერ ამტკიცებს ხელისუფლება სიმართლეს?**

— ხელისუფლება სიმართლეს ვერც დაამტკიცებს, რადგან „ნაციონალები“ ამერიკის შეერთებული შტატების კადრები არიან. კოჰაბიტაცია ვინ მოიგონა? გვითხრეს, რომ კოჰაბიტაციაში უნდა იყოთ ყოფილ ხელისუფლებასთანო და ასეც მოხდა. **აშშ-ს რომ არ სდომებოდა, სააკაშვილს ოდესის გუბერნატორად ვინ დანიშნავდა?!**

**— „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც კი აღშფოთებულნი არიან ზოგიერთი „ნაციონალისა“ თუ მათთან დაკავშირებული პირების თანამდებობებზე დანიშვნით, ამას წინათ აღშფოთება გამოიწვია ნინო შუბლაძის დანიშვნამაც. ფიქრობთ, რომ ეს დანიშვნებიც მათი მითითებით ხდება?**

— **ეს ყველაფერი მოდის აშშ-ის საელჩოდან და ბიძინა ივანიშვილისგან.** მე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე ზოგიერთმა, დღეს რომ პოლიტიკოსი ჰქვია. როდესაც **რიჩარდ მაილსი** საქართველოში ელჩი იყო, მასთან მჭიდრო ურთიერთობა მქონდა, რადგან ვიყავი ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი მონაწილე; გარდა ამისა, ამერიკელებს აინტერესებდათ ასლან აბაშიძის პოზიცია და ჩემთან ერთად მაილსი **ასლან აბაშიძეს** ბევრჯერ შეხვდა. **ამერიკელებს, საქართველო და მისი მოსახლეობა კი არა, საკუთარი თავი აინტერესებთ ამ ტერიტორიაზე.**

**— ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთი და იმავე სქესის პირებს ქორწინების ნება ოფიციალურად დართო. ითქვა, რომ ეს ყველა ქვეყანაში უნდა მოხდეს. ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა და აღმოჩნდა, რომ ქართველი პარლამენტარებისა თუ ხელოვანების აბსოლუტური უმრავლესობა, ერთნაირი სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების წინააღმდეგია. თქვენ ამბობთ, რომ აშშ-ის გადაწყვეტილებით ხდება ყველაფერი, ანუ ფიქრობთ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ჩვენთანაც დააკანონებენ?**

— დიახ და იცით, რატომ? — **ჩვენ ქაღალდზე ვართ მაგრები. როდესაც ჟურნალისტი გვეკითხება რამეს, მამაცურად ვუპასუხებთ ხოლმე, მაგრამ, თუ ასეთი მაგარი ბიჭები არიან ჩვენი პარლამენტარები, რატომ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი? არადა, სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონია პირველი ნაბიჯი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისკენ. ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება საქართველოში. არც გარეთ გამოვა ვინმე გასაპროტესტებლად.** 17 მაისს კი გამოვიდა ბევრი ხალხი, მაგრამ ეს უფრო სპონტანური აფეთქება იყო.

**— სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს ახალი მინისტრები ჰყავს – კახა კახიშვილი და გიორგი მღებრიშვილი, რომლებიც კარგი რეპუტაციით სარგებლობენ საზოგადოებაში. ეს ხელისუფლების ნდობის ხარისხს არ გაზრდის?**

— ვფიქრობ, ეს არაფერს შეცვლის. სისტემა დამპალია და ბრწყინვალე მინისტრიც ვერაფერს შეცვლის, რადგან, თუ ამ ქვეყანაში პოლიტიკა არ შეიცვალა, სასიკეთო ცვლილებები წარმოუდგენელია. ქვეყანაში არც ერთ საკითხზე სახელმწიფოებრივი მიდგომა არ არსებობს და ამას ერთი და ორი მინისტრი ნამდვილად ვერაფერს უშველის.

**— აჭარასთან მჭიდრო კონტაქტები გაქვთ. რას ამბობს ადგილობრივი მოსახლეობა, რა ვითარებაა აჭარაში?**

— დიახ, ჩემი მეგობრები ცხოვრობენ აჭარაში, მე ვიყავი პარტია „აღორძინების“ წევრი, რომლის ძირითადი ბირთვიც აჭარაში იყო, და დღესაც მაქვს კავშირი აჭარასთან. როდესაც აჭარიდან ჩემი მეგობრები მირეკავენ, იცით, რას მეუბნებიან? — თურქეთიდან გირეკავთო. აჭარა ფაქტობრივად, გათურქებულია.

**— რის საფუძველზე ამბობენ ამას?**

— ადგილობრივი ბიზნესი, კაზინოები, სასტუმროები — ყველაფერი თურქების ხელშია. იცით, ბათუმისა და თბილისის აეროპორტების რეისები ისე აქვთ მითითებული, როგორც საკუთარი, შიგა რეისები. თბილისის აეროპორტი ხომ სააკაშვილმა თავიდანვე თურქებს ჩააბარა. იქიდან შემოსული თანხა, გარკვეული გადასახადების გარდა, თურქეთში მიდის.

**როდესაც თურქების მიერ გახსნილ საწარმოში ქართველები გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე თურქები, ესეც ხომ რაღაცაზე მეტყველებს?!**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს — **არჩილ ხაბაძეს** არავინ არაფერს ეკითხება, არც არავითარი ძალაუფლება აქვს.

**— საქართველოს ხელისუფლება რატომ ხუჭავს თვალს ამ ყველაფერზე?**

— ამ ხელისუფლებას სულაც არ აინტერესებს, იქ თურქი იქნება თუ ესპანელი, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ამას გარდა, რა უნდა თქვას ხელისუფლებამ?! თბილისი რამეს იტყვის თურქეთის წინააღმდეგ ან რაიმე ნაბიჯს გადადგამს? რას ამბობთ! თურქი ცოტა სხვანაირია, ამ ყველაფერს „ცხვირში ამოგვადენს“, ამიტომ იყო საჭირო ისეთი პოლიტიკა, როგორსაც ასლან აბაშიძე ატარებდა. **ერთხელ რაღაც პროექტში მონაწილეობა შემოგვთავაზეს თურქებმა და, როდესაც ეს ასლანს ვუთხარი, მიპასუხა, მაგათ ფეხს თუ ჩაადგმევინებ სადმე, იქიდან ველარ ამოაღებინებო.**

მთელი აჭარა თურქებს აქვთ ჩაბარებული. მთელი ეკონომიკა მათ ხელშია და ჩვენ იქ მხოლოდ სტუმრად ჩავდივართ.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

„ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კვლევებს კვლევებზე ატარებენ, აინტერესებთ, როგორ იცვლება საზოგადოების განწყობა. საკმარისია, იგრძნონ, რომ ნიადაგი შემზადებულია, უბედურებები მერე ნახეთ, სატანის ქანდაკებებსაც დაგიდგამენ და პირდაპირ მოგთხოვენ ღმერთის უარყოფას“.

ხმა ბერისა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა გიორგი (რაზმაძე):

# თუ ასე გაგრძელდა, აჭარასაც საბოლოოდ დავკარგავთ

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ყოველთვის, როცა ე.წ. ნეოლიბერალები ქართული ცნობიერებისა და მენტალობის „მანკიერებებზე“ საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ პრობლემა არის განათლების დეფიციტი. იმავეს გაიძახიან ჩვენი დასავლელი „მეგობრებიც“ და ხელისუფლებაც მისხალ-მისხალ ასრულებს მათ ყველა დირექტივას. რას გულისხმობენ ისინი განათლებაში და რა იდეოლოგია დგას რეალურად ამ ყველაფრის უკან?**

— ყველა ვხედავთ, რომ ის, რაც თანამედროვე ადამიანს გადმოეცა წინაპრებისგან, ვგულისხმობ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, მათთვის მიუღებელია. ისინი ამბობენ, რომ საჭიროა ახლებური აზროვნება, ანუ ცნობიერების ფუნდამენტური შეცვლა და ამას ხედავენ „განათლებაში“. სინამდვილეში არანაირი განათლება ეს არ არის, ეს არის სულის დამახინჯება და გარყვნა. ეს ძალიან კარგად გამოსდიოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამისთვის საკმაოდ დიდი პოლიტიკური გასამრჯელოც მიიღო — ცხრა წელი ხელისუფლების სათავეში. ქვეყანა თავზე დაიმხეს, მაგრამ პასუხს დღემდე ვერავინ სთხოვს...

— დავაკონკრეტოთ, რა გზითა და საშუალებებით ცდილობდა წინა ხელისუფლება საზოგადოების ცნობიერების შეცვლას? რა ნაბიჯები გადადგა ამისთვის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის დროზე?

— გავიხსენოთ თუნდაც „ჩაშვების ინსტიტუტი“. ვითომ კრიმინალს ებრძოდნენ და გაიძახოდნენ, მოქალაქეებმა პოლიციასთან უნდა ითანამშრომლონო, სინამდვილეში კი იყო მასობრივი დასმენები, ფარული ჩაწერები და კაცი კაცს არ ინდობდა. რამდენი ადამიანი აღმოჩნდა ამის გამო ციხეში, რამდენი დაღუპეს და გაანადგურეს?! შედეგად რა მივიღეთ? — **ქართველებს ამიერკავკასიაში თავი მოგვეჭრა — ყველაზე ამაზრზენი, ჩამშვებები და მამაძაღლი ხალხის სახელი დავიმკვიდრეთ. აი, ამ განათლებას გულისხმობდნენ ისინი და ამას უწოდებდნენ მენტალურ რევოლუციას.** ეგ იყო და დღესაც არის ამათი საფიქრალი — ვის მახე დაუგონ, ვის საფლავი გაუთხარონ, ვის ხელი ჰკრან და უფსკრულში გადაჩეხონ...

**— „ლიბერალების“ პროპაგანდისტული მანქანა განსაკუთრებით დიდ დროს უთმობს ე.წ. ქალიშვილობის ინსტიტუტს. რიგ სატელევიზიო შოუებში უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ ეს არის მავნე ტრადიცია და საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მსგავსი მორალური კოდექსებისგან. რა დგას რეალურად ამ პროპაგანდის მიღმა?**

— ამ პროპაგანდას ეწევიან ისევ და ისევ მრუში, ზნეობრივად გახრწნილი, დეგრადირებული ადამიანები. მათ სურთ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავარდეს ამ ცოდვაში, რაც შეიძლება მეტი მოიწამლოს მათი იდეოლოგიით და დაავადდეს. ამით ისინი უპირისპირდებიან ღმერთს და ცდილობენ, კაცი დააშორონ უფალს, რადგან ღმერთი, მოგეხსენებათ, პირდაპირ ეუბნება ადამიანს — არ იმრუშო! ცხადია, ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული პროპაგანდა და ვინც ამ პროპაგანდას ეწევა, ის კაცობრიობის მტერია...

**რაც შეეხება სატელევიზიო შოუებს და, საზოგადოდ, მედიას — ეს არის დასავლეთის მიერ დაფინანსებული პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც შეგნებულად, მიზანმიმართულად ემსახურება ამერიკისა და ევროპის, ანუ ე.წ. ნეოლიბერალების იდეოლოგიის გაბატონებას.** ნახეთ, რა ხდება: დილით იწყება რაღაც უმსგავსო გადაცემები, შუა დღეს — ვითომ შემეცნებითი შოუები, სადაც ჭამა-სმას გვასწავლიან; შემდეგ იწყება სერიალები — ხან თურქული, ხან ინდური, ხან სინგაპურული და ხან რომელ ღმერთს ეძახიან ჭეშმარიტს, ხან — რომელს. ეს ყველაფერი დღის ბოლოს მთავრდება მთავარი შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვებით და აი, ამ სიბინძურეებით წამლავენ საზოგადოებას. თუნდაც **ჯაჯანიძის გადაცემა რას ჰგავს, რა თემებზე საუბრობენ... ეს ხომ თავიდან ბოლომდე გულის ამრევია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვითონ ამ ადამიანის ორიენტაციაც გაურკვეველია...**

**— ფაქტია, რომ ამგვარი გადაცემებით მაღლდება ტელეკომპანიის რეიტინგი, საზოგადოებას აინტერესებს „ეპატაჟური“ შოუები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გადაცემები ვერ იარსებებდა.**

— ძველ რომში ამბობდნენ: მიეცი ხალხს პური და სანახაობაო. ეს იყო საზოგადოების დამონებისა და დამორჩილების უებარი საშუალება. ან ნაპოლეონის სიტყვები გავიხსენოთ: ორ გაზეთს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე 100 ათას კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცსო. ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც საუკუნეების შემდეგაც უტყუარ ჭეშმარიტებად რჩება, პროპაგანდის საშუალებები კი ვის ხელშია, ყველა ვხედავთ.

**ხალხს, უბრალოდ, სხვა სანახაობა არ აქვს და, რაც არის, იმას უყურებს. ეს არის ერთგვარი იძულება, თორემ გაჭირვებულ ადამიანს სულაც არ აინტერესებს გრიგოლიასა და ჯაჯანიძის უნიჭო შოუები.**



**«ქართველებს ამიერკავკასიაში თავი მოგვეჭრა — ყველაზე ამაზრზენი, ჩამშვებები და მამაძაღლი ხალხის სახელი დავიმკვიდრეთ. აი, ამ განათლებას გულისხმობდნენ ისინი და ამას უწოდებდნენ მენტალურ რევოლუციას»**

**— როგორ ფიქრობთ, ეკლესიამ ან რომელიმე სხვა ინსტიტუტმა რა შეიძლება დაუპირისპიროს ამ ყველაფერს?**

— ეკლესია ყოველთვის ამხელს და უპირისპირდება ყველანაირ გარყვნილებას, ცოდვასა და უბედურებას. რაც შეეხება საზოგადოებას, მიუხედავად იმისა, რომ არის ძალიან დიდი პროპაგანდისტული წნეხი, მოქალაქეების დიდი ნაწილი კარგად ხედავს, რა სიბინძურესა და გარყვნილებასთან გვაქვს საქმე. ან რა მიხვედრა უნდა, **ახლახან ამერიკაში, კერძოდ, დენვერში, დადგეს სატანის უზარმაზარი ქანდაკება. თან დადგეს იქ, სადაც მანამდე ბიბლიის ათი მცნება იყო გამოქანდაკებული. ამაზე მეტი მხილება რა გინდა! ისინი უკვე აღარც მალავენ, რომ სატანის მსახურები არიან.** მეტიც, სატანიზმი არის წახალისებული და ერთგვარ მასკულტურად ქცეული, ღვთის მოშიშობას კიდევ სიბნელედ და გაუნათლებლობად რაცხავენ.

**— როგორ ფიქრობთ, ახლოს არის ის დრო, როცა საქართველოშიც დადგამენ ანტიქრისტეს ქანდაკებას?**

— დღესაც სიამოვნებით დადგამდნენ ხელისუფლებაში მოკალათებული გარკვეული ძალები, მაგრამ იციან, რომ ამას მოჰყვება მათი პოლიტიკური აღსასრული; იციან, რომ ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს ანტიქრისტეს გაბატონებას, და ეშინიათ. ამიტომაა, რომ **ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კვლევებს კვლევებზე ატარებენ, აინტერესებთ, როგორ იცვლება საზოგადოების განწყობა. საკმარისია, იგრძნონ, რომ ნიადაგი შემზადებულია, უბედურებები მერე ნახეთ, სატანის ქანდაკებებსაც დაგიდგამენ და პირდაპირ მოგთხოვენ ღმერთის უარყოფას.** ზუსტად ამას ემსახურება პროპაგანდა, რომ თურმე ჩვენ მეტად ტოლერანტულები უნდა ვიყოთ, თურმე განსხვავებულისადმი პატივისცემა უნდა ვისწავლოთ და უფრო შემწყნარებლები გავხდეთ სხვა რელიგიური კონფესიებისადმი. ეს არის ის იდეოლოგია, რომლითაც ხდება ადამიანის ცნობიერების თავდაყირა დაყენება. სინამდვილეში ესენი სხვა რამეს გულისხმობენ ტოლერანტობაშიც, პატივისცემაშიც და ლიბერალობაშიც...

**— რელიგიური კონფესიები ახსენეთ და აჭარაში უკვე ისლამიზაციის პროცესი მიმდინარეობს. საქართველოს ხელისუფლება კი სამარისებურად დუმს, თითქოს არანაირი საფრთხე არ არსებობს. როგორ ფიქრობთ, ესეც მიზანმიმართული პოლიტიკაა თუ, უბრალოდ, მმართველ გუნდს ძალა არ შესწევს?**

— ერთიც არის და მეორეც, მაგრამ მთავარია ის, რომ **ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული არ არის ეროვნული ინტერესების დაცვა. მას არ აინტერესებს არც აჭარა და არც სხვა რეგიონები, მისთვის მთავარია იმ დირექტივების შესრულება, რომლებსაც ამერიკა და ევროპა აძლევს.** ცხადია, მერე ამით სარგებლობენ გარე ძალები და ლოგიკურია ის, რასაც დღეს თურქეთი და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა პირდაპირ თუ ირიბად აკეთებს აჭარაში. თუმცა ჯერ კიდევ სად ვართ, **თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებული ვარ, მალე აჭარასაც საერთოდ დავკარგავთ. მერე დასავლეთის შეშფოთება და ოკუპანტის ძახილი ვერ გვიშველის...**

**— ამერიკაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ ქართველ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწონა მნიშვნელოვნად გაზარდა და „პროდასავლელი ლიბერალები“ მეტისმეტად შეშფოთებულები არიან. ყველა ერთხმად გაიძახის, ევროპა და ამერიკა არაფერს გვაძალებსო. თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— იმ დღეს, როცა ეს უბედურება დააკანონეს და თეთრი სახლი ე.წ. ლგბტ ფერებით გაანათეს, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განხორციელდესო. **როცა ოფიციალური პირი ასე აშკარად და დაუფარავად მეუბნება ყველაფერს, ვინ რაში უნდა დამარწმუნოს?!**

რა თქმა უნდა, გვაძალებენ; რა თქმა უნდა, გვიყენებენ პირობებს — ან ამას მიიღებთ, ან ჩვენგან დახმარებას არ ელოდოთო. მეტიც, ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალი გზებიც ამაზე გადის. ამას ჩვენი ხელისუფლება გვიმალავს, თორემ ისინი გარკვევით გვეუბნებიან...

**— ანტიდასავლური განწყობის გაძლიერებაში ზოგი რუსული პროპაგანდის კვალს ხედავს. საუბრობენ რუსული არხების აკრძალვაზეც.**

— ეს აბსურდია და თვითონაც კარგად იციან. **ანტიდასავლური, განსაკუთრებით ანტიამერიკული, განწყობა იმიტომ ძლიერდება, რომ ეს სახელმწიფო სჩადის უამრავ ბოროტებას. სხვათა შორის ამას წინათ ბარაკ ობამა გამოვიდა და განაცხადა: ჩვენზე მაგარი ერი მსოფლიოში არ არსებობს, იმიტომ, რომ ყველა კუთხეში, სადაც კი ომია, ჩვენ ვცდილობთ, მშვიდობის დასამყარებლად სისხლი დავღვაროთო.** გასაკვირია პირდაპირ, **რომელ ერს დამისახლებთ, ამერიკელების გარდა, რომელმაც საომარ მოქმედებებში ატომი გამოიყენა და ასიათასობით ადამიანი დახოცა, რომელ ერს დამისახელებთ, რომელმაც ყველანაირად გაძარცვა მსოფლიო? მათ მიერ წამოწყებული ყველა ომი ხომ ნავთობისა და სხვა სიმდიდრეებისთვის იყო? და ესენი გველაპარაკებიან დღეს ჩვენ შემწყნარებლობაზე?** ეს ქვეყანა მოწადინებულია, მსოფლიოზე იბატონოს და, თუ ვილაცას უნდა ამ ბოროტებაში მონაწილეობა, მე მათ შორის არ ვარ.

რაც შეეხება ისევ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, **ვისაც მიაჩნია, რომ სოდომია ნორმალური მოვლენაა, ვეკითხები: თუ ეს ავადმყოფობა არ არის, რატომაა, რომ მსგავსი გადახრის მქონე ადამიანის სისხლს არ უსხამენ ავადმყოფს?**

**— ისინი, ალბათ, გიპასუხებდნენ, რომ თქვენი შეკითხვა აბსურდია.**

— თუ აბსურდია, მაშინ გადაისხან თვითონ ან საკაშვილს გადაუსხან (რად უნდა, უარესი აქვს, მაგრამ მაინც); გადაუსხან **ბიძინა გუჯაბიძეს, ზვიად ძიძიგურს, მანანა კობახიძეს** და **ეკა ბესელიას,** იქ რომ პარპაშობდნენ და ანტიდისკრიმინაციულ კანონს ხმას აძლევდნენ. საქმე ის არის, რომ მათ უკვე ტვინში აქვთ ეს სისხლი გადასხმული. მე ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ, გული მტკივა და იმიტომ. ეს ადამიანები სამუდამო სასჯელისთვის იმზადებენ თავს, ეს თვითონაც კარგად იციან, მაგრამ ეშინიათ; იციან, რომ, თუ ხმას ამოიღებენ, ხელფასს დაკარგავენ, პანღურს ამოჰკრავენ და გამოაგდებენ სამსახურიდან.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილმა საქმის გამკეთებელი ხალხი ვერ იპოვა. საქართველოში ის „ნაციონალების“ მეტს არავის იცნობდა; მეგობრობდა სააკაშვილთან, კეზერაშვილთან, ადეიშვილთან, მერაბიშვილთან და ა.შ. “**



# ვასილ ჭიჭინაძე: აუცილებლად ციხეში უნდა გააუპატიურონ ვინმე, ხმა რომ ამოვიღოთ?

**იმედგაცრუებულმა ქართველმა ამომრჩეველმა ყოფილი პრემიერის — ბიძინა ივანიშვილისგან კიდევ ერთხელ მოისმინა თავის გამამართლებელი სიტყვები, რომ „არაკორექტული“ იყო, როცა თქვა, ხელისუფლებაში მოსვლიდან მეოთხე წელი ძალიან კარგი იქნებაო: „არაკორექტული ვიყავი, როდესაც ეს ვთქვი. რადგანაც ეკონომიკურად შეუძლებელია, მესამე წელს მოსახლეობის ჯიბეს დაემჩნეს ეკონომიკური აღმასვლა“. რატომ ეშლებოდა ბიძინა ივანიშვილს ამდენი რამ? ყველა მისი ნათქვამი სიტყვა ახლაც და მანამდეც პიარსვლა იყო თუ „არაკორექტულობა“? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე ყოფილ ელჩს, დიპლომატ ვასილ ჭიჭინაძეს მოვუსმინოთ.**

**— ბიძინა ივანიშვილმა გამოიღვიძა თუ რეალური ამბის მიმტანი იპოვა ვინმე, არავინ იცის, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტიც დაიწუნა, მთავრობის ნაწილიც და ისიც გვითხრა, დაგპირდით, მეოთხე წელი კარგი იქნებოდა, მაგრამ შემეშალაო...**

— მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი თავისი გუნდით ხელისუფლებაში მოულოდნელად მოვიდა, კადრების ნაკლებობა სულ ჰქონდა. გადახედეთ მის საპარლამენტო სიას — ვინ საიდან აღმოჩნდა იქ და გაიხსენეთ, პროკურორ ფარცხალაძის ამბავი, მერე — შინაგან საქმეთა მინისტრს პიროვნება რომ ეგონა „თალიბანი“. ახლა კიდევ **ერთი გასაოცარი რამ მოვისმინე პარლამენტარ თამაზ მეჭიაურისგან — მარგველაშვილი, ხალხმა კი არა, ივანიშვილმა აირჩიაო, რითაც აღიარა, ხელისუფლებაში ივანიშვილის ხათრით მოგვიყვანესო.**

**«ერთი გასაოცარი რამ მოვისმინე პარლამენტარ თამაზ მეჭიაურისგან — მარგველაშვილი, ხალხმა კი არა, ივანიშვილმა აირჩიაო, რითაც აღიარა, ხელისუფლებაში ივანიშვილის ხათრით მოგვიყვანესო»**

გავიხსენოთ „ოცნებისა“ და ბიძინას დაპირებებიც: იაფი კრედიტი, მომატებული პენსია, სოციალური დახმარებები, სამუშაო ადგილები, ტერიტორიების დაბრუნება და უამრავი რამ, მათ შორის, რუსეთთან დალაპარაკება. არაფერი შესრულდა, რადგან ხალხი და გარემოცვა, მართლაც, არ უვარგოდა. **წინასაარჩევნო კამპანია მალე დაიწყება და, აბა, რა უნდა თქვას?! მეთოდიც კარგი შეარჩია, ფარად ძველი ე.წ. წითელი ინტელიგენციის შვილები და შვილიშვილები აიფარა, არჩევნებში სწორედ ეს ადამიანები დაუდგებიან მხარში და იმას, რასაც ახლა ამბობს, ყველაფერს გაუმართლებენ. ყველა მათგანი რაღაცის წილში ზის და გზა ხსნილი აქვს. ამ ადამიანებს „მწვანე ინტელიგენცია“ ჰქვიათ, დოლარის ფერებში არიან.**

**ივანიშვილმა საქმის გამკეთებელი ხალხი ვერ იპოვა. საქართველოში ის „ნაციონალების“ მეტს არავის იცნობდა; მეგობრობდა სააკაშვილთან, კეზერაშვილთან, ადეიშვილთან, მერაბიშვილთან და ა.შ.**

ყველა ფიქრობს, რომ ივანიშვილი მომავალში რაღაცას გააკეთებს — აუცილებლად დაარტყამს პენალტს, მას ხომ შვიდი მილიარდი აქვს. წინასაარჩევნოდ ამ ამბის ქუჩაში გასატანად აუცილებლად „მწვანე ინტელიგენციაა“ საჭირო. ყველას გვახსოვს, როგორ იმუშავეს მათ 2012 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებისას და შემდეგ — დედაქალაქის მერის არჩევნების პერიოდში.

**ივანიშვილმა ვერაფერი გააკეთა. მის ხალხს „ნაციონალები“ ყველა დებატებში უგებენ; ვისაც ვერ ერევიან, ყიდულობენ, თანამდებობებზე ნიშნავენ.**

**ბიძინას განცხადებებში, რომ ქვეყანაში ყველაფერი რიგზე არ არის, უფრო ღრმა, მომავალზე გათვლილი წინასაარჩევნო პიარის ნიშნები იკვეთება.**

**— დენის ტარიფს გვიზრდიან, არადა, გვპირდებოდნენ, რომ განახევრდებოდა...**

— **დენის ტარიფის მომატება მძიმედ დააწვება მხრებზე მოსახლეობას. მთავრობა ამბობს, რომ განსხვავებას დააფინანსებს, მაგრამ ტყუილია. შესაძლოა, სოციალურად დაუცველებისთვის, რომლებიც ქვეყნის 15%-ს შეადგენენ, მოახერხონ დახმარება, მაგრამ მთელი ქვეყნის მოსახლეობას ვერ შეეხიდებიან. და თუ მაინც მოახერხეს რამე, ვფიქრობ, თვალში ნაცრის შეყრა გამოვა, რადგან დენის ტარიფის ზრდასთან ერთად ავტომატურად ყველაფერი გაძვირდება. გამოდის, რომ ცხოვრებას უძვირებენ ხალხს.**

**— საით მივდივართ? ფაქტია, რომ გზა, რომელსაც ვაგდივართ, მთლად სახარბიელო არ არის.**

— არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, საით მივდივართ. თავისუფლები და სუვერენულები რომ არ ვართ, ფაქტია. ბიძინა ივანიშვილს რა უნდა, ვერ ვხვდები. ერთი შეხედვით, თითქოს სურს, საგარეო პოლიტიკაში რაღაც შეცვალოს; უნდა, რუსეთს მოეფეროს, მაგრამ არ გამოსდის, დასაკარგი ბევრი აქვს.

**— ჭკვიანი კაცია ივანიშვილი?**

— ალბათ. აბა, ამდენ ფულს, როგორ იშოვიდა?! მაგრამ ამ ყველაფერს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. **პელე და მარადონა უძლიერესი ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ მათგან მწვრთნელი ვერ დადგა.**

**— ბიძინა ივანიშვილის ყოველი გამოსვლა ხალხის ძალიან დიდ აღშფოთებას იწვევს. სოციალურ ქსელში წერენ, ხომ არ ჯობია, ივანიშვილმა საერთოდ აღარ ილაპარაკოსო...**

— **ბიძინას გარს ახვევია ადამიანები, რომლებიც ჭკუა-გონებით ვერ დაიკვეხნიან. ისინი ივანიშვილს მხოლოდ იმ ინფორმაციას აწვდიან, რომელიც გულს არ „შეუწუხებს“ მათ მარჩენალს. ივანიშვილი ხშირად საკუთარი საქმეებით არის დაკავებული; ალბათ, პრესასაც ვერ ეცნობა — ძნელია, ყველა გაზეთი წაიკითხო, ამიტომ ბევრი რამ არ იცის...**

**— ხალხი ყველაფერზე პასუხს ივანიშვილისგან მოელის, ამიტომ, როდესაც ის ლაპარაკობს, ყურადღებით უსმენენ, ეგებ რაიმე საიმედო წამოსცდესო, მაგრამ ამაოდ...**

— ვერ დავიჯერებ, რომ ყოფილი პრემიერის გადაწყვეტილება იყო, „რუსთავი 2“-სთვის კონცერტების ჩატარების საშუალება არ მიეცათ. ტელევიზიას „ნაციონალების“ მეთოდებით გაუმკლავდნენ. ვინც ეს მოიფიქრა, აშკარაა, მთლად ნიჭიერი და ჭკვიანი ვერ იქნება. ქართველ კაცს ხომ ყოველთვის დაჩაგრული ეცოდება? და ვიღაცის უტვინო გადაწყვეტილების წყალობით „რუსთავი 2“ დაჩაგრულის როლში აღმოჩნდა.

**— ვიღაც გონებასუსტია, ვიღაც ადრე იძინებს, ვიღაცას პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის... ქვეყანა კი ილუპება. ასეთ ვითარებაში ხალხმა რა უნდა ქნას?**

— ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი ნაწარმოებიდან ერთი ფრაზა მახსენდება: „იყვირე შენ და მერე ვიყვირებ მეც“. ხმის ამოღების ეშინია ყველას. ასეთი დაჩაჩანაკებული ერი თუ ვიყავით, აქამდე რამ მოგვიყვანა?! **რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად ვფიქრობ, თურმე რუსეთს გადავურჩენივართ — 700 ათასი ქართველი შეგვიფარა და საბჭოთა კავშირიდან 5 მილიონი გამოვედით.**

აღარ უნდა გაცვალოს ქართველმა კაცმა ერთ ტომარა ფქვილზე თავისი ხმა, ხმა, რომლის პატრონიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ახსენდებათ პოლიტიკოსებს. აღარც ტელევიზორის ანტენაზე უნდა გაიყიდონ და აღარც 20, 50-ლარიან ერთჯერად ანაზღაურებაზე; კეთილი ინებონ, გადახედონ პარტიების პროგრამებს, ქვეყნის წარსულს, მაგდენი ტვინი ყველა ქართველს აქვს, რათა გაანალიზონ და ცუდი და კარგი გაარჩიონ ერთმანეთისგან. შემდეგ კი მისცენ ხმა იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლიან; დაე, ჰყავდეს ქვეყანას მრავალპარტიული პარლამენტი — ვიღაც რუსეთისკენ წასვლას მოითხოვს, ვიღაც — ამერიკისკენ. ამით საშუალება მოგვეცემა, მივხვდეთ, რა ჯობია ჩვენი ქვეყნისთვის. ერთხელ მაინც გვყავდეს პარლამენტი, რომელიც სხვა პარტიის წარმომადგენლის ნააზრევს გაითვალისწინებს და მოისმენს.

**— შესაძლებელია, რომ შემოდგომაზე არეულობა დაიწყოს?**

— **თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომაზე რაღაც მოხდება. ქართველებს ასეთი ჩვევა გვაქვს: ვითმენთ, ვითმენთ და მერე სულ ერთი წვეთი ხდება საჭირო, რომ ვიფეთქოთ. არეულობა ნამდვილად არ მსურს, მაგრამ აუცილებლად ციხეში უნდა გააუპატიურონ ვინმე, რომ ხმა ამოვიღოთ? ბიძინას ვაბრალებთ ყველაფერს, არადა, ბიძინა რა შუაშია? ხმა ხომ ჩვენ მივეცით, ხალხმა არ აირჩია? დროა, პასუხისმგებლობა ხალხმა თავის თავზე აიღოს,** სწორი არჩევანი გააკეთოს და საკუთარი შეცდომა სხვას აღარ გადააბრალოს.

**დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წელსაც „მწვანე ინტელიგენციისა“ და დიდი ფულის დახმარებით ხელისუფლებაში ისევ „ოცნება“ იქნება და არაფერი შეიცვლება.**

**ვურჩევ ქართველ ხალხს: გადარჩენისთვის ისევ რუსეთს მივმართოთ, ტერიტორიების დაბრუნებაზე ვიზრუნოთ. ვექტორის შეცვლაზე ვინც საუბრობს, ვინც მოძრეა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა დავალაგოთ, რუსეთუმეებს უწოდებენ ყველას. მე ვექტორი შეცვლილი მაქვს; დიდი ხანია, ვიცი, ჩვენი ხსნა რუსეთს შეუძლია.**

გადახედონ, 25 წლის განმავლობაში რა დაგვემართა. საქართველო ქართველების გარეშე რჩება. ედუარდ შევარდნაძემ რომ თქვა, ნატოს კარზე დავაკაკუნეთო და მოგვილოცა, მერე სააკაშვილმა რომ გვახარა, კარი გაგვიღესო და მანაც მოგვილოცა, ჩვენ კი ღია კარში შესვლა აღარ გვეღირსა, ეს ხომ უნდა დასრულდეს?

**საქართველოს ყოველთვის რუსეთი გვაცხოვრებდა. ჩვენი ჩაი, ციტრუსი, ღვინო სულ მას მიჰქონდა. ჯერ კიდევ არის დარჩენილი ის თაობა, რომელსაც რუსეთის სიკეთე ახსოვს, ამიტომ რატომ უკვირთ მედასავლეთე პოლიტიკოსებს, რომ ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს რუსეთის ქოლგის ქვეშ ყოფნა ურჩევნია?**

მსოფლიო გვეუბნება, რუსეთს უნდა დაველაპარაკოთო. საქართველოს გულისთვის რუსეთთან არავინ დაუპირისპირდება. ნუ გავაკეთებთ ისე, რომ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. სასწრაფოდ გადავხედოთ პოლიტიკურ ვექტორს და, ქვეყნის საკეთილდღეოდ რაც საჭიროა, ის გავაკეთოთ. ხალხიცა და ხელისუფლებაც გონს უნდა მოეგოს!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## მცხეთაში მშენებლობასა და პრივატიზაციაზე მორატორიუმი ცხადდება

**2016 წლის 31 დეკემბრამდე მცხეთაში ნებისმიერი სახის მშენებლობასა და პრივატიზაციაზე მორატორიუმი ცხადდება. საკითხი „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ მთავრობის სხდომაზე განიხილეს.** „დადგენილება გულისხმობს მორატორიუმის შემოღებას მცხეთაში ყველანაირ მშენებლობაზე, პრივატიზაციაზე, გასხვისებაზე. ეს მოთხოვნა იუნესკომ და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა წამოაყენეს, რათა მიწათმოქმედებისა და ქალაქგანვითარების გენერალური გეგმები დასრულდეს, იუნესკოსთან შეთანხმდეს და, თუ ამ ნაბიჯებს გადავდგამთ, გაისად პრაქტიკულად გარანტირებული გვაქვს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დაბრუნება“, — განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

მისივე თქმით, მორატორიუმი, ქალაქის გარდა, მის შემოგარენსა და ლანდშაფტური დაცვის ზონებსაც შეეხება.



„მიწები ნამდვილად უმოწყალოდ იყიდება, 40 ათას ჰექტარზე მეტია უკვე გაყიდული. რაც შეეხება იმას, ვინ ყიდულობს, ამის სტატისტიკური მონაცემები ჩემთვის ცნობილი არ არის და არც მგონია, ვინმეს ჰქონდეს.“

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იოსებ არჩვაძე:

# გაძვირდება პური და ყველა ის პროდუქტი, რომელსაც ელექტროენერგია სჭირდება

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) დიდი ხნის მსჯელობის შედეგ ქვეყანაში ელექტროენერგიის გადასახადი გაზარდა. ეს გადაწყვეტილება „ენერგო პრო ჯორჯიასა“ და „თელასის“ მოთხოვნის საფუძველზე მიიღეს. თავის მხრივ, აღნიშნული კომპანიები ელექტროენერგიის გაძვირებას დოლარის კურსის გამყარებას უკავშირებენ. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე, პროფესორი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ ტარიფების ზრდას სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა: „შემოდგომაზე ყველა ოჯახის ხარჯი 300 ლარით გაიზრდება, მძიმე შემოდგომა გველის“. როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან მძიმე ეკონომიკური პრობლემები? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ მოსახლეობამ ზამთარში მნიშვნელოვნად არ იზარალოს? შეძლებს თუ არა მთავრობა კომპენსაციის გადახდას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ გვესაუბრება.**



**— ბატონო იოსებ, მას შემდეგ, რაც ელექტროენერგია გაძვირდა, განაცხადეთ, რომ ხალხს მძიმე შემოდგომა ელოდება...**

— ანტონ ჩეხოვისებურად უნდა მივუდგეთ საკითხს, თუ პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი კიდია, ის ბოლო მოქმედებაში აუცილებლად გაისვრის. ზაფხულში ფასების მომატებაზე მსჯელობა შემოდგომაზე აუცილებლად გამოიღებს უარყოფით შედეგს.

ბოლო ხანს რამდენიმეჯერ ვახსენე ტერმინი — ფასების მარაოსებრი ზრდა. ერთ სეგმენტში ფასების მატებას აუცილებლად მოჰყვება ანალოგიური რამ სხვა სეგმენტებშიც — **ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.**

ფინანსთა მინისტრი **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲮᲐᲓᲣᲠᲘ** აქამდე ეროვნული ვალუტის ახალ, წონასწორულ კურსზე საუბრობდა, ახლა კი მოგვიწევს ახალ საფასო წონასწორულ კურსზე გადასვლა და საუბარი. ისე, **ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ** ფინანსთა მინისტრის ტერმინია.

ერთი კილოგრამი პური თუ 1,50 თეთრი ღირდა, შესაძლოა, მისი ფასი ლარით მეტი გახდეს, ასეთი გაძვირება პროპორციულად ყველა პროდუქტზე აისახება. არ მინდა, აპოკალიფსის სურათი დავხატო, მაგრამ ხელისუფლებამ მეტი უნდა იმუშაოს, რათა ხალხს თავიდან აარიდოს გაუსაძლისი მდგომარეობა. **ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲢᲐᲠᲘᲤᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲩᲘᲮᲘᲡᲙᲔᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲮᲕᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ, ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ...**

**— ეს გამორიცხულია, თქვენც კარგად იცით და ხალხმაც. შემოდგომამდე ეკონომიკური პოლიტიკა ისე როგორ უნდა გამოსწორდეს, რომ ოჯახების შემოსავლები გაიზარდოს?! თანაც, როგორც თქვენ ამბობთ, ხელისუფლების მიერ დაპირებული კომპენსაციაც არ იქნება ფასების მატების შესაბამისი.**

— **ᲗᲐᲜᲮᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝᲓ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ. ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ 12-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.**

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, ეს გამორიცხულია. მინიმალური შეფასებით, **ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲘᲛ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ, ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ, ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ.**

## «თითოეულ ოჯახს იმ რაოდენობის საქონლის შესაძენად, რამდენიც შარშან შეიძინა, სულ ცოტა, სამასი ლარით მეტის გადახდა მოუწევს. ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა»

**ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ ᲓᲔᲤᲚᲐᲪᲘᲐᲡ, ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲜᲕᲐᲡ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ ᲖᲐᲛᲑᲐᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲕᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ.**

**— ამ ყველაფერში ვიღაც ხომ არის დამნაშავე, პასუხისმგებლობა ვიღაცას ხომ უნდა დაეკისროს?**

— ამას ერთ ადამიანს ვერ დააბრალებ, ეს ტენდენციაა. ვიღაცამ თავისი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასა, ვიღაცამ პრინციპულობა ვერ გამოიჩინა, გარემო პირობები სწორად არ შეფასდა, აკლდათ შემოქმედებითი აზროვნება და მიდგომები. იყო არაპროფესიონალიზმი. **„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐᲓ“ ᲘᲥᲪᲐ** — ეს ჩემი ახალი ტერმინია და შეგიძლიათ, გამოიყენოთ.

**— ალბათ, გახსოვთ ბიძინა ივანიშვილის დაპირება, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ მეოთხე წელი იქნებოდა ძალიან კარგი. ახლა კი განაცხადა, რომ წამოსცდა და ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს.**

— გავიხსენოთ წინასაარჩევნო პერიოდი, როგორ არ გვინდოდა, ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დარჩენა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ძალიან ბევრი ამბობდა, თუ „ნაცები“ დარჩებიან, ქვეყნიდან წავალთო. მართალია, მიგრაცია არ შეწყვეტილა, მაგრამ **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲩᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ. 9-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲑᲘᲠᲐ. ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲙᲘᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ — ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲘᲐᲠᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ.**

როგორც ეკონომისტი, გეტყვით, ასეთი დაპირებების წინააღმდეგი ვარ. ფასებისა და ტარიფების შემცირებით მოსახლეობისთვის შეღავათის მიცემა არასწორია. სახელმწიფომ სამუშაო ადგილების შექმნაზე უნდა იზრუნოს, მატერიალური დოვლათი უნდა შეიქმნას და მერე ხალხი თვითონ გადაწყვეტს, რამდენი ელექტროენერგია მოიხმაროს და სად დაისვენოს.

**— მიწები იყიდება, თანაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც, განურჩევლად და განუკითხავად. ახლა ამბობენ, რომ ჩეჩნები, ინგუშები და აზერბაიჯანელები ყიდულობენ ქართულ მიწებს. თქვენ თუ გაქვთ ეს ინფორმაცია და არსებობს თუ არა სტატისტიკა, ვინ და რამდენ მიწას ყიდულობს?**

— კი, **ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ, 40 ᲐᲗᲐᲡ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ.**

ერთ-ერთი ფილოსოფოსის სიტყვები მახსენდება: „ერს, ისევე, როგორც ქალს, არ ეპატიება შეცბუნება, როდესაც მოძალადე მასზე ძალის გამოყენებას აპირებს“. ჩვენი ქვეყანა ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, გვმართებს დაფიქრებული მოქმედება, არა აგრესიული, მაგრამ ღირსების დასაცავი. პარლამენტს უზარმაზარი რესურსი აქვს, კანონმდებლობით მყისიერი რეაგირება მოახდინოს ყოველ უკანონო ქმედებაზე. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერი კანონის მიღება გამართლებულია. არ უნდა ველოდოთ, ვის რისი უფლება აქვს და ვის როდის ეწურება თანამდებობაზე ყოფნის ვადა.

**— როდესაც თქვით „თანამდებობაზე ყოფნის ვადა“, ალბათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იგულისხმეთ, რა კანონპროექტს დაადო ვეტო პრეზიდენტმა? ზოგი ამბობს, პრეზიდენტი მართალიაო, ზოგი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.**

— მარტივად რომ აგიხსნათ, წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: მე რომ თქვენი დირექტორი ვიყო და სამსახურში თანამდებობაზე სხვა გნიშნავდეთ.

**— ანუ ეს ქვეყნის სასარგებლოდ არ კეთდება, ვიღაცას ჯიბრში უდგებიან?**

— ყველასთვის ცნობილია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ოპოზიციური პარტიის წამყვანი ფიგურაა და ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას. ვიდრე ის თანამდებობაზეა, ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია. მთავრობა ცდილობს, გიორგი ქადაგიძეს ჩამოართვას და პარლამენტს დაუქვემდებაროს საბანკო ზედამხედველობის ფუნქციები, აქამდე ყველაფერი ეროვნულ ბანკს ექვემდებარებოდა. ასე რომ, არც ერთი მხარე — არც პრეზიდენტი და არც პარლამენტი — მართალი არ არის. ყველაზე კარგი იქნებოდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სანდო და ობიექტური პიროვნება ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში ვინც ხელისუფლებაში მოდის, თავის კაცს სვამს საკვანძო ადგილებზე. ზოგიერთი ასეთი თანამდებობა კი საარჩევნო ვადებს არ ემთხვევა, გარდამავალია, ეს კი ახალ ხელისუფლებას პრობლემებს უქმნის, რადგან უწყობენ საბოტაჟს.

**— რა თადარიგი უნდა დაიჭიროს ტარიფებგაზრდილმა მოსახლეობამ? ფაქტია, ცხოვრება გაძვირდება, რამაც, შესაძლოა, ქვეყანაში არეულობაც გამოიწვიოს.**

— ახლა აგვისტოა, შვებულებების პერიოდი, და გთხოვთ, მოსახლეობას ნუ დავზაფრავთ.

**— საქმე ასეა?**

— რა თქმა უნდა. ფასების ასეთი ზრდა ნებისმიერი საშუალო დონისა და შემოსავლების მქონე ოჯახისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს დღისა და ღამის ტარიფების შემოღებაზე. სომხეთში ეს მეთოდი კარგად მუშაობს, აპრობირებულია. დენი ღამე იაფი უნდა იყოს და დღისით შედარებით ძვირი, სომხეთში დღე-ღამეში თითქმის 40%-იანი სხვაობა აქვთ. ერთ-ერთი გზა ეს არის. არ ვურჩევ არც მოსახლეობას და არც ხელისუფლებას ეკონომიური ნათურების გამოყენებას, ჯანმრთელობის ზიანი დიდია. **ᲕᲣᲠᲩᲔᲕ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲕᲐ ᲘᲛ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲙᲐᲠᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ. ᲔᲡ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲫᲚᲝᲗ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ.**

ესაუბრა
ᲔᲙᲐ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ



## იაპონია ლაზერით აღჭურვილ სამხედრო ხომალდს ააშენებს

**იაპონიის მთავრობამ დაამტკიცა 27DD ტიპის ლაზერული საესკადრო ნაღმოსნის მშენებლობის პროექტი.** ხომალდზე სამხედრო ლაზერები და ელექტრომაგნიტური ქვემეხი იქნება განთავსებული. ახალი საესკადრო ნაღმოსანი იაპონიის შეიარაღებაში 2020-2021 წლებში უნდა შევიდეს. ხომალდები თავდაპირველად ჩვეულებრივი შეიარაღებით აღიჭურვება, თუმცა მას შემდეგ, რაც დაიწყება სამხედრო ლაზერებისა და ელექტრომაგნიტური ქვემეხების სერიოზული წარმოება, მოხდება მათი მოდერნიზაცია. სამხედრო ლაზარების შემუშავებაზე იაპონიის ტექნიკური კვლევების ინსტიტუტი და თავდაცვის სამინისტრო მუშაობს. გამოცემა წერს, რომ ჯერჯერობით გაუგებარია, თუ როგორ მოამარაგებენ ლაზერს ენერგიით.



რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენჯერაც უნდა მიუთითოთ ერთსა და იმავეზე, როგორი არგუმენტირებული შენიშვნაც უნდა მისცეთ, მათი მილიარდერი ლიდერი და მისი წამხედურობით სხვებიც მაინც იმეორებენ და იმეორებენ ერთხელ ამოჩემებულს და შუბლზე ძარღვიც არ შეუტოკდებათ, თუკი დღეს იმის აბსოლუტურად გამომრიცხავ თვალსაზრისს იტყვიან, რასაც გუშინ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ.**

# ზონდერები, ვეტო და შუბლის ძარღვი, ანუ ვინ გახდება ვახტანგ გომელაურის პრესმდივანი?

**ამ თემაზე, რა თქმა უნდა, პირველად არ ვწერ, ალბათ, არც უკანასკნელად. საქართველოს ხელისუფლებისთვის უკვე ყოველდღიურ ნორმად იქცა მიდგომა — წერე და იკითხე! ეგ კი არა, ზოგიერთი დღემდე ჯიუტად იყენებს ფრაზას — „საქართველოს ახალი ხელისუფლება", მაშინ, როდესაც უკვე დაწყებულია მეოთხე (ყველაზე კარგი და გადასარევი რომ უნდა ყოფილიყო) წელიწადი ამათი ხელისუფლებაში მოსვლიდან.**


ნინო გიორგობიანი


ირაკლი მაისურაძე


ნინო შუბლაძე

ცივილიზებული სამყაროს დიდი ნაწილი ხელისუფლებებს ოთხი წლის ვადით სწორედ იმიტომ ირჩევს ხოლმე, რომ დაკვირვებითა და გამოცდილებით დადგენილია — ოთხ წელიწადში ხელისუფლება ძველდება, ბერდება, დუნდება და გამოცვლასა და განახლებას საჭიროებს. აი, ჩვენში კი გუნდი, რომელიც მეოთხე წელიწადია, ქვეყანას მართავს, რატომღაც ისევ „ახალ" ხელისუფლებად ითვლება მავანთა თვალში.

საზოგადოდ, ამ, თუ გნებავთ, „ახალ" და რეალურად კი უკვე კარგად მოძველებულ და დამყაყებულ ხელისუფლებას სიჯიუტე ნამდვილად ახასიათებს.

**რამდენჯერაც უნდა მიუთითოთ ერთსა და იმავეზე, როგორი არგუმენტირებული შენიშვნაც უნდა მისცეთ, მათი მილიარდერი ლიდერი და მისი წამხედურობით სხვებიც მაინც იმეორებენ და იმეორებენ ერთხელ ამოჩემებულს და შუბლზე ძარღვიც არ შეუტოკდებათ, თუკი დღეს იტყვიან იმის აბსოლუტურად გამომრიცხავ თვალსაზრისს, რასაც გუშინ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ.**

მაგალითად, უკვე ძალიან სასაცილოა **ბიძინა ივანიშვილის** „ექსკლუზიური" ინტერვიუები, სადაც ის წინა ხელისუფლების „ზონდერებს" ეხება და ამბობს, „ნაზონდერალ" ადამიანებს უფლება არ აქვთ, სხვას მორალი უკითხონო!

ასევე, კომიკურია პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილისა** და ენერგეტიკის მინისტრ **კახი კალაძის** შიგადაშიგ აღშფოთება, როდესაც რომელიმე მათთვის მიუღებელი „ნაცი" რაიმე არასასურველს იტყვის ან ჩაიდენს.

ყურადღება მიაქციეთ — მათთვის მიუღებელი „ნაცი"-მეთქი!

დიახ! ფაქტია: განდევნილი რეჟიმის მანიაკები, ადამიანთა წამების თანამონაწილეები და „გამპრავებლები" განა ერთიანად დაგმობილ იქნენ ან განა ერთიანად ეპატიათ ჩადენილი დანაშაული და დანაშაულთა მხარდაჭერა? არა — ისინი დაიყვნენ „მისაღებ" და „მიუღებელ" ბანაკებად და „ოცნების" ბოსები, ხასიათის მიხედვით, ხან აგინებენ და ხან აქებენ მათ.

ასეთი კომიკური სიტუაცია, სიმართლე უნდა ითქვას, ხელისუფლების სათავეში „ოცნების" მოსვლის პირველივე დღეებში დაიწყო, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ იმხანად არც მე მიმიცია ამისთვის ამხელა მნიშვნელობა და ვერც წარმოვიდგენდი, თუ ეს პროცესი ასეთ მასშტაბს შეიძენდა.

„პირველი მერცხალი" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი **ნინო გიორგობიანი** გახლდათ.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სულ ცოტა, მოულოდნელი იყო, რომ **მაშინ, როდესაც „ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლას უამრავმა პროფესიონალმა ჟურნალისტმა შეუწყო ხელი და სიცოცხლის რისკის ფასად ეომა „ნაციონალების" დაუნდობელ რეჟიმს, ირაკლი ღარიბაშვილმა პირადი პრესმდივანი ამ ნაომარი და ბეწვზე გადარჩენილი ჟურნალისტთა კორპუსიდან კი არ შეარჩია, არამედ კოდუების „აირზენადან" გადმოიყვანა ყოფილი „პირველარხელი" ნინო გიორგობიანი.**

საგულისხმოა, რომ გიორგობიანი მანამდე მიშა სააკაშვილის ფავორიტი ჟურნალისტი იყო. **გათვითცნობიერებული მკითხველი იოლად გაიხსენებს, როგორ დახვდა მინსკიდან დაბრუნებულ ნინო გიორგობიანს პირადად სააკაშვილი ტრაპთან ყვავილებით, რის შემდეგაც ის მალევე „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" ჟურნალისტად მოგვევლინა.**

მოდი, ნუ მივაქცევთ ყურადღებას ერთ-ერთი ქართველი „ნაცჟურნალისტის" ამ „ბანალურ" წარსულს, მაგრამ ისეც და ასეც მაინც საინტერესოა, **რატომ არ ისურვა ღარიბაშვილმა, ჯერ კიდევ 2012 წელს პრესმდივანი შეერჩია იმ ჟურნალისტებისგან, რომლებიც მართლა სიცოცხლის რისკის ფასად დაუდგნენ გვერდით „ქართულ ოცნებას"?!**

რატომ და საიდან მოიფიქრეს, რომ შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსად დაენიშნათ ჟურნალისტი, რომელიც არხეინად ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე ჯოჯოხეთს და, მიშა მოიგებდა არჩევნებს თუ უშანგი, მაინც უსაფრთხოდ და უზრუნველყოფილად იქნებოდა?

სულ ცოტა, უმადურობასთან ნამდვილად გვაქვს საქმე...

**იმხანად ეს ამბავი მეც გაუთვითცნობიერებლობასა და სიბეცეს მივაწერე, მაგრამ ახლა ნამდვილად მახსენდება რამდენიმე ჟურნალისტის მიერ ჩემთვის „პრივატში" მოწერილი:**

**„ეს პროცესი „ნაციონალების" დაგეგმილია. გიორგობიანი პირველი მერცხალია და მას გამოიყენებენ, რომ ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო სტრუქტურის პრესსამსახური მათ ჩაიგდონ ხელში. როგორც მინიმუმ, ისეთ ჟურნალისტებს შეტენიან პრესცენტრებში, რომლებიც გამოჭერილი ჰყავთ და რომლებსაც, როცა სურთ და როგორც სურთ, ისე გამოიყენებენ. გიორგობიანი ეცდება, რომ ღარიბაშვილის ივანიშვილზე გავლენა გამოიყენოს და ყველა სტრუქტურაში თავისი დაქალოჩკა ჟურნალისტები დაანიშნინოს".**

სიმართლეს ვიტყვი: იმხანად ეს მოჭორილ-მოგონილ ფანტაზიად მივიჩნიე!

არც ახლა მსურს ჭორაობა!

ვერც იმას ვამტკიცებ, რომ ის, რაც შემდეგ მოხდა, მართლაც „გიორგობიანის მაფიამ" განაპირობა-მეთქი, მაგრამ ფაქტია: შედეგი მართლაც ის არის და იქით მიდის, საითაც ის ჩემი ნაცნობი ჟურნალისტები მიანიშნებდნენ!

**ყველა რაიონის შსს-ს სამმართველოებში „ალისტრახოები" რომ არიან დანიშნული და გამგეობების პრესსამსახურები რომ მიაქვს „ნაციონალების" ფავორიტებს, ამაზე ლამის ყოველდღიურად მწერენ საქართველოს 64-ვე რაიონიდან!**

მაგრამ ამ ყველაფრის ფონზეც კი **„საკონტროლო გასროლა" იყო „რუსთავი 2"-ის ყოფილი გენერალური დირექტორის მოადგილის, „კურიერის" შეფის — ნინო შუბლაძის დანიშვნა ჯანდაცვის მინისტრის მრჩევლად.**

ამ თემაზე გაზეთის წინა ნომერშიც დავწერე და ახლა მხოლოდ ერთს დავამატებ – **მინდა, ერთადერთი კითხვით მივმართო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მრჩეველს მედიასთან ურთიერთობის საკითხებში — ნინო შუბლაძეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს — ნინო გიორგობიანს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მრჩეველს მედიასთან ურთიერთობის საკითხებში — ირაკლი მაისურაძეს და რეჟიმისა და მანიაკიზმის სხვა მათნაირ „გამპრავებლებს":**

არ მაინტერესებს თქვენი წარსული! არაფერს ვამბობ წარსულზე. ახლა და ამ ვითარებაში მიპასუხეთ ოფიციალურად, გამოთქვით თქვენი აზრი:

**იყო თუ არა და ახლაც არის თუ არა ტელეკომპანია „რუსთავი 2" სიცრუის მანქანა? არის თუ არა ეს ტელეკომპანია „ნაციონალური მოძრაობის" დაკვეთების შემსრულებელი?**

აი, ამ კითხვებზე გამეცით ოფიციალური პასუხი და ხმას აღარ ამოვიღებ თქვენს წარსულზე!

დარწმუნებული ვარ, არც ერთი მათგანი და არც სხვა მათნაირი არ გაიფუჭებენ ურთიერთობას **ნიკა გვარამიასა** და სხვა „კოლეგებთან". იქნებიან „გაწონასწორებულნი" და ჩემნაირ „გადარეულს" ყურადღებისა და პასუხის „ღირსად" არ ჩათვლიან!

აი, ასეთი „ღირსეული" ადამიანების დამფასებლად ევლინება საქართველოს ბიძინა ივანიშვილი და ასეთ „ღირსეულ" ზნეობას ამკვიდრებს იგი ჩვენს ქვეყანაში!

ანუ **უნდა გავიტრუნოთ, არავის ვაწყენინოთ, არც მწვადი დავწვათ, არც — შამფური, რეჟიმთან და მანიაკებთან თანამშრომლობაზეც უნდა დავთანხმდეთ, არ უნდა გავაპროტესტოთ და, როცა მილიარდერი მოგვაქცევს ყურადღებას, მხოლოდ მაშინ უნდა გადავიდეთ ერთი ნაპირიდან მეორე, უფრო მომგებიან ნაპირზე! — აი „ბიძინას მორალი"!**

სწორედ ამ ფონზე სასაცილოა პრეზიდენტ მარგველაშვილის დადანაშაულება იმაში, რომ მან „ნაცების შეკვეთით" რამეს ვეტო დაადო ან რომელიღაც „ნაცის" ოჯახის წევრი შეიწყალა.

აი, ამას ჰქვია სწორედ შუბლზე ძარღვის გაწყვეტა!

მართლა მაინტერესებს პასუხი კითხვაზე — **რაიმე საკითხზე ვეტოს დადება უფროა „ნაციონალებთან შეკრულობის" მაჩვენებელი თუ იმავე „ნაცების" ბობოლა იდეოლოგების დანიშვნა მინისტრების მრჩევლებად და კიდევ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე?**

„ოცნებავ" და ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერებო, ჯერაც არ დადგა დრო, რომ გაერკვეთ და ერთ პოზიციაზე ჩამოყალიბდეთ?

**რომელ პოზიციას „აწვებით":**

**1. „ნაციონალობა" და მათი „გამპრავებლობა" მიუტევებელი დანაშაულია და მათ უფლება არ აქვთ, „მორალს გვიკითხავდნენ"?**

**2. მერე რა მოხდა, რომ „ნაციონალი" იყო ან „აპრავებდა" მათ. ისიც ხომ ჩვენი თანამოქალაქეა და აქვს თანამდებობაზე ყოფნის უფლება?**

იქნებ ჩამოყალიბდეთ, ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციას შორის რომელია სწორი?

თორემ ეგრე, **„ხან ისე და ხან ასე" რომ მიედ-მოედებით, დამიჯერეთ, ძალიან არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებთ პოტენციურ ამომრჩეველზე.**

ერთიც — ნინო შუბლაძისა და მისნაირების დანიშვნაზე ზოგიერთ უღირს ადამიანს ისევ და ისევ აქვს „არგუმენტები", რომლებითაც ასეთ დანიშვნებს „ამართლებს"

***არგუმენტი 1-ელი:**

**„აბა, რა ვუყოთ, ვინც დასაქმებული იყო „ნაციონალების" დროს, დავხოცოთ?"**

ამაზე, მინდა, ასე ვუპასუხო: რომელ ლოგიკას იყენებთ მსჯელობისას? **ყველაზე უნამუსო სოფისტიც კი არ იკადრებდა ასეთი „არგუმენტებით" კამათს!**

როგორ? ადამიანების სახელისუფლო თანამდებობებზე არდანიშვნა მათ დახოცვას ნიშნავს?

ანუ ალტერნატივა ეგაა, რომ, თუკი არ დავნიშნავთ სახელისუფლო თანამდებობებზე, ესე იგი, უნდა დავხოცოთ?

აქ, რა თქმა უნდა, ან სრულ სიჩლუნგესთან გვაქვს საქმე, ან მიზანმიმართულ დემაგოგიასთან, მაგრამ ორივე შემთხვევაში მარტივად გიპასუხებთ:

**არავინ არავის დახოცვას არ მოითხოვს! უბრალოდ, ასეთი ადამიანები არ უნდა ინიშნებოდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე!**

***არგუმენტი მე-2:**

**„რას ერჩით შუბლაძეს? ის ყოველთვის გაწონასწორებული იყო! რა შუაშია ნინო შუბლაძე „რუსთავი 2"-ის მავნებლურ პოლიტიკასთან?"**

აი, ეს უკვე დემაგოგიის ნიმუშადაც ვერ გამოდგება და პირდაპირ მძიმე გონებრივ სიჩლუნგეზე მიუთითებს.

ამიტომ ასეთი „არგუმენტებით" მოლაპარაკე ადამიანებს აქვე ვთავაზობ:

გვითხარით, აბა, **თქვენი აზრით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ „რუსთავი 2" წლების განმავლობაში დეზინფორმაციას ავრცელებდა და მავნებლურ საინფორმაციო პოლიტიკას აწარმოებდა?**

**ამ ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურის უფროსსა და გენერალური დირექტორის მოადგილეს რომ პასუხისმგებლობას არ აკისრებთ, ეს გავიგეთ უკვე!**

მაშ, ვინ არის პასუხისმგებელი?

მხოლოდ **ვანო ჯავახიშვილი? ან მხოლოდ ვანიკო თარხნიშვილი? ან იქნებ ბუფეტის რომელიმე თანამშრომელი? აააა, დაცვის ბიჭები?**

რა ვიცი, თქვენნაირ „ჭკვიანებს", შესაძლოა, ძალიან ბევრი ვერსია ჰქონდეთ!

ისე, ერთი ასეთი ფიქრიც მიტრიალებს თავში:

მოგეხსენებათ, ახლა შეიქმნა უშიშროების სამინისტრო, რომლის მინისტრად **ვახტანგ გომელაური** დაინიშნა...

და, ნეტავ, **რომელ ყოფილ ან მოქმედ „რუსთავი 2"-ელს, ანუ რომელ „პროფესიონალ ნაციონალს" დანიშნავენ ამ უწყების პრესსამსახურის უფროსად?**

სავარაუდო პასუხისთვის ნუ აჩქარდებით, ყურადღებით გადახედეთ „კურიერის" არქივს!

აკი, **„ოცნება", როგორც ჩანს, სწორედ იქიდან აწარმოებს კადრების „სანთლით ძებნის" პროცედურას...**

**ბაკურ სვანიძე**

„1931-დან 1986 წლამდე საქართველოში 31 ათასამდე მგელი მოკლეს და მისი რაოდენობა ევროპულ სტანდარტებამდე ვერა და ვერ დაიყვანეს, თუმცა ყოველწლიურად, საშუალოდ, 628 მგელს კლავდნენ. ახლა კი, როდესაც მგელი ისე გამრავლდა, რომ ეზოებიდან პირუტყვს იტაცებს და ადამიანებს სახლებში უვარდება, როგორღა არის ის გადაშენების პირას?!“

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ოთარ ლომთაძე:

# გრანტიჭამია «მგლების» — იასონ ბადრიძისა და ზურაბ გურიელიძის «მეცნიერული» მოღვაწეობით სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ

**ამა წლის 15 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის ვიცეპრეზიდენტ თეიმურაზ ნანეიშვილის თაოსნობით, გაიმართა სპეციალური კომისიის რიგით მეორე სხდომა, რომელიც მიეძღვნა მგლის პრობლემას ჩვენს ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ პირველი სხდომა ჩატარდა თითქმის 13 წლის წინათ, კერძოდ, 2002 წლის 25 სექტემბერს. კომისიის მიერ იმხანად შეთავაზებული რეკომენდაციები გარემოს დაცვის სამინისტრომ არაფრად ჩააგდო, შედეგად მივიღეთ: 14 დაღუპული და ათობით დაკბენილი ადამიანი, ათასობით განადგურებული შინაური პირუტყვი და ძალზე დაშინებული სოფლის მოსახლეობა. რამდენიმე ადამიანმა შეძლო მტაცებლის ხელით გაგუდვა, თორემ დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა. იმედია, ხელისუფლება ახლა მაინც დაუგდებს ყურს კომპეტენტური კომისიის რჩევა-დარიგებას და თავიდან აიცილებს სოფელში მცხოვრებთა სამართლიან რისხვას. ამ საკითხზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ საპატიო მონადირე, ორი ფუნდამენტური ნაშრომის — „სანადირო თოფისა“ და „ბუნება და ნადირობის“ — ავტორი ოთარ ლომთაძე. სწორედ მის მიერ წარდგენილი ფაქტობრივი მასალის განხილვას მიუძღვნა მეცნიერებათა აკადემიამ ზემოხსენებული სხდომა.**



იასონ ბადრიძე



ზურაბ გურიელიძე

**— ბატონო ოთარ, რა მასალა წარუდგინეთ კომისიას?**

— ოცი წელია, მგლების მიმართ ხორციელდება იმ ქმედებების საპირისპირო ქმედებები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მიღებული საქართველოში თუ ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში.

**— რაში გამოიხატება ეს „საპირისპირო ქმედება“?**

— როგორც საქართველოში, ისე ევროპაშიც მგელს საუკუნეთა განმავლობაში არ აძლევდნენ თარეშის უფლებას, რადგან, როგორც კი ადამიანმა ცხვარ-ძროხა მოიშინაურა და საძოვრად გაიყვანა, მგელმა ისინი მაშინვე თავის „მენიუში“ შეიტანა.

**— მგელს დააკლდა ირემი და შველი?**

— ირემი და შველი რომ დაიმორჩილოს, მგელმა 7-8 წარუმატებელი ცდა მაინც უნდა გააკეთოს, მაშინ, როდესაც ცხვარს პირველივე შეტევაზე დაიმორჩილებს. ამას, რასაკვირველია, ადამიანი ვერ შეეგუებოდა და დაიწყო დიდი დაპირისპირება, რომელიც, დაახლოებით, 8 ათასი წელი გრძელდება. ავსტრიამ და დიდმა ბრიტანეთმა მგელი, როგორც გამოუსწორებელი „ყაჩაღი“, სულ მოიშორა თავიდან. სხვა ქვეყნებმა დაიტოვეს რამდენიმე ათეული ან ასეული მგელი, როგორც ბიომრავალფეროვნების ელემენტი და შემდეგ მასზე ნადირობა აკრძალეს.

**— უფრო კონკრეტული რიცხვები რომ დაასახელოთ?**

— ბოლო 30 წელიწადია, ევროპის ქვეყნების ტერიტორიის 1000 კვადრატულ კილომეტრზე 0,1-4 მგელია. **გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოს მაჩვენებელი ათას კვადრატულ კილომეტრზე 52 (!) მგელი იყო, იასონ ბადრიძის, ზურაბ გურიელიძის და სხვა „ნაკრესელთა“ დაჟინებით, საქართველოს ხელისუფლებამ მგლის რაოდენობის რეგულირება შეწყვიტა და რამდენიმე წელიწადში ქვეყანა მგლებით აივსო, ანუ გაჩნდა იმ რეგიონებშიც, სადაც ბოლო ასი წელი მგელი თვალითაც არ უნახავთ! სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა!** ამ საკითხს 2003 წლის 17 ოქტომბერს ერთ-ერთ გაზეთში მივუძღვენი წერილი სათაურით „ჩხობაძის გრანტიჭამია მგლები“, რომელსაც „ნაკრესელებმა“ ცინიკურად უპასუხეს წერილით „ჩვენ გრანტიჭამია მგლები ვართ“. გარემოს დაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა ნინო ჩხობაძემ პირში წყალი ჩაიგუბა, თუმცა, საკუთარი პერსონის დაზღვევის მიზნით, ორივე თანამშრომელი — იასონ ბადრიძე და ზურაბ გურიელიძე — სამინისტროდან გააძევა. მიუხედავად ამისა, ბადრიძე-გურიელიძის რეკომენდაციით მიღებული კანონები უცვლელად დატოვა, რის გამო მგლები სოფლის მოსახლეობას დღემდე აწიოკებენ.

**«გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოს მაჩვენებელი ათას კვადრატულ კილომეტრზე 52(!) მგელი იყო, იასონ ბადრიძის, ზურაბ გურიელიძისა და სხვა «ნაკრესელთა» დაჟინებით საქართველოს ხელისუფლებამ მგლის რაოდენობის რეგულირება შეწყვიტა და რამდენიმე წელიწადში ქვეყანა მგლებით გაივსო, ანუ გაჩნდა იმ რეგიონებშიც, სადაც ბოლო ასი წელი მგელი თვალითაც არ უნახავთ! სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა!»**

საქმე გაჭიანურდება და ზარალს ზარალი მიემატება, ვიდრე მგლის პრობლემით სამართალდამცავი ორგანოები არ დაინტერესდებიან! **გრანტიჭამიათა და გარემოს დაცვის სამინისტროში მოკალათებულ მათ მიმდევართა ქმედებებში აშკარად შეინიშნება საბოტაჟი, ანუ საქმის განზრახ ჩაშლა. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს: როგორ მოხდა, რომ საქართველოს ევროპის ქვეყნებთან შედარებით განუზომლად მეტი მგელი და, ამასთანავე, გაცილებით ნაკლები გარეული ჩლიქოსნები — მგლის ბუნებრივი საკვები — ჰყავს; რატომ შეწყდა ამ მტაცებლის რაოდენობის რეგულირება, ანუ ყოველწლიურად 500 მგლის დახოცვა და როგორ მოხდა „ცხოველთა სამყაროს“ შესახებ კანონში 36-ე მუხლის 3-ე პუნქტის — პრემიალური სისტემის — გაუქმება.**

**— აკი თქვით, ევროპის ქვეყნებში მგელზე ნადირობა აკრძალულიაო?**

— **დავიყვანოთ მგლის რაოდენობა საქართველოში ევროპულ სტანდარტებამდე —150-200 სულამდე და მერე ჩვენც ავკრძალოთ! დღეს კი იმ ცხოველზე ნადირობის აკრძალვა, რომელიც სიმრავლით ევროპულ სტანდარტებს, სულ ცოტა, ათჯერ აჭარბებს, დანაშაულია და ამ მავნებლობის მოთავეები უნდა დაისაჯოს! გრანტიჭამია „მგლების“ — იასონ ბადრიძისა და ზურაბ გურიელიძის „მეცნიერული“ მოღვაწეობით სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ!**

**— ბატონო ოთარ, იქნებ უფრო დაწვრილებით აგვიხსნათ, როგორ ხდება მგლის რაოდენობის რეგულირება?**

— ვთქვათ, გვყავს 1500 მგელი. მისი ბუნებრივი ნამატი, საშუალოდ, 30% -ია. თუ არ გვინდა, რომ მისი რაოდენობა გაიზარდოს, ყოველწლიურად 30%-ის, ანუ 500 მგლის ლიკვიდაციაა აუცილებელი.

**— და ამ მტაცებლის რაოდენობა ასე დაუსრულებლად გაიზრდება ყოველწლიურად?**

— არა. მგელი, თავის რიცხოვნობას თვითონვე არეგულირებს მსხვერპლის რაოდენობიდან გამომდინარე. ჩვენთან კი მისი მსხვერპლი არის 6 მილიონი სული შინაური პირუტყვი და 20 ათასი სული ველური ჩლიქოსანი; ანუ მგლის რაციონშია 99%-ზე მეტი სული შინაური პირუტყვი და 1%-ზე ნაკლები გარეული ჩლიქოსნები.

**— გამოდის, საქართველოში მგელი 99% -ით პარაზიტია და 1%-ით „სანიტარი“?**

— ასეა! აი, რატომ დაიტოვა საქართველოს ტერიტორიის ხელა ჩეხეთმა მხოლოდ 20 (ოცი!) მგელი, მიუხედავად იმისა, რომ 300 (სამასი!) ათასზე მეტი ირემი, შველი და გარეული ღორი ჰყავს! მგელი მანამდე გამრავლება, ვიდრე მისი რაოდენობა საძოვრებზე მისთვის ხელმისაწვდომი შინაურ პირუტყვთან შესაბამისი არ იქნება! ეს კი ცივილიზებული ქვეყნებისთვის, რომლის შინაური პირუტყვის რაოდენობა ასჯერ აღემატება გარეული ჩლიქოსნებისას, მიუღებელია!

**— მიგაჩნიათ, რომ ეს გარემოს დაცვის სამინისტროსა და „ნაკრესში“ არ იციან?**

— რა მნიშვნელობა აქვს, არ იციან თუ ვითომ არ იციან?! ორივე შემთხვევაში შედეგი ტრაგიკულია და პასუხს არავინ აგებს!

**— ბატონო ოთარ, განაცხადეთ, რომ მოხდა საბოტაჟი და შემდეგ ყველა ქმედება ამ დანაშაულის შენიღბვას ემსახურებაო. მოიყვანთ მაგალითებს?**

— კი, ბატონო! პირველი მაგალითი: 1996 წელს CITES -ს საერთაშორისო კონვენციაში, საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ცხოველების სიაში შეიყვანეს... მგელი! და ამის შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები თავს ასე იმართლებენ: რა ვქნათ, მტაცებლების დაცვას საერთაშორისო კონვენციები გვავალდებულებენო. გამოსაძიებელია, ვინ დაარწმუნა უცხოელები ამ სიცრუეში, მათ ხომ ასეთი რამ არ დაესიზმრებოდათ?! წარმოიდგინეთ, **1931-დან 1986 წლამდე საქართველოში 31 ათასამდე მგელი მოკლეს და მისი რაოდენობა ევროპულ სტანდარტებამდე ვერა და ვერ დაიყვანეს, თუმცა ყოველწლიურად, საშუალოდ, 628 მგელს კლავდნენ. ახლა კი, როდესაც მგელი ისე გამრავლდა, რომ ეზოებიდან პირუტყვს იტაცებს და ადამიანებს სახლებში უვარდება, როგორღა არის ის გადაშენების პირას?!** ამ საკითხზე საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გავუგზავნეთ მიმართვა, რომელსაც ხელს აწერს 23 ცნობილი პიროვნება, მათ შორის არიან იურისტები, ზოოლოგები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

საქართველომ 2014 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ავალდებულებს, მივუახლოვდეთ ევროკავშირის სტანდარტებს განათლების, მედიცინის, თავდაცვის, იურისპრუდენციის თუ გარემოს დაცვის სფეროში. ხელისუფლებამ უნდა დაავალოს გარემოს დაცვის სამინისტროს, რომ საქართველოში მგლის რაოდენობა მოსახლეობისთვის უსაფრთხო დონემდე დაიყვანოს!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

«ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2009 წელს თელ-ავივში ერთ-ერთ ასეთ ცენტრში შევიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი და ავტომატის ჯერით დაცხრილა იქ შეკრებილები; 2 ადამიანი დაიღუპა, 15 დაიჭრა. ტერორისტმა აღიარა, რომ დანაშაულის მოტივად იქცა ის გარყვნილი ქმედება, რომელიც ხდებოდა ამ ცენტრში და რომელშიც ჩაითრიეს მისი უახლოესი ნათესავი.

# ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად გამოაცხადა

## «სიყვარულმა, მე კი არა, გადარია ტარიელი»

**ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა: დაავადება „სიყვარულის“ საერთაშორისო შიფრია F63.9. სიყვარული გაუთანაბრეს „ჩვეულებისა და მისწრაფების აშლილობას“, ისეთს, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია, კლეპტომანია და აზარტული თამაშებით მანიაკური გატაცება.**

წერტილი დაესვა ამაღლებულ, უწმინდეს, ღვთაებრივ გრძნობას, რომელიც ზეციურ, უზენაეს არსებათათვის არის დამახასიათებელი: „იგია საქმე, საზეო, მომცემი ალმაფრენათა“, — ამბობდა შოთა რუსთაველი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებამდე რვა საუკუნით ადრე დასძენდა:

**„მიჯნურსა თვალად**
**სიტურფე ჰმართებს**
**მართ, ვითა მზეობა,**
**სიბრძნე, სიუხვე,**
**სიმდაბლე, სიყრმე**
**და მოცალეობა,**
**ენა, გონება, დათმობა,**
**მძლეთა მებრძოლთა**
**მძლეობა,**
**ვისაც ეს სრულად**
**არა სჭირს,**
**აკლია მიჯნურთ ზნეობა“.**

დამთავრდა!

და არცა ღირს სიტყვის გაგრძელება, ამაო იქნება დროის უაზრო ფლანგვა, რადგან, ნეოლიბერალური აზროვნების მოდის მიმდევარ მეცნიერ-მედიკოსთა მიხედვით, სიყვარული ფსიქიკური აშლილობაა.

ანუ — სიგიჟე.

რომელსაც, ზემოთ დასახელებული ორგანიზაციის მტკიცებით, შემდეგი საერთო სიმპტომები ახასიათებს: **„სხვა ადამიანზე აკვიატებული ფიქრი, განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა; საკუთარი ღირსების გაზვიადებული შეფასება; საკუთარი პიროვნების სიბრალული; უძილობა; იმპულსური ქმედება; არტერიული წნევის ცვალებადობა; თავის ტკივილი; ალერგიული რეაქციები, აკვიატებული იდეის სინდრომი“.** მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ფსიქიკური ავადმყოფობის ნიშანია.

კი სხედან სამედიცინო ოლიმპზე პატივცემული გვამები, მაგრამ მათი პრიმიტიული დასკვნა პრიმიტიული მეთოდითვე ბათილდება, ანუ „შესაკრებთა გადაადგილებით იცვლება ჯამი“: ნებისმიერი მკითხველისთვის თვალშისაცემი ხდება მათი დასკვნების შეუთავსებლობა სიყვარულთან.

**მეტი სიცხადისთვის: „ახალი აღმოჩენის“ ავტორები ამტკიცებენ — სიყვარულის სიმპტომია, მაგალითად, თავის ტკივილი. გადავაადგილოთ ამ „თეორემის“ ელემენტები და გამოვა, რომ თავის ტკივილი არის სიყვარული, ანუ, თუ ადამიანს ასტკივდება თავი, აუწევს წნევა, შეაწუხებს უძილობა და ა.შ., ექიმს კი არ უნდა მიმართოს, არამედ მკითხავთან მივიდეს იმის გასარკვევად, ცალმხრივია მისი სიყვარული თუ შეიძლება, რაღაც იმედი ჰქონდეს „ნამეტნავად შეყვარებულს“.** თუ ფსიქიატრთან მივა მიღებაზე, შეიძლება, რამე ეშველოს; თუ არა, მაშინ საკუთარი ნებით უნდა ჩაჯდეს ხუტა უფროსის საპყრობილის მესამე ჭურში და უსმინოს ბიძია-ბაბუის, იმავე ქრისტეფორე მგალობლიშვილის ორიგინალურობით გამორჩეულ აკვიატებულ სენტენციებს იმის თაობაზე, რომ **„სიგრძე უდრის სიყვარულს!.. სიგანე — რწმენას!“ და, რაც მთავარია, „სიყვარული ვერტიკალურია და თანაც — ბრუნვადი“.**

**ამავე პათოსით თუ განვაგრძობთ მსჯელობას და ვირწმუნებთ მეცნიერთა დასკვნას, რომ სიყვარულის (არანორმალურობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომია აკვიატებული აზრი, მაშინ ნატოსკენ სასიყვარულო სწრაფვის, მაპის ან მაპზე უკეთესის მიღების ჩვენი დაუოკებელი სურვილი (აკვიატებული აზრი) ხომ შეიძლება ნიშნავდეს ტვინის აშლილობას?!**



**თუ ვირწმუნებთ მეცნიერთა დასკვნას, რომ სიყვარულის (არანორმალურობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომია აკვიატებული აზრი, მაშინ ნატოსკენ სასიყვარულო სწრაფვის, მაპის ან მაპზე უკეთესის მიღების ჩვენი დაუოკებელი სურვილი (აკვიატებული აზრი) ხომ შეიძლება ნიშნავდეს ტვინის აშლილობას?!**

**მაშასადამე, შეყვარებული ერთნაირსქესიანებიც ნოშრევან კუჭუხიძის ნეო-ნერვო-კლინიკის პაციენტები ყოფილან.**

ხუმრობთ, ბატონო? მე კი ვცდილობ, ვიხუმრო, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მესვეურები სერიოზულად რომ გვიმტკიცებენ სიყვარულის უფაქიზესი გრძნობის სიგიჟესთან იგივეობას, იმას რა ეშველება?!

ხუმრობენ და გვაბითურებენ.

ამათ მიმდევარ მეცნიერებს, მათ შორის, მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მკვლევარებს, კერძოდ, **ხეორხინა მონტემაიორ ფლორესს,** მიაჩნიათ, რომ სიყვარული შეიძლება გაგრძელდეს დიდი-დიდი ოთხ წელიწადს და ამას ფიზიოლოგიური მიზეზებით ხსნიან.

არავითარი სულიერება!

რომელ მაღალ ზნეობრიობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კვალზე ერთნაირსქესიანთა დაქორწინების ლეგალიზაციის შესახებ და სახელმწიფო მდივნის — **ჯონ კერის** განცხადების თანახმად, რომ ამერიკა იზრუნებს მსოფლიოში ლგბტ პირების თანასწორუფლებიანობაზე, ამერიკის ჩრდილოეთმა შტატებმა ახალი წამოწყებით გააოგნა მსოფლიოს საზოგადოებრიობა: **„ამერიკის ბიოსკაუტების“ მოძრაობამ გააუქმა წესი, რომლის თანახმად მამათმავლებს ამ ორგანიზაციის რიგები უნდა დაეტოვებინათ, როგორც კი 18 წელს მიაღწევდნენ.** ამ აკრძალვის გაუქმებას მხარი დაუჭირა ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის 45 წევრმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 12 კაცმა.

სკაუტების მოძრაობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში 1907 წელს დაარსდა, მსოფლიოშია გავრცელებული. იგი მოწოდებულია, იზრუნოს მოზარდების ფიზიკური, სულიერი და გონივრული განვითარებისთვის, რათა ჭაბუკებს შეექმნათ ცხოვრებაში კარიერული წინსვლის სერიოზული საფუძველი. სიტყვა **სკაუტი** ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც **მზვერავი.**

კეთილშობილური მისია აკისრია სკაუტობას ან, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კეთილშობილური მისია ჰქონდა დაკისრებული, რადგან **რომელ კეთილშობილებასა და ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ახალი თაობის აღზრდა მოწიფულ მამათმავლებს ჩააბარეს?!** „ეს ცვლილება შესაძლებლობას მისცემს სკაუტებსა და მათ მშობლებს, ამოირჩიონ (ბავშვების აღსაზრდელად) ისეთი რაზმები, რომლებიც მათ რწმენასთან იქნება ახლოს, და რაც (ლგბტ-ელებთან ურთიერთობა) ასე სჭირდება თანამედროვე ოჯახებს“, — გახარებულია სკაუტელთა მოძრაობის პრეზიდენტი, აშშ თავდაცვის ყოფილი მინისტრი **რობერტ გეიტსი.**

გიხაროდენ, ამერიკა!

გიხაროდენ კიდევ იმიტომ, რომ ამერიკელ მოსწავლეებს ჰომოსექსუალიზმის ისტორიის კურსს წაუკითხავენ! **სან ფრანცისკოს ხელოვნების სკოლა იქნება აშშ-ის საშუალო განათლების სისტემის პირველი დაწესებულება, სადაც მოსწავლეებს პირველად აზიარებენ სექსუმცირესობათა ისტორიას, საგანს, რომელიც ასე აუცილებელი ყოფილა ბავშვებისთვის ფართო და მრავალმხრივი განათლების მისაღებად.**

„ჩვენ განვიხილავთ, როგორ ცხოვრობდნენ გეები, ლესბოსელები და ტრანსგენდერები“, — კარტს ხსნის სოციოლოგი **ლინდსი შლაკსი**, რომელიც წაუკითხავს ამ მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის კურსს სანფრანცისკოელ ბავშვებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ლგბტ-ელთა ღვაწლს ლიტერატურის, ხელოვნების, მედიის, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების საქმეში.

უცხოეთის პრესაში ხაზგასმით გამოყოფენ ფაქტს, რომ აღნიშნული ლექციები დამუშავდა უფლებადამცველ **კლივ ჯონსის** მონაწილეობით.

ამ ხაზგასმაში მთავარი ის კი არ არის, რა ავტორიტეტია კლივ ჯონსი (არის თუ არა ავტორიტეტი), არამედ ის, რომ ლექციების კურსი ადამიანის უფლებათა ქარგის მიხედვითაა შეკოწიწებული.

ესაა მისი უპირატესობა და მაღალი დანიშნულება!

შლაკსი მომავალი მოსწავლეების თანასწორუფლებიანობისთვის იბრძვის, რადგან სან ფრანცისკოს ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა 28 პროცენტი მიიჩნევს, რომ არატრადიციული სექსორიენტაციისაა ან ჯერჯერობით ვერ გაურკვევია, გოგოა თუ ბიჭი. ეს ქალბატონი (ან პირიქით) დაეხმარება, გაარკვიონ, ვინ ვინ არის და დაიცავს მათ უფლებებს. მით უფრო, რომ ქალაქსა და შტატში ამ კუთხით საკმაოდ არეული ვითარება იყო ისტორიულად, ხოლო ჰომოსექსუალური ურთიერთობების რეგისტრაციის პრობლემა დღემდე ვერ მოუწესრიგებიათ. 2004 წელს სანფრანცისკოს მერად აირჩიეს **გევინ ნიუსომი**, რომელიც მამათმავლებს, როგორც მოესურვებოდა, ისე აძლევდა ერთნაირსქესიანთა დაქორწინების ცნობას. კალიფორნიაში ამგვარი კავშირები მხოლოდ 2013 წელს გააოფიციალურეს.

ნიუსომის ნებართვით გაცემული ცნობები შტატის კანონების დარღვევად იქნა მიჩნეული და გააუქმეს. ამას მოჰყვა სასამართლო დავები, რომლებიც მოსარჩელეთა (მამათმავალი წყვილების) გამარჯვებით დამთავრდა.

აქაურმა სამართალმა პური ჭამა — პურს ნუ დაარქმევთ, ოღონდ.

### გრანტები ლგბტ პროპაგანდისთვის

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, საიდან ფინანსდება ასე გახშირებული მამათმავლური არასამ- ▶

მოკლედ



## ოსამა ბინ ლადენის და და დედინაცვალი ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ

**31 ივლისს ინგლისში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად „ალ ქაიდას“ ყოფილი ლიდერის — ოსამა ბინ ლადენის და და დედინაცვალი დაიღუპნენ.**

მცირე ზომის თვითმფრინავი, რომელიც ჰემფშირის საგრაფოს ტერიტორიაზე ჩამოვარდა, იმ საავიაციო კომპანიისაა, რომელიც ბინ ლადენის ოჯახს ეკუთვნის. ბორტზე პილოტი და სამი მგზავრი იმყოფებოდნენ, ყველა დაიღუპა. თვითმფრინავმა კატასტროფა დაფრენისას განიცადა.



„ახალი აღმოჩენის“ ავტორები ამტკიცებენ — სიყვარულის სიმპტომია, მაგალითად, თავის ტკივილი. გადავაადგილოთ ამ „თეორემის“ ელემენტები და გამოვა, რომ თავის ტკივილი არის სიყვარული, ანუ, თუ ადამიანს ასტკივდება თავი, აუწევს წნევა, შეაწუხებს უძილობა და ა.შ., ექიმს კი არ უნდა მიმართოს, არამედ მკითხავთან მივიდეს იმის გასარკვევად, ცალმხრივია მისი სიყვარული თუ შეიძლება, რაღაც იმედი ჰქონდეს „ნამეტნავად შეყვარებულს“.

## «ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თავრობო ორგანიზაციები სახელწოდებით „იდენტობა“.

ამ თემას გაკვრით ეხება ბრიტანეთის ცენტრალური გაზეთის — **„გარდიანის“** წლევანდელი 16 იანვრის ნომრის წერილი. სტატიაში ნათქვამია, რომ მანჩესტერში გაიხსნა სპეციალური სკოლა ისეთი ბავშვებისთვის, რომლებმაც საკუთარი თავი ჰომოსექსუალებად, ლესბოსელებად, ტრანსგენდერებად ან ბისექსუალებად მიიჩნიეს. გაზეთის აზრით, ბოლო ხანს ბრიტანეთში იზრდება შეშფოთება ლგბტ-მოსწავლეების დისკრიმინაციის შემთხვევების გამო კლასელებისა და მასწავლებლების მხრიდან, რაც დაუშვებელიაო. ამიტომ ქალაქის მერიამ გამოუყო 63 000 გირვანქა სტერლინგი ლგბტ ახალგაზრდული ჩრდილო-დასავლეთის ასოციაციას ახალი ცენტრის დასაარსებლად. ეს ცენტრი მომავალში შეიძლება გადაკეთდეს საერთო-საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებად.

ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა **ემილია ლიმ** დაადასტურა, რომ მისმა ორგანიზაციამ მართლაც მოიგო მერიის გრანტი აღნიშნული თანხის ოდენობით ახალი საკონსულტაციო-განმანათლებლური ცენტრის დასაფუძნებლად.

ემილია ლიმ ისიც განაცხადა, რომ **ცენტრი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში აპირებს მანჩესტერის 10 000 მოსწავლის ჩართვას. ეს პროგრამებია: „ლგბტ ისტორია“ და (მიაქციეთ ყურადღება!) სპეციალური მეცადინეობები ლგბტ თემაზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენის, ბუნებისმეტყველების, ფიზკულტურისა და სხვა გაკვეთილების მსვლელობისას(!).**

საბავშვო ცენტრი, რომელიც 12 წელს მიღწეული ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელებისთვის არის განკუთვნილი, მუშაობს კვირაში 2 დღეს — სამშაბათობით (19:30 საათიდან 22:00 საათამდე) და შაბათობით (15:00 საათიდან 19:00 საათამდე). ამ დროს ჰომოსექსუალ ბავშვს შეუძლია, ისაუბროს მისთვის საინტერესო საკითხებზე უფროს და გამოცდილ სპეციალისტთან.

**ახალგაზრდული ლგბტ-ცენტრები დღეს მთელ „ცივილიზებულ სამყაროშია“ გახსნილი. საიდუმლო არ არის, რომ ამ ადგილებში გამოცდილი, გახრწნილი ადამიანები პოულობენ ნორჩ პარტნიორებს თავიანთი გაუკუღმართებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.**

2009 წელს თელ-ავივში ერთ-ერთ ასეთ ცენტრში შევიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი და ავტომატის ჯერით დაცხრილა იქ შეკრებილები; 2 ადამიანი დაიღუპა, 15 — დაიჭრა. ტერორისტმა აღიარა, რომ დანაშაულის მოტივად იქცა ის გარყვნილი ქმედება, რომელიც ხდებოდა ამ ცენტრში და რომელშიც ჩაითრიეს მისი უახლოესი ნათესავი.

### საიდან მოდის ავი ზნე?

უთუოდ იმ დოქტრინიდან, რომელიც აშშ-მა თავის დროზე საფუძვლად დაუდო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობას. ამ დოქტრინის პრინციპების ეფექტიანობა სუპერსახელმწიფოების დაპირისპირების პერიოდში მოსინჯეს ამერიკელებმა, შემდეგ თანდათან მსოფლიოს „ჯიუტ სახელმწიფოებზე“ გამოსცადეს და ახლა, როგორც ჩანს, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებენ.

**დალესის დოქტრინის** სახელით ცნობილი პროგრამის ამოსავალი დებულება ასეთია:

**„ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ოქრო სრულად, მატერიალური სიმძლავრეები და რესურსი, უნდა მივმართოთ ადამიანების გამოსათაყვანებლად და გამოსაყეყეჩებლად. ადამიანის ტვინი, ადამიანის შეგნება ცვლილებისკენ არის მიდრეკილი. რუსეთში ქაოსს რომ დავთესთ, მათ ღირებულებებს შეუმჩნევლად შევცვლით ყალბი ღირებულებებით... ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებსა და მოკავშირეებს თვით რუსეთში...“**

ეს ყველაფერი მიმართული იქნება „დედამიწაზე ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი ხალხის“ — რუსების დასაღუპად, „მისი თვითშეგნების საბოლოოდ ჩასანავლებლად“.

**დოქტრინის ავტორი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის დასამარცხებლად, საჭიროა, ადამიანებს თავში ჩაუტენონ „სექსის, ძალადობის, სადიზმის, ღალატის, ერთი სიტყვით, ყოველგვარი უზნეობის კულტი“. დღეს მთელი ეს თაიგული თანამემამულეების წინააღმდეგ მიმართა აშშ-ის ლგბტ-ძალადობის მამათმავლურმა პროპაგანდისტულმა მანქანამ.**

### რას გადავურჩით...

გადავურჩით ამ მღვრიე ნაკადის მთელი ძალით შემოტევას, იმ ზნეობრივ გაუპატიურებას, რომელსაც პრეზიდენტყოფილი **„პატრიოტთა ბანაკებიდან“** იწყებდა.

**სააკაშვილის ვითომ საღლაბუცო მოწოდება წესიერი ოჯახებიდან ბანაკებში მიყვანილი მოზარდების მიმართ, — ბუჩქებში გადადითო, იყო პირველი ნიშანი, რომელსაც მამათმავლობის დიდი შტორმის მეცხრე ტალღა უნდა მოჰყოლოდა.**

**სააკაშვილის ბუჩქომანიას ჩვენ კი გადავურჩით, მაგრამ (ყურადღება!) ამერიკაში «სხვა რაკურსით» იბარტყა: 31 ივლისს სააგენტო Metro-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ (ტექსტი სიტყვასიტყვითი ასე ითარგმნება) «ამერიკის კონექტიკუტის შტატის პოლიციამ დააკავა 81 წლის უოლეს ბერგი იმის გამო, რომ იგი თავის ბაღში ბუჩქთან სექსით იყო დაკავებული». მოხუცი დააპატიმრეს უხამსი ქმედებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით, შემდეგ 10 ათასი დოლარის გირაოს ფასად გაათავისუფლეს. აქვე შეკითხვა: მამათმავლობის აქტის აღსრულების დროს თავზე რომ დადგომოდნენ, დააპატიმრებდნენ?!**

წერილის დასაწყისში გაცნობეთ, რომ ამერიკელებმა ბოისკაუტებს მწვრთნელებად მამათმავლები მიუჩინეს. ამერიკის გასახრწნელად.

**სააკაშვილისთვის რომ დაევალებინათ იმ ჩვენს „პატრიოტთა ბანაკებში“ იმავეს გაკეთება, უარს ეტყოდა თუ ვერ გაბედავდა?!**

დრო არ იყო მაშინ ამის თქმისა და ქმნის. როცა დრო დადგა, უკვე დაგვიანებული იყო: მიშას ფეხი ამოუკვეთეს საქართველოდან.

**ძრწოდე, უკრაინავ! რაც საქართველოში ვერ მოახერხა, „ნეჟალეზნაიას“ მოუთავებს და ოდესიდან დაიწყებს.**

სააკაშვილის ბუჩქომანიას ჩვენ კი გადავურჩით, მაგრამ (ყურადღება!) ამერიკაში „სხვა რაკურსით“ იბარტყა: 31 ივლისს სააგენტო Metro-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ (ტექსტი სიტყვასიტყვითი ასე ითარგმნება): „ამერიკის კონექტიკუტის შტატის პოლიციამ დააკავა 81 წლის უოლეს ბერგი იმის გამო, რომ იგი თავის ბაღში ბუჩქთან სექსით იყო დაკავებული“. მოხუცი დააპატიმრეს უხამსი ქმედებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით. შემდეგ 10 ათასი დოლარის გირაოს ფასად გაათავისუფლეს.

**აქვე შეკითხვა: მამათმავლობის აქტის აღსრულების დროს თავზე რომ დადგომოდნენ, დააპატიმრებდნენ?!**

ამერიკამ რომ გააუქმა წესი, ბოისკაუტების რიგები 18 წელს მიღწეულ მამათმავლებს აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ, ამით ზრდასრულ პედოფილებს ჩააბარა ყმაწვილების ბედ-იღბალი, საშუალება მისცა მცირეწლოვანებზე გავლენის მოხდენის, თავიანთ აზრსა და ცხოვრების წესზე მოქცევის.

აბა, **წარმოიდგინეთ, კომუნისტების დროს პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს რომ მიეღო გადაწყვეტილება პიონერთა ბანაკებში მოზრდილი მამათმავლების მიმაგრების შესახებ...**

**ვერ წარმოიდგენთ!**

**აშშ-ის „ცეკამ“ კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, დაადგინა, დააკანონა. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ასეთ დასავლურ ღირებულებებს ვესწრაფით?!**

ეს შენიშვნა შეიძლება ხანგრძლივი პროპაგანდისტული მსჯელობის საგანი გავხადოთ, მაგრამ ღირს კი?!

ყველაფერი ისედაც ნათელია.

### გარდატეხის მომენტი

კიდევ ერთი მაგალითი ბრიტანეთიდან, სადაც ცდილობენ, **პრაქტიკულად აითვისონ ჰომოსექსუალიზმის მკურნალობის ახალი მეთოდი ელექტროშოკით.**

პრესა ირონიანარევი ტონით იტყობინება, რომ „ბრიტანელმა მეცნიერებმა მსოფლიო გაახარეს ასი წლის წინანდელი მორიგი აღმოჩენით, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალიზმი დაავადებაა“. მაშასადამე, ადამიანის განკურნება ამ სენისგან ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა დაავადებისგან. მედიცინა ვალდებულია, მონახოს განკურნების გზები და საშუალებები.

„ფსიქოლოგიურ დახმარების ერთ-ერთი ცენტრის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს ექიმთა პერსონალის ერთი მეხუთედი დარწმუნებულია, რომ ეს ავადობა იკურნება. უფრო მეტიც, ზოგიერთი ფსიქოლოგი უკვე გამოცდის მეთოდიკას, რომელზეც მსჯელობს ტოლერანტული საზოგადოებაც და მთავრობაც“, — ნათქვამია ერთ საგაზეთო წერილში.

**მაიკლ დევიდსონს** ლონდონში იცნობენ, როგორც ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს გეილობის წინააღმდეგ. სამი წლის წინათ მან მამათმავლობის საწინააღმდეგო სარეკლამო კამპანია მოაწყო: რამდენიმე, ავტობუსზე განათავსა შესაბამისი შინაარსის პლაკატები. გეებმა, რა თქმა უნდა, ჩამოხიეს, დევიდსონის გვარი კი ლგბტ-თა მტრების სიაში შეიტანეს. მაიკლი ამან არ შეაშინა და შექმნა ახალი ცენტრი მათ დასახმარებლად, ვინც თავისივე სქესის ადამიანებისადმი ამჟღავნებს ლტოლვას.

დევიდსონი დარწმუნებულია, რომ ჰომოსექსუალიზმი იკურნება, რომ ნორმიდან ამ გადახრის მქონე ადამიანების რეკლამირება კი არ არის საჭირო, არამედ ექიმების დახმარებით „ნორმაში დაბრუნება“.

— პოზიციის შენარჩუნება იოლი არ იყო, — ამბობს მაიკლ დევიდსონი, — მაგრამ ჩემთვის უმთავრესია ოჯახი — ჩემი ცოლი და ჩემი შვილები, მათი მომავალი. სწორედ ისინი დამეხმარნენ მოძალებული პრობლემების გადალახვაში.

ამ კაცს უნდა უმადლოდეს ათობით ოჯახი გადარჩენას. დევიდსონი მიიჩნევს, რომ გეებად არა მხოლოდ იბადებიან, არამედ ხდებიან კიდეც. მის ცენტრში გზათა გასაყარზე მდგარ კლიენტებს ასწავლიან, როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ მათივე სქესის ადამიანებთან, რათა არ ჩაეშვან გარყვნილების ჭაობში. ექსპერტები მზად არიან, შეათვისებინონ ნორმები, რომლებიც მათ (კლიენტებს, პაციენტებს) აარიდებენ შესაძლო ფლირტს.

ასეთია რეალური ვითარება აღნიშნულ ცენტრში, მაგრამ გაერთიანებული სამეფოს ბევრი მედიკოსი ამ საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ დუმილს ამჯობინებს, არაფერს ამბობს აქ გამოყენებულ ფსიქოლოგიურ მეთოდებზე.

**— ექიმები ძალიან შეშინებულები არიან, ვერ ბედავენ ამ თერაპიის არა მხოლოდ გამოყენებას, არამედ შეთავაზებასაც კი. ასეთი „თვითნებობა“ სამსახურიდან მათი დათხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს.**

თვით პიტერი პენსიაზეა და „თავისუფალი თვალსაზრისის“ გამო ლიცენზიის ჩამორთმევა არ ემუქრება, მაგრამ მისი ახალგაზრდა კოლეგებისთვის სამუშაო ადგილის დაკარგვა სავსებით რეალური პერსპექტივაა, რადგან, როგორც **პრესა იუწყება, მთავრობა პრინციპულად სხვა პოზიციაზე დგას.**

პოზიციების განსხვავებულობა მართლაც რადიკალურია: თუ ერთი მხარე (პიტერ დევიდსონი) მიიჩნევს, რომ მამათმავლობა იკურნება, მისი მოწინააღმდეგენი ლგბტ-ის მომხრეთა დაჯგუფებიდან და, მათ შორის, მთავრობაც დარწმუნებულია, რომ ფსიქოლოგმა უნდა ასწავლოს ადამიანს, აღიქვას და მიიღოს საკუთარი თავი ისეთად, როგორიც არის და არ იფიქროს მის გარდაქმნაზე, ანუ დარჩეს მამათმავლად; ხოლო მეთოდები, რომლებსაც დევიდსონი გამოიყენებს, საეჭვოა და საშიშიც კი. ელექტროშოკი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიყენება, — აცხადებს აღშფოთებული ფსიქოლოგი, — იწვევს სირცხვილის განცდას და სუიციდისკენ (თვითმკვლელობისკენ) მისწრაფების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

ამბობს, მაგრამ მაგალითებს ვერ ასახელებს, რადგან ასეთი ფაქტები ბუნებაში არ არსებობს.

**არმაზ სანებლიძე**,
**უცხოური პრესის მასალების მიხედვით**

**P.S. შარშან ფსიქიატრების სამეფო კოლეჯმა ოფიციალურად აღიარა, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია შეიძლება შეიცვალოს. მაშასადამე, ადამიანი შეიძლება, არა მხოლოდ გეი (მამათმავალი) გახდეს, არამედ ნორმალურ მდგომარეობასაც დაუბრუნდეს.**

მოკლედ

## სასჯელაღსრულების სამინისტრომ და რელიგიის სააგენტომ მემორანდუმი გააფორმეს

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანიც მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების განხორციელებისთვის ხელშეწყობაა.**

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებს, რეკომენდაციებს მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის, სასულიერო პირებთან შეხვედრების უზრუნველყოფისა და მათი რელიგიური უფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით. ასევე, იგეგმება კაპელანის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, ინფორმაციული და სასწავლო-მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და სათანადო პერსონალის საერთაშორისო სტანდარტებით მომზადება.



არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანელ ჟურნალისტს — კალებ გილბერტს აუდიოფაილები გადასცა უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის — ვალენტინ ნალივაიჩენკოს გარემოცვის ერთ-ერთმა წევრმა (ნალივაიჩენკოს გადადგომის შემდეგ). უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სატელეფონო საუბრები უკრაინის ტერიტორიაზე სტერნის თვალთვალისას ჩაიწერეს.**



# «ბოინგ 777»-ის განადგურების ოპერაციას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ხელმძღვანელობდა

**2014 წლის 17 ივლისს კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია Malaysia Airlines-ის თვითმფრინავმა „ბოინგ 777"-მა, რომლის ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრი, სულ 295 ადამიანი, დაიღუპა. გთავაზობთ ამ ტრაგედიის შესახებ სკანდალურ მასალას, რომელიც გამოცემა „სეგოდნია.რუ"-მ ამა წლის 29 ივლისს გამოაქვეყნა:**




**სტერნი, როგორც გამოცემა Globalpost-ის ჟურნალისტი, მონაწილეობდა მასობრივი არეულობებისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ორგანიზებაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, აგრეთვე, ჩეჩნეთის სამხედრო მოვლენებში; ამასთანავე, ოფიციალური მონაცემებით, რფ-ის საზღვარი არასოდეს გადაუკვეთია ნამდვილი გვარით. კავკასიაში ვითარების გამწვავების პერიოდში სტერნი სააგენტო France-Press-ის ჟურნალისტის რანგში კოორდინაციას უწევდა რეგიონში სეპარატისტული ძალებისა და სირიის, თურქეთისა და პაკისტანის რადიკალურ-ისლამისტური მიმართულების ექსტრემისტული ორგანიზაციების ურთიერთქმედებას**

ბრიტანელმა მიმომხილველმა **კალებ გილბერტმა** ვებგვერდ pressbox.co.uk-ზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი **დევიდ ლოიდ სტერნი**, რომელიც საერთაშორისო მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, კერძოდ, Globalpost-სა და BBC-ის, საფარველით, 2014 წლის ივლისის შუა რიცხვებში იმყოფებოდა დონეცკის სახალხო რესპუბლიკის შახტიორსკის რაიონის სოფელ გრაბოვოსთან ახლოს, საიდანაც ხელმძღვანელობდა ავიაკომპანია Malaysia Airlines-ს „ბოინგ 777"-ის განადგურების ოპერაციას. თვითმფრინავით, რომელიც 2014 წლის 17 ივლისს ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა (რეისი MH17), 283 ადამიანი მგზავრობდა. კატასტროფის შედეგად დაიღუპა ყველა მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი.

**ბრიტანელ ჟურნალისტ კალებ გილბერტს აუდიოფაილები გადასცა უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის — ვალენტინ ნალივაიჩენკოს გარემოცვის ერთ-ერთმა წევრმა** (ნალივაიჩენკოს გადადგომის შემდეგ).

**უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სატელეფონო საუბრები უკრაინის ტერიტორიაზე სტერნის თვალთვალისას ჩაიწერეს.**

**ქვემოთ გთავაზობთ დევიდ ლოიდ სტერნისა და მისი ჯერჯერობით დაუდგენელი ხელმძღვანელის (X-ის) სატელეფონო საუბრების გაშიფრულ ვერსიას.**

**25.06.2014**
**პირველი ჩანაწერი.**

**X:** — სალამი!

**სტერნი:** — სალამი!

**X:** — როგორ მიმდინარეობს მზადება?

**სტერნი:** — ყველაფერი გეგმის მიხედვით.

**X:** — ხვდები უკრაინელ უბადრუკ მეომრებს? *(იცინის)*

**სტერნი:** — *(იცინის)* დღეს არა.

**X:** — საჭიროა, რომ შენ პირადად გააკონტროლო „კომპლექსი". ის განსაზღვრულ კოორდინატებზე უნდა იყოს განსაზღვრულ დროს. გასაგებია?

**სტერნი:** — დიახ, რა თქმა უნდა.

**X:** — მინდა, რომ ეს პირადად შენ გააკეთო!

**სტერნი:** — დიახ, ნუ ღელავ.

**X:** — კარგი, წარმატებები.

**სტერნი:** — წარმატებები.

**27.06.2014**
**მე-2 ჩანაწერი**

**სტერნი:** — სალამი! გუშინ დრო არ მქონდა, შენთვის მომეყოლა... თქვენ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ, პოროშენკომ კოვალი რომ მოიშორა.

**X:** — ეს იყო ჯონის (სავარაუდოდ, ლაპარაკია ჯონ ბრენანზე — ცსს-ს შეფზე) გადაწყვეტილება. ვიფიქრეთ, რომ ეს მართებულია.

**სტერნი:** — ჰო, რა თქმა უნდა.

**X:** — ახლა რატომ ლაპარაკობ ამაზე?

**სტერნი:** — კოვალის გუნდიდან ბევრი კითხვა დამისვეს „ბუკის" გადაადგილებაზე... ვიმედოვნებ, არაფერს ეჭვობენ.

**X:** — რა თქმა უნდა, არა. გმადლობთ, რომ მითხარი. ეს მნიშვნელოვანია, ძალიან მნიშვნელოვანი, რათა რაიმე გაჟონვა არ მოხდეს.

**სტერნი:** — ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად გვესმის.

**X:** — შესანიშნავია. ნახვამდის.

**X:** — ჯერჯერობით.

**01.07.2014**
**მესამე ჩანაწერი**

**სტერნი:** — სალამი!

**X:** — სალამი!

**სტერნი:** — რაღაც მინდა, გკითხო. რაღაც მინდა გავიგო.

**X:** — რა თქმა უნდა, მკითხე!

**სტერნი:** — ვინ გაუწია გელეტაის რეკომენდაცია ჩვენთან?

**X:** — მასთან პრობლემები შეგექმნა? ის...

**სტერნი:** — არა, არა, ყველაფერი რიგზეა... უბრალოდ, მინდა, ვიცოდე...

**X:** — მას რეკომენდაცია ერთ-ერთმა ჩვენგანმა გაუწია... მისი სახელი გინდა...

**სტერნი:** — მმმ... ეს პრობლემაა?

**X:** — მისი გვარია ნალივაიჩენკო... მან კონდრატიუკის მეშვეობით გვთხოვა, საკითხი ჯონთან განვეხილა.

**სტერნი:** — გასაგებია. სულ ეს არის. კითხვები აღარ მაქვს *(იცინის).*

**X:** — (იცინის) შესანიშნავია. შეგახსენებ, რომ „კომპლექსის" მიმართ ძალიან ფრთხილად იყავი. ვადებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არც ადრე შეგიძლიათ, არც — გვიან, ზუსტად დანიშნულ დროს. მე არ ვენდობი უკრაინელებს. ისინი ლოთები არიან და ნარკოტიკებს მოიხმარენ.

**სტერნი:** — რა თქმა უნდა, ნუ ღელავ. პრობლემა არ არის.

**X:** — წარმატებები!

**სტერნი:** — წარმატებები!

**04.07.2014 წ.**
**მე-4 ჩანაწერი**

**X:** — სალამი. „კომპლექსთან" მომუშავე ხალხი... ისინი ახალბედები არიან თუ პროფესიონალები, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობთ?

**სტერნი:** — კიდევ ერთხელ თქვი რა, ვერ გავიგე?!

**X:** — **ჯარისკაცებმა, რომლებიც „კომპლექსზე" მუშაობენ... „ბუკ"-ზე... იციან, რას აკეთებენ?**

**სტერნი:** — საუკეთესოები ავარჩიეთ, ვისზეც კი ხელი მიგვიწვდებოდა.

**X:** — ცოტა ვღელავდი. ჩვენ ამას, დიდი ხანია, ვგეგმავთ. თუ არის რაღაც შეცდომები... რაღაც პრობლემები... ადამიანები, რომლებთა- ▶



## თალიბანმა ახალი ლიდერი აირჩია

**ავღანეთში რადიკალურმა მოძრაობა თალიბანმა გარდაცვლილი ლიდერის — მულა მუჰამედ ომარის შემცვლელი დანიშნა.** მულა ომარის ადგილს მისი მოადგილე ახტარ მუჰამედ მანსური დაიკავებს. მულა ომარის გარდაცვალების შესახებ ავღანეთის მთავრობამ ინფორმაცია ოფიციალურად გაავრცელა. მუჰამედ ომარი იყო ის ლიდერი, რომლის მეშვეობითაც ავღანეთიდან სსრკ-ის ჯარების გასვლის შემდეგ თალიბებმა სხვა ავღანურ დაჯგუფებებზე გამარჯვება მოიპოვეს. ომარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბენ ლადენთან. სწორედ ამ მიზეზით შეიჭრა აშშ-ის არმია ავღანეთში 9 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ომარმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო აშშ-მა მასზე 10-მილიონდოლარიანი ჯილდო დააწესა.



## 2014 წელს სტერნი უკრაინის უშიშროების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთობლივი საიდუმლო ოპერაცია „17.17“-ის კურატორ-ხელმძღვანელად ჩავიდა უკრაინაში. ეს ოპერაცია ჩატარდა 2014 წლის 17 ივლისს დონეცკის სახალხო რესპუბლიკის შახტიორსკის რაიონის დასახლებულ პუნქტ გრაბოვოსთან და პოლიტიკური პროვოკაციის მიზნით მოაწყვეს სამოქალაქო თვითმფრინავის მასშტაბური კატასტროფა.

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**«მაქვს აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია, რომ რუსები ჩემზე ნადირობენ. მით უმეტეს, რომ მათ აქვთ დადებითი გამოცდილება. ხომ ხვდები, რაზე ვლაპარაკობ, მაგრამ... მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რაღაც რომ მოხდეს, ჩვენები უარს იტყვიან ჩემზე და, მერწმუნე, ჩვენ, სახელდობრ, მე თვითონ მომიწევს თავის დაძვრენა. ჩემზე ნაკლებად არ იცი, როგორ იოლად შეუძლიათ, ჩვენზე უარი თქვან»**

◀ ნაც ვმუშაობთ, ამას არასოდეს გვაპატიებენ. ვიმედოვნებ, გესმის.

**სტერნი:** — დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებ.

**X:** — ძალიან კარგი. შენი იმედი მაქვს.

**სტერნი**: — ნახვამდის!

**11.07.2014 წ.**
**მე-5 ჩანაწერი**

**სტერნი:** — სალამი!

**X:** — მოხდა რამე?

**სტერნი:** — არანაირი პრობლემა. ყველაფერი შესანიშნავადაა. მაგრამ რაღაც უნდა გითხრა.

**X:** — გისმენ.

**სტერნი:** — შეშფოთებული ვარ, შესაძლოა, მოხდა გაჟონვა (ინფორმაციის — რედ.). არის შესაძლებლობა, პერსონალი შეიცვალოს?

**X**: — არსებობს კონკრეტული ინფორმაცია თუ ეჭვობ?

**სტერნი:** — არა, არა. უბრალოდ, ეს ინტუიციაა *(იცინის).*

**X:** — კეთილი. ყველაფერს შევამოწმებ ხელახლა. იმედი ვიქონიოთ, რომ ინტუიციამ ამჯერად გილალატა *(იცინის).*

**სტერნი:** — გმადლობთ! ნახვამდის!

**18.07.2014 წ.**
**მე-6 ჩანაწერი**

**X:** — სალამი!

**სტერნი:** — სალამი!

X: — როგორ ხარ?

**სტერნი:** — ჯონ, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა...

**X:** — შეჩერდი! რომ გთხოვე, საუბრისას ჩვენი სახელები არ თქვა-მეთქი... დაგავიწყდა?

**სტერნი:** — მაპატიე... ძალიან გაღიზიანებული და აღელვებული ვარ.

**X:** — რა მოხდა?

**სტერნი:** — ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოხდება...

**X:** — მომისმინე... შეშფოთების მიზეზები არ არსებობს... შენ, უბრალოდ, დაიღალე... ჩვენ, ყველანი, დავიღალეთ...

**სტერნი:** — არა. მივიღე აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია, რომ რუსები ჩემზე ნადირობენ...

**X:** — საიდან?!

**სტერნი:** — გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ... პირადად დავრწმუნდი, რომ ჩვენი უკრაინელი კოლეგები დიდი ყურადღებით მაკვირდებიან... ახლაც კი დარწმუნებული არ ვარ, რომ არ გვისმენენ... ჩემთვის გაუგებარია, რა მიზეზით... ეს ან ღალატია, ან...

**X:** — მომისმინე, ეს ჩეულებრივი ამბავია... დაე, დაგაკვირდნენ...

**სტერნი:** — არა, ბოლომდე მომისმინე... **მე მაქვს აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია, რომ რუსები ჩემზე ნადირობენ. მით უმეტეს, რომ მათ აქვთ დადებითი გამოცდილება. ხომ ხვდები, რაზე ვლაპარაკობ, მაგრამ... მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რაღაც რომ მოხდეს, ჩვენები უარს იტყვიან ჩემზე და, მერწმუნე, ჩვენ, სახელდობრ, მე თვითონ მომიწევს თავის დაძვრენა. ჩემზე ნაკლებად არ იცი, როგორ იოლად შეუძლიათ ჩვენზე უარი თქვან.**

**X:** — ჰო...

**სტერნი:** — ასეთი შემთხვევისთვის მაქვს საკუთარი სისტემა, რომელიც ჩემი უსაფრთხოების გარანტიაა... ჩვენი ხელმძღვანელები მე ვერ დამივიწყებენ ან მიმატოვებენ.

**X:** — რაზე ლაპარაკობ?

**სტერნი:** — მაქვს რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც ამტკიცებს, რომ უკრაინაში ჩვენი ნებით არ ვმოქმედებთ... ჩვენ ტერორისტები არ ვართ... ვმოქმედებთ ჩვენი ხელმძღვანელობის ბრძანებით...

**X:** — შენ რა, გაგიჟდი?!

**სტერნი:** — არა, საქმე ძალიან სერიოზულია... ეს არ არის ჩვენი თამაშები ერაყში ან ავღანეთში. აქ საქმე გაცილებით სერიოზულია, დამიჯერე. და არ მინდა, მხოლოდ მე დამეკისროს პასუხისმგებლობა იმაზე, რაც შეიძლება დაემართოს ამ ობიექტს! არ მინდა!

**X:** — მოიცა.

**სტერნი:** — არა, მეგობარო, მე უკვე გადავწყვიტე. **მე მაქვს დოკუმენტები რამდენიმე ფლეშმეხსიერებაზე და ისინი, როგორც ხვდები, სხვადასხვა ადგილზეა შენახული. თუ რაღაც მოხდება და რუსები ჩემამდე მოაღწევენ, ხოლო ჩვენები არ დამეხმარებიან, ყველა დოკუმენტი მასმედიით გავრცელდება.**

**X:** — მომისმინე... ხომ გესმის, რომ მე ამის შესახებ უნდა მოვახსენო...

**სტერნი:** — მეც სწორედ ამის იმედი მაქვს...

**X:** — ოკ, მაგრამ მე მაინც ძალიან გთხოვ... დაუფიქრებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამ...

**სტერნი:** — რა თქმა უნდა... მე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე... მაგრამ გამიგე... უკრაინელები ცდილობენ, ჩემი ყოველი ნაბიჯი აღრიცხონ... რუსები ჩემზე ნადირობენ... ჩვენები კი ამ სიტუაციას გულგრილად ეკიდებიან... მათთვის მთავარი ოპერაციის წარმატებით დასრულებაა...

**X**: — მესმის... დაიღალე... შენ იცი, რომ რამეს მოვიფიქრებ... გპირდები... შენ კი ჯერჯერობით არაფერი მოიმოქმედო...

**სტერნი:** — რა თქმა უნდა...

**X:** — შეგიძლია, მითხრა, საიდან გაქვს ეს დოკუმენტები?

**სტერნი:** — *(იცინის)* შენ იცი პასუხი... რა თქმა უნდა, არა...

**X:** — კეთილი... ძალიან შემაშფოთე... შევეცდები... უფრო სწორად, გპირდები, რომ რაღაცას გავაკეთებ შენი უსაფრთხოებისთვის.

**სტერნი**: — ოკ, შენში ეჭვი არ მეპარება... კეთილი... წარმატებები... მომავალ კავშირამდე...

**X:** — ჯერჯერობით... გამაგრდი... კავშირამდე.



**ცსს-ს აგენტი დევიდ სტერნი**

Segodnia.ru-ს რედაქციამ მოიპოვა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აშშ-ის მოქალაქე დევიდ ლოიდ სტერნი (David L. Stern) არის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც ჟურნალისტის პროფესიას ამოფარებული მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო მედიასაშუალებაში. მისი საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ ელიტებში ინტეგრაციისკენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით.

კერძოდ, სტერნი, როგორც გამოცემა Globalpost-ის ჟურნალისტი, მონაწილეობდა მასობრივი არეულობებისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ორგანიზებაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, აგრეთვე, ჩეჩნეთის სამხედრო მოვლენებში; ამასთანავე, ოფიციალური მონაცემებით, რფ-ის საზღვარი არასოდეს გადაუკვეთია ნამდვილი გვარით. **კავკასიაში ვითარების გამწვავების პერიოდში სტერნი სააგენტო FRANCE-PRESS-ის ჟურნალისტის რანგში კოორდინაციას უწევდა რეგიონში სეპარატისტული ძალებისა და სირიის, თურქეთისა და პაკისტანის რადიკალურ-ისლამისტური მიმართულების ექსტრემისტული ორგანიზაციების ურთიერთქმედებას.**

აქვს დივერსიული ოპერაციების ჩატარებისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის გამოცდილება საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურებში. 2010 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სტერნი უკრაინაში გაგზავნა, როგორც „ბი-ბი-სის“ თანამშრომელი, მოსამზადებლად პოლიტიკური პროცესებისა, რომელთა მიზანი იყო 2014 წლის ზამთარში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა.

უკრაინის ტერიტორიაზე სტერნის თვალთვალის ოპერატიული ღონისძიებებისას უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოხსნეს ინფორმაცია კავშირგაბმულობის მობილური არხებიდან, რომლებსაც სატელეფონო საუბრებისას იყენებდნენ. გარდა ამისა, სასტუმრო „აკადემიის“ (ქ. დნეპროპეტროვსკი, კარლ მარქსის ქუჩა 20, ნომერი 209) ნომრის მალულად გაჩხრეკის შედეგად იპოვეს USB-მეხსიერებები და სხვა მასალები, რომლებიდანაც გადაიღეს ელექტრონული ასლები. უკრაინის უშიშროების სამსახურის ოპერატიული განყოფილების თანამშრომელთა მიერ მოპოვებული სატელეფონო საუბრების, აგრეთვე, ელექტრონული დოკუმენტების ასლების მიხედვით, დადგინდა, რომ სტერნს ხელი მიუწვდება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო დოკუმენტებზე.

**2014 წელს სტერნი უკრაინის უშიშროების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთობლივი საიდუმლო ოპერაცია „17.17“-ის კურატორ-ხელმძღვანელად ჩავიდა უკრაინაში. ეს ოპერაცია ჩატარდა 2014 წლის 17 ივლისს დონეცკის სახალხო რესპუბლიკის შახტიორსკის რაიონის დასახლებულ პუნქტ გრაბოვოსთან და პოლიტიკური პროვოკაციის მიზნით მოაწყვეს სამოქალაქო თვითმფრინავის მასშტაბური კატასტროფა.**

2014 წლის 18 ივლისს სტერნი ხუნტის მიერ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დაბრუნდა დნეპროპეტროვსკში და დაბინავდა ზემოხსენებული სასტუმროს იმავე ნომერში. სწორედ იქ აწარმოებდა სტერნი საიდუმლო მოლაპარაკებებს სადამსჯელო ბატალიონების — „აიდარისა“ და „აზოვის“, აგრეთვე, ექსტრემისტული დაჯგუფებების — „მემარჯვენე სექტორისა“ და „5.10“-ის წარმომადგენლებთან, კერძოდ — ვინმე ბალაშოვთან, მომავალში მათი პროვოკაციული მოქმედებების კოორდინაციის საკითხებზე.

შეგახსენებთ, რომ „სეგოდნია.რუ“-მ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა მასალები გრაბოვოში მომხდარ კატასტროფაში აშშ-ის სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ, კერძოდ — „შტატებს ბოინგი MH17 ხელიდან გაუვარდა“, მოყვანილია ფაქტები კატასტროფამდე რამდენიმე დღით ადრე თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილის თავზე ორმაგი დანიშნულების ამერიკული დისტანციური ზონდირების თანამგზავრების გააქტიურების შესახებ.

**Segodnia.ru-ს**
**მასალების მიხედვით**

**2010 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სტერნი უკრაინაში გაგზავნა, როგორც «ბი-ბი-სის» თანამშრომელი, მოსამზადებლად პოლიტიკური პროცესებისა, რომელთა მიზანი იყო 2014 წლის ზამთარში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა**

## ფრანგ გოგონას პარკში გარუჯვისთვის მუსლიმანმა ქალებმა სცემეს

**რამდენიმე დღის წინათ ქალაქ რეიმსში მუსლიმანმა ქალებმა 21 წლის ანჟელიკა სლოსს, რომელიც მეგობრებთან ერთად ირუჯებოდა, სცემეს.** გოგონებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა. მუსლიმანმა გოგონებმა, რომლებიც დაახლოებით 16-დან 24-წლამდე ასაკისანი იყვნენ, ანჟელიკა სლოსს შეურაცხყოფა მიაყენეს. გოგონამ მათ უხეშად უპასუხა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა, ანჟელიკა სლოსის მომხრეებმა სოციალურ ქსელში საცურაო კოსტუმებში გადაღებული ფოტოების ატვირთვა დაიწყეს. მუსლიმანების წინააღმდეგ ფრანგების პროტესტს ათასობით ადამიანი შეუერთდა. გოგონების სლოგანია „ჩემი სხეული — ჩემი უფლება“.

ცნობისათვის: ფრანგების დამოკიდებულება უცხოელების, განსაკუთრებით კი მუსლიმანების, მიმართ ამა წლის იანვარში ჟურნალ Charlie Hebdo-ზე თავდასხმის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ენვერ ხოჯას გამოსვლიდან 1979 წელს: უნდა იცოდეთ, რომ ისინი, ვინც თქვენ გმართავენ, ფაშისტები, შოვინისტები და იმპერიალისტები არიან. ისინი თქვენგან საზარბაზნე ხორცს ამზადებენ იმპერიალისტური ომისათვის, იმ ხალხების გასანადგურებლად, იმ ქვეყნების დასანგრევად, რომლებსაც სტალინის იდეების იმედი აქვთ. მსოფლიო ხალხებს არ სურთ, თქვენ ასეთები იყოთ. და თუ თქვენ კვლავ ასეთად დარჩებით, ისინი უკვე ვეღარ შეძლებენ თქვენს პატივისცემას, ისინი თქვენ შეგიძულებენ!.. თქვენი ხელისუფალნი ამერიკის იმპერიალიზმთან და მსოფლიო კაპიტალიზმთან კავშირში იმყოფებიან, არა რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ იმპერიალისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად — ხალხებზე ბატონობისა და გავლენის სფეროების გადასანაწილებლად.

# სტალინი და ენვერ ხოჯა

## რატომ დაუპირისპირდა ალბანეთის ლიდერი სოციალისტური სახელმწიფოების ლიდერებს

**ვიდრე სტალინისა და ალბანეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის ლიდერის — ენვერ ხოჯას პირად ურთიერთობებსა და შეხვედრებზე გიამბობდეთ, მოგითხრობთ ენვერ ხოჯას იდეურ რწმენაზე, ღირსებებსა და ერთგულებაზე, რომელიც მან სტალინის, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწისა და პიროვნების, მიმართ გამოიჩინა.**

1979 წელს საბჭოთა კავშირმა მტკიცედ გადაწყვიტა, დაეგმო ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენება სტალინის კულტის მავნე შედეგების შესახებ, რომლითაც ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე წარდგა, და ჯეროვანი შეფასება მიეცა, იმ მომაკვდინებელი შედეგებისთვის, რომლებიც სტალინის წინააღმდეგ ჩატარებულმა ამ ბინძურმა კამპანიამ გამოიწვია. არა მხოლოდ კრემლი, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიები ფარულად თუ აშკარად ემზადებოდნენ იოსებ სტალინის დაბადებიდან 100 წლის იუბილის ღირსეულად აღსანიშნავად. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უწინარესად, საქართველოს ტელევიზია ნათლად გამოხატავდა ქართველი ხალხის სულისკვეთებას ამ უაღრესად სასიხარულო საიუბილეო თარიღის აღნიშვნის მიმართ. ინტენსიურად ითარგმნებოდა და ქართულ ენაზე იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის მარშლების, საზღვაო ფლოტის ადმირალების, ფრონტის სარდლების, მამაცი გენერლებისა და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის წარმომადგენელთა მოგონებები და მემუარები. საქართველოს სახალხო არტისტ **ბორის წიფურიას** დავალებული ჰქონდა ქალაქ გორში გრანდიოზული ღონისძიების მოწყობა. ყველა რაიონის ხელმძღვანელმა მიიღო საიდუმლო დირექტივა, რა წვლილი უნდა შეეტანა იუბილის აღნიშვნაში და რა ფორმითა და მაშტაბით უნდა აღნიშნულიყო ეს ღირსშესანიშნავი თარიღი თითოეულ რაიონში.

რაც უფრო ახლოვდებოდა 1979 წლის 21 დეკემბერი, მით მეტად იზრდებოდა პოლიტიკური ტემპერატურა. ეს არ იყო მხოლოდ ქართველი კაცის მიერ მეორე ქართველის ღვაწლის დაფასებისა და მადლიერების გამოხატვის მცდელობა — ეს იყო შურისძიება ბოროტებაზე, რომელსაც პასუხი სწორედ 21 დეკემბერს უნდა გასცემოდა.

1980 წლის 1 იანვარს კი სტარტი უნდა აეღო დიად გამარჯვებებს, ეს დღე უნდა გამხდარიყო ტრიუმფალური მსვლელობის დასაწყისი. მწერლები ადრე გამოქვეყნებულ და შემდგომში გადასწორებულ მოგონებებს ხელახლა ასწორებდნენ, პოეტები კვლავ უხმობდნენ ძველ მუზებს და სტალინთან გასარითმ სიტყვებს ხელახლა იხსენებდნენ.

საქართველო გაერთიანდა. აღარავინ იყო მენშევიკებისა და ტროცკისტების შთამომავალი, ყველას პირზე სტალინი ეკერა.

სოფელში ჩვენი მეზობელი **ლოლა ბერაძე,** რომლის მამა, ბიძა და ბიძაშვილები 1937 წლის მოვლენებს შეეწირნენ, საქვეყნოდ აცხადებდა:

— ყველაფერი მიპატიებია სტალინისთვის. ბედნიერი მაშინ ვიქნები, როდესაც ჩვენი სოფლის კლუბში სკოლის მომღერალთა გუნდი კვლავ შეასრულებს სიმღერას ბელადზე, რომელსაც მე იმხანად ვმღეროდი, როდესაც მამა და ბიძები გადასახლებული მყავდა:

**„მყინვარს შვენის**
**ნისლის ბადე**
**შევარდენი მეხთან ომობს,**
**სტალინ, შენი სიდიადე**
**ვინა სთქვას და**
**გიგალობოს“.**

აი, მაშინ იქნება ბედნიერი ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ოჯახიც.

ლოლას მსგავსად, მენშევიკებისა და ტროცკისტების ყველა შთამომავალი სწორედ ამ განწყობით ელოდებოდა 1979 წლის 21 დეკემბერს — სტალინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს.

1979 წლის 19 დეკემბერს, ღამის 12 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ ფოფხაძის** კაბინეტში „ვე-ჩემ“ (მაღალსიხშირიანი სატელეფონო კავშირი — გრ. ონიანი) დარეკა. ასეთ დროს ამ კაბინეტში, ამ აპარატზე მხოლოდ ორი მისამართიდან შეეძლოთ დაერეკათ — საკავშირო ტელერადიო კომიტეტიდან ან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტიდან.

შეშფოთებულმა ნუგზარ ფოფხაძემ ყურმილი აიღო.

— ამ დრომდე მუშაობ, ნუგზარ აკაკის ძევ? — გაისმა ედუარდ შევარდნაძის ხმა.

— მანამდე, ვიდრე თქვენ მუშაობთ, — უპასუხა თავმჯდომარემ.

— თუ არ დაიზარებთ, სასწრაფოდ ჩემთან მოდით.

— ხომ მშვიდობაა, ედუარდ ამბროსის ძევ?!

— ამოდით!

ასეთ ცივ პასუხსა და გამოძახებას ნამდვილად არ ელოდა ნუგზარ ფოფხაძე, მაგრამ, საქმე უაღრესად რთულ საკითხს რომ ეხებოდა, მისთვის დღესავით ნათელი იყო.



ენვერ ხოჯა

**ტირანას რადიოსადგურმა მსოფლიოს გასაგონად გადასცა ალბანეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე, მსოფლიოში უდიდესსა და ულამაზეს სტალინის ძეგლთან ტრიბუნაზე ასული ალბანელი ხალხის შვილისა და მისი მეთაურის — ენვერ ხოჯას მოხსენება, რომლის ჩახშობასაც ყველაზე აქტიურად საბჭოთა კავშირი ცდილობდა. მაგრამ სიმართლის ხმას ვერავინ ჩაახშობს — ამ აკრძალულმა მოხსენებამ მაინც შემოიარა პლანეტა**

რამდენიმე წუთის შემდეგ საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარე პირველს ეახლა. მიუხედავად იმისა, რომ წესად ჰქონდათ, ერთმანეთს ყოველთვის თბილად მისალმებოდნენ, რაც ზოგჯერ მეგობრულ მიმართვებშიც გადადიოდა, ამჯერად მსგავსი არაფერი მომხდარა. სახეგათეთრებულმა შევარდნაძემ (შენიშვნა ჩემია — გრ. ონიანი) თვალით მიანიშნა სტუმარს სავარძლისკენ, მასპინძელს არც უფიქრია სტუმართან სასაუბროდ გადაჯდომა, მზერა ჯიუტად ჰქონდა მიპყრობილი ტელეფონის აპარატისკენ, რომლითაც ახლახან მას სულ პირველი ელაპარაკა.

ნუგზარი რის ნუგზარი იყო, არ მიმხვდარიყო, რომ ახლა რა განკარგულებასაც მიიღებდა, არა შევარდნაძის, არამედ სსრკ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის — **ლეონიდ ბრეჟნევის** იყო. ნუგზარ ფოფხაძემ იცოდა, რომ ასეთ ვითარებაში შევარდნაძესთან შეხუმრება ცეცხლთან თამაში იყო. კარგა ხნის დუმილი შევარდნაძემ დაარღვია:

— ნუგზარ, საქმე იმაზე გაცილებით ცუდადაა, ვიდრე შენ ფიქრობ, ეს-ეს არის, ლეონიდ ბრეჟნევმა დამირეკა. მან დანანებით, მაგრამ მაინც კატეგორიულად განმიცხადა, რომ სტალინის 100 წლისთავის იუბილე არ გაიმართება. პოლიტბიურო, რომელიც ბოლო დეტალებს აზუსტებდა, ფაქტის წინაშე დააყენეს სოციალისტური ქვეყნების ლიდერებმა, მათ შორის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ნიკოლაე ჩაუშესკუმ,** რომელმაც განაცხადა, თუ სტალინის რეაბილიტაცია მოხდება, რუმინეთი დატოვებს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების რიგებს და გავა ვარშავის ხელშეკრულებიდანო. „პრავდის“ მოწინავე სტატია, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით უნდა გამოსულიყო 21 დეკემბერს, უკან გამოვითხოვეთ. ასე რომ, თქვენვთის მეტად ძნელია ამ სიტყვების მოსმენა და შემდეგ მისი შესრულება, მაგრამ სხვა გზა არ არის. დარწმუნებული ვარ, კომუნისტური სერიოზულობით მოეკიდებით ამ დელიკატურ და მეტად მძიმე შემთხვევას“, — ასე დამემშვიდობა ლეონიდ ილიჩი. რა გავაკეთოდ, რა ვიღონოთ, რა ვუთხრათ ხალხს, რომელიც ასე ელოდება სტალინის 100 წლისთავის იუბილეს?

— თქვენთან ერთად ამ საკითხზე ვერ ვიფიქრებ, ედუარდ ამბროსის-ძევ, წავალ სამსახურში და იქ ჩამოვაყალიბებ ჩემს თვალსაზრისს. ძალიან გთხოვთ, გახვიდეთ ამ თამაშიდან და მარტო დამტოვოთ... საკითხებს თქვენ არ შეგითანხმებთ, რადგან პიროვნულად მართალი უნდა ვიყო ყველასთან და, უპირველესად, საკუთარ თავთან, რომ ამაში ბრალი მხოლოდ და მხოლოდ მე მიმიძღვის.

— ნუგზარ, მე ყველაფერში თქვენთან ერთად ვიქნები, მაგრამ გთხოვთ, ნუ გადააჭარბებთ, ყველაფერი ნორმის ფარგლებში უნდა მოექცეს.

— ნახვამდის, ედუარდ ამბროსის ძევ! — დაემშვიდობა სტუმარი მასპინძელს.

ჩიტაძის ქუჩიდან ტელევიზიამდე არც ისე დიდი მანძილია, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძემ შუაღამისას თბილისის დაცლილ ქუჩებში, სულ 5-6 წუთის სავალ გზაზე, უამრავი ლაბირინთი გაიარა, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა. საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის მისაღებში მთვლემარე მორიგე ნუგზარ ფოფხაძის დანახვაზე მყისვე გამოფხიზლდა და სასწრაფოდ ჩაიწერა გვარები თანამშრომლებისა, რომლებიც განგაშის წესით უნდა გამოცხადებულიყვნენ თავმჯდომარესთან.

თათბირი ღამის 2 საათზე დაიწყო. თავმჯდომარის კარნახით, თათბირის ყველა მონაწილემ ჩაიწერა, ვისი მოყვანა ევალებოდა ერთი საათის განმავლობაში ტელევიზიაში, მათთვის გაეცნოთ ის პროგრამა, რომლითაც უნდა გამოსულიყვნენ როგორც 20 დეკემბრის საღამოს, ასევე 21 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში. ერთი საათის შემდეგ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის სათათბირო ოთახში ისმენდა ნუგზარ ფოფხაძის ინფორმაციას სტალინის იუბილის აღსანიშნავად გასამართ ღონისძიებებში ახალი გარემოებების გაჩენის შესახებ. თავმჯდომარემ დავალების მიმცემად საკავშირო ტელერადიო კომიტეტი დაასახელა და განაცხადა:

„მიღებული ინფორმაციის ერთი-ერთზე გადაცემა ხალხში გამოიწვევს უდიდეს სტრესს ან უდიდეს აღშფოთებას. ჩვენ არც ერთი გვაძლევს ხელს და არც — მეორე, ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ. ისტორიკოსებმა პირუთვნელად უნდა ასახონ სტალინის მოღვაწეობა როგორც სოციალისტური სამშობლოს მშენებლობლის, ასევე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის, განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამამულო ომის ამსახველი მასალების დემონსტრირებას; დოკუმენტური და მხატვრული ფილმების დირექციებმა ყოველგვარი ცენზურის გარეშე უნდა შეარჩიონ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შექმნილი ფილმები და რეგულარულად აჩვენონ მაყურებლებს იუბილის დღეებში. პოლიტიკურად როგორი წამგებიანიც უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის ეს გადაწყვეტილება, ჩვენი ეროვნული და ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, ეს გასაკეთებელია და უნდა გაკეთდეს“.

1979 წლის 21 დეკემბერი გორში სტალინური ეპოქის დარად აღინიშნა, მოსახლეობის 90% მასპინძლობდა დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ათიათასობით სტუმარს. ქალაქში გუგუნებდა სტალინის საყვარელი ▶

# ბრეჟნევმა, როგორც საქართველოში, ჩიტაძის ქუჩაძე, ასევე დარეკა დანარჩენი 14 რესპუბლიკის პირველ პირებთან და პირადად სთხოვა მათ, არ აღენიშნათ სტალინის იუბილე. ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს პლანეტაზე მხოლოდ ერთმა ქვეყანამ და მისმა დედაქალაქმა მიაგო სათანადო პატივი — ალბანეთმა. იქ გრანდიოზული იუბილე გადაუხადეს მსოფლიოს პროლეტარიატის დიდ ბელადს, მამასა და მასწავლებელს — იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართული ჰანგები, იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყველაფერს აკეთებდნენ სტალინის სახელის უკვდავსაყოფად, ყველა ამ ორგანიზაციის ფლაგმანი იყო საქართველოს ტელერადიოკომიტეტი ნუგზარ ფოფხაძის მეთაურობით, რომელიც დირიჟორის როლს ასრულებდა რესპუბლიკაში.

რა ხდებოდა სხვაგან? — არც არაფერი.

ქვეყნის პირველმა პირმა ბრეჟნევმა, როგორც საქართველოში, ჩიტაძის ქუჩაძე, ასევე დარეკა დანარჩენი 14 რესპუბლიკის პირველ პირებთან და პირადად სთხოვა მათ, არ აღენიშნათ სტალინის იუბილე.

**ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს პლანეტაზე მხოლოდ ერთმა ქვეყანამ და მისმა დედაქალაქმა მიაგო სათანადო პატივი — ალბანეთმა. იქ გრანდიოზული იუბილე გადაუხადეს მსოფლიოს პროლეტარიატის დიდ ბელადს, მამასა და მასწავლებელს — იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.**

ტირანას რადიოსადგურმა მსოფლიოს გასაგონად გადასცა ალბანეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე, მსოფლიოში უდიდეს და ულამაზეს სტალინის ძეგლთან, ტრიბუნაზე ასული ალბანელი ხალხის შვილისა და მისი მეთაურის — **ენვერ ხოჯას** მოხსენება, რომლის ჩახშობასაც ყველაზე აქტიურად საბჭოთა კავშირი ცდილობდა. მაგრამ სიმართლის ხმას ვერავინ ჩაახშობს — ამ აკრძალულმა მოხსენებამ მაინც შემოიარა პლანეტა და ურიგო არ იქნება, მისი ზოგიერთი ფრაგმენტი თქვენც გაგაცნოთ, ძვირფასო მკითხველო:

„ვიხსენებთ რა სტალინსა და მის საქმეს მისი დაბადებიდან 100 წლის თავზე, ჩვენ არ შეგვიძლია, უშუალოდ არ მივმართოდ საბჭოთა კავშირის ხალხებს და სრულიად გულწრფელად და გულახდილად არ ვუთხრათ მათ:

თქვენ, ვინც სტალინის სახელით ექვეთეთ კაცობრიობის ყველაზე საშიშ მტრებს და დაამარცხეთ ისინი, რას იზამთ ახლა? ნუთუ ამ დიდებულ იუბილეზე დუმილს ამჯობინებთ? ხრუშჩოველ რევიზიონისტებს, რომლებმაც რა აღარ თქვეს სტალინზე, რომ რამდენადმე მაინც მიეჩქმალათ მისი სახელი და საქმეები, ახლაც შეუძლიათ, რაღაც ულიმლამო ტექსტები შეთხზან მასზე, მაგრამ თქვენ — ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედნი, ხომ ხართ ვალდებულნი, რომ ღრმა პატივისცემით გაიხსენოთ თქვენი გამორჩენილი ბელადი?! ვალდებულნი ხართ, დაამარცხოთ ფაშისტური რეჟიმი, დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ცდილობს, თაღლითურად ამოეფაროს სიტყვიერ ოინბაზობას. **უნდა იცოდეთ, რომ ისინი, ვინც თქვენ გმართავენ, ფაშისტები, შოვინისტები და იმპერიალისტები არიან. ისინი თქვენგან საზარბაზნე ხორცს ამზადებენ იმპერიალისტური ომისათვის, იმ ხალხების გასანადგურებლად, იმ ქვეყნების დასაპყრობად, რომლებსაც სტალინის იდეების იმედი აქვთ. მსოფლიო ხალხებს არ სურთ, თქვენ ასეთები იყოთ. და თუ თქვენ კვლავ ასეთად დარჩებით, ისინი უკვე ვეღარ შეძლებენ თქვენს პატივისცემას, ისინი თქვენ შეგიძულებენ!** ...თქვენ უნდა გაათვითცნობიეროთ, რომ მტრებმა უკვე დიდი ხანია, გადაგახვევინეს რევოლუციური გზიდან. იმ მიზნით, რომ თქვენს სულში სხვებზე ბატონობის სურვილი გააღვიძონ. ხრუშჩოველი რევიზიონისტები ამტკიცებენ, თითქოს თქვენი ძალები ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოიყენონ, მაგრამ ეს ცრუ მტკიცებაა. **თქვენი ხელისუფალნი ამერიკის იმპერიალიზმთან და მსოფლიო კაპიტალიზმთან კავშირში იმყოფებიან, არა რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ იმპერიალისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად — ხალხებზე ბატონობისა და გავლენის სფეროების გადასანაწილებლად.**



სტალინის ძეგლი ტირანაში

**ენვერ ხოჯას ამ გამოსვლიდან 36 წელიწადი გავიდა და დღეს უკვე ნათლად ჩანს ალბანელთა ლიდერის სიტყვების სიმართლე: ამერიკულმა იმპერიალიზმმა 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელების, კერძოდ, მიხეილ გორბაჩოვის, მოღალატეობრივი საქმიანობით შეძლო სტალინის მიერ აშენებული ზემძლავრი სახელმწიფოს დანგრევა-დანაწევრება და საბჭოთა ხალხების საზარბაზნე ხორცად ქცევა — ამის ნათელი მაგალითია ძმათამკვლელი ომი უკრაინაში და ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობა ე.წ. სამშვიდობო მისიებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ კონფლიქტებში, სადაც უკვე ათეულობით ქართველი ბიჭი დაიღუპა**

აქ ჩავთვალე, რომ აუცილებელია ენვერ ხოჯას ნათქვამის შეფასება:

ენვერ ხოჯას ამ გამოსვლიდან 36 წელიწადი გავიდა და დღეს უკვე ნათლად ჩანს ალბანელთა ლიდერის სიტყვების სიმართლე: ამერიკულმა იმპერიალიზმმა 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელების, კერძოდ, მიხეილ გორბაჩოვის, მოღალატეობრივი საქმიანობით შეძლო სტალინის მიერ აშენებული ზემძლავრი სახელმწიფოს დანგრევა-დანაწევრება და საბჭოთა ხალხების საზარბაზნე ხორცად ქცევა — ამის ნათელი მაგალითია ძმათამკვლელი ომი უკრაინაში და ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობა ე.წ. სამშვიდობო მისიებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ კონფლიქტებში, სადაც უკვე ათეულობით ქართველი ბიჭი დაიღუპა. გარდა ამისა, დასავლელი „დემოკრატები“, თავიანთი მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით, ცდილობენ, მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვება თვითონ მიიწერონ, ამ ომში გამარჯვების სულისჩამდგმელის — იოსებ სატალინის როლი დააკნინონ და მსოფლიოს ხალხები რუსეთის წინააღმდეგ აამხედრონ.

კიდევ რამდენიმე ამონარიდი ენვერ ხოჯას გამოსვლიდან:

„მსოფლიოს ხალხები შეშფოთებულნი არიან: ნუთუ თქვენ — იმ დიდებულ მეომართა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რომ მოაწყვეს, თქვენ — საბჭოთა კოლმეურნეები, ჯარისკაცები და ინტელიგენტები კვლავ განაგრძობთ ხალხთა სამტროდ მიმართულ იმ გზაზე სიარულს, რომელზეც უკვე გადაგიყვანეს თქვენმა ხელმძღვანელებმა — ცრუ კომუნისტებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ექსპლუატატორებზე მეტად გჩაგრავენ, თუ კვლავ აღდგებით სტალინის სახელით და წახვალთ შეტევაზე რევოლუციის გზით? მსოფლიოს სურს, რომ თქვენ კვლავ რევოლუციის გზით წახვიდეთ, გასწიოთ წინ, თქვენს წინამორბედთა მსგავსად, შეძახილით: „სტალინისათვის!“ ნამდვილი სოციალიზმისთვის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

...თქვენ დიდი ძალა ხართ, მაგრამ უკვე ხელახლა უნდა მოიპოვოთ მსოფლიო პროლეტარიატის ნდობა, მსოფლიოს ხალხების ნდობა — ის დიდი ნდობა, რომელიც სტალინმა ბრძოლითა და შრომით მოიპოვა. თქვენ სასწრაფოდ უნდა დაფიქრდეთ და ღრმად გააანალიზოთ მომავალი. დროა, გახდეთ ისეთები, სტალინის დროს რომ იყავით— პროლეტარული რევოლუციის შემოქმედნი, ამიტომ თქვენ არ გაქვთ უფლება, რევოლუციისა და ხალხის მტრების უღლის ქვეშ დარჩეთ, სახელმწიფოების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტერთა უღლის ქვეშ. **არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეთ იარაღად იმპერიალიზმის ხელში, რომელიც, დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ხალხის დამონებას ესწრაფვის.**

თუ თქვენ რევოლუციისა და სტალინის გზით წახვალთ, თუ მჭიდროდ დაუკავშირდებით მსოფლიო პროლეტარიატს, მაშინ ამერიკული იმპერიალიზმი და, საერთოდ, ხრწნადი კაპიტალიზმი საფუძვლიანად აღმოიფხვრება, მსოფლიო სახეს შეიცვლის, სოციალიზმი გაიმარჯვებს!

**...სოციალიზმმა შეძლო, შეექმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთობა, რევიზიონიზმი კი პირიქით მოიქცა — გათიშა საბჭოთა ხალხები, გააღვივა შოვინიზმი, დანერგა ერთა შორის მტრობა, მოძმე ერებს ჩაუნერგა რუსებისადმი სიძულვილი, სიძულვილი ერისადმი, რომელმაც სტალინის ხელმძღვანელობით მთავარი როლი შეასრულა.**

ნუთუ კვლავაც მისცემთ უფლებას, ფეხქვეშ გაგთელონ? ნუთუ კვლავაც დაუშვებთ, რომ გაღრმავდეს ბურჟუაზიის განვითარების პროცესი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში? დაიდგამთ ახალი კაპიტალის უღელს? კაპიტალისა, რომელიც ცრუ სოციალიზმის ტოგაშია გახვეული.

...ჩვენ, ალბანელ კომუნისტებს, ალბანელ ხალხს, როგორც მსოფლიოს ყველა კომუნისტსა და თავისუფლების მოყვარე ადამიანს, გვიყვარდა სტალინის იდეებზე აშენებული ნამდვილი სოციალისტური საბჭოთა კავშირი, ჩვენ მტკიცედ მივყვებით სტალინის გზას და გვჯერა, საბჭოთა ხალხის რევოლუციური ძლიერებისა, საბჭოთა პროლეტარიატისა, ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი თანდათან გამოავლენენ თავიანთ ძალებს თავგანწირულ ბრძოლაში.

...რევოლუცია და მსხვერპლი, რომელსაც გაიღებთ, კი არ დაასუსტებს თქვენს ქვეყანას, არამედ ხელახლა წარმოქმნის სოციალისტურ საბჭოთა კავშირს, დაამხობს იმპერიალიზმის დიქტატურას. საბჭოთა კავშირი ამ რევოლუციიდან უფრო ძლიერი გამოვა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამ დიდებულ საქმეში მსოფლიოს პროლეტარიატი, სრულიად მსოფლიოს ხალხები დაგიჭერენ მხარს. სწორედ ამ რევოლუციურ გარდაქმნაშია სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეის ძლიერება და არა — თქვენზე გაბატონებული ხროვის უმსგავსო, ფუჭ სიტყვებში. ნამდვილი კომუნისტები, სტალინელები მსოფლიოში ყველგან სძლევენ იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმს. ისინი დაეხმარებიან მსოფლიოს ხალხებს, ერთმანეთის მიყოლებით გათავისუფლდნენ. დაეხმარებიან დიდ ჩინეთს, რომ ჭეშმარიტი სოციალიზმის გზას დაუბრუნდეს და არ იქცეს მსოფლიოზე გაბატონებისთვის მოწოდებულ სახელმწიფოდ, რომელიც იმ დამპყრობლურ ომებში, რომლებსაც ამერიკის იმპერიალიზმი, საბჭოელი იმპერიალისტ-სოციალისტები და ჩინეთში გაბატონებული **ხუა გოფენის** ხროვა ამზადებენ.

ჩვენ, ალბანელი კომუნისტები, სტალინის ერთგული მოწაფეები და რევოლუციის ჯარისკაცები ამ დიდებულ იუბილეზე მოგიწოდებთ, რომ დაფიქრდეთ თქვენთვისა და სრულიად მსოფლიოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ საკითხზე, ვინაიდან ჩვენ თქვენი ძმები, თქვენი ამხანაგები ვართ პროლეტარული რევოლუციისა და ხალხთა გათავისუფლების დიდ საქმეში. თუ თქვენ დამპყრობლურ-იმპერიალისტური ომის გზას დაადგებით, საითაც მიჰყავხართ კიდეც თქვენს რენეგატ ხელმძღვანელებს, მაშინ ჩვენ, უეჭველად, თქვენი სისტემისა და თქვენი კონტრრევოლუციური ქმედებების მტრებად დავრჩებით. ეს დღესავით ნათელია. სხვაგვარად არ შეიძლება“.

**სტალინის დაბადების 100 წლისთავზე ენვერ ხოჯას მოხსენების ტექსტი და მოგონებები სტალინთან შეხვედრებისა ალბანეთში 1980-იან წლებში გამოიცა ალბანურ და რუსულ ენებზე. წიგნი არც ერთ ქვეყანაში არ გავრცელებულა, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირზე, სადაც აკრძალულ ლიტერატურად ითვლებოდა.**

ძნელბედობის ჟამს ქართველები ლუკმაპურის საშოვნელად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიფანტნენ და, ოღონდ ოჯახი გამოეკვებათ, სულაც არ აინტერესებდათ ეროვნული ინტერესები. თუმცა, ქვეყნისა და ხალხის საბედნიეროდ, მაინც შემორჩენ ადამიანები, რომლებსაც არ დაუკარგავთ ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა.

გასული საუკუნის დასასრულს, საბერძნეთში მყოფმა ძმამ საქართველოში დარჩენილ ძმას — **ნუგზარ თედიაშვილს** ალბანელთა მიერ ნაჩუქარი წიგნი გამოუგზავნა — რომელიმე გამომცემლობაში მიიტანე, იქნებ ვინმემ თარგმნოს და გამოსცესო.

ამ რუსულ ენაზე დაწერილმა სქელტანიანმა წიგნმა ბევრი იარა, მაგრამ პატრონი არ გამოუჩნდა, ვიდრე გაჭირვების ჟამს, ისედაც შეჭირვებულმა ოჯახმა და იმხანად თითქმის უხელფასოდ მომუშავე გაზეთ „კომუნისტის“ მთავარმა რედაქტორმა **მზია ჩხეტიანმა** არ „იშვილა“. მან ეს ვეება წიგნი კალთით ატარა გამომცემლებთან თუ ბიზნესმენებთან. ჩემდა სამრცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ ქალბატონი მზია ჩხეტიანი — შესანიშნავი პოეტი ქალი — ჩემთანაც მოვიდა, მაგრამ ვერ დავეხმარე... უფრო ზუსტად, არ დავეხმარე, რადგან, არა პირადად ქალბატონ მზიაზე, არამედ გაზეთ „კომუნისტზე“, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალზე განაწყენებული ვიყავი და გაზეთის ჯავრიც, რატომღაც, ამ შესანიშნავ წიგნზე ვიყარე.

ქალბატონ მზიას უდიდესი მონდომების შედეგად, ქართულ სტალინიადას შეემატა საბჭოეთის ბელადზე შექმნილი მემუარული ლიტერატურის უპოპულარესი წიგნი — **„ენვერ ხოჯა — შეხვედრები სტალინთან“,** რომელიც მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მემუარული წიგნისა, რომელიც ენვერ ხოჯამ დაუტოვა არა მხოლოდ ალბანეთს, არამედ მსოფლიოს.

რარიტეტადქცეული ენვერ ხოჯას მემუარების ეს ნაწილი, ქალბატონი მზია ჩხეტიანის დიდი ძალისხმევით გამოცემული, დღეს ჩემი სამაგიდო წიგნია, რომლის ყოველ დანახვასა და გადაშლაზე სიხარულსა და სიამოვნებას განვიცდი, თუმცა — სირცხვილსაც და სინდისის ქენჯნასაც.

ბოდიში, ქალბატონო მზია, ჩემი დაუდევრობისთვის და უღრმესი მადლობა იმ საჩუქრისთვის, რომელიც თქვენგან მივიღე, თუმცა ამის ღირსი არ ვიყავი!

**P.S. ენვერ ხოჯასა და სტალინის ხუთ შეხვედრაზე მომავალ წერილებში ვისაუბრებ.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1940 წლის 1 მარტის მდგომარეობით, „გულაგი“ (ბანაკების მთავარი სამმართველო — რედ.) შედგებოდა 53 ბანაკისგან (მათ შორის, იმ ბანაკებისგან, რომლებიც დაკავებული იყო სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობით), 425 გამასწორებელი-შრომითი კოლონიისგან (მათ შორის, 170 — სამრეწველო, 83 — სასოფლო-სამეურნეო და 172 — „კონტრაგენული“, ანუ სხვა მეურნეობებში მშენებლობაზე მომუშავენი), რომლებიც გაერთიანებული იყო საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ გამასწორებელ-შრომით კოლონიებში, და არასრულწლოვანთა 50 კოლონიისგან“.**



# სიმართლე «გულაგის არქიპელაგის» შესახებ




## რატომ ცდილობენ ისტორიის ფალსიფიკაციას

**საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლების სისხლიან რეპრესიებზე უამრავი კვლევა ჩაატარეს და ნაშრომებიც გამოაქვეყნეს სპეციალისტებმა, მათ შორის, დასავლელებმაც, რომლებსაც მოჰყავდათ გამაოგნებელი მონაცემები რეპრესირებულთა შესახებ: ზოგი 10 მილიონს ასახელებდა, ზოგი — 16 მლნ-ს, ზოგიც — 60-ს... ცნობილმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა ამ თემაზე წიგნიც კი დაწერა — „გულაგის არქიპელაგი“, რომელშიც ბევრი სუბიექტური მოსაზრება და ფალსიფიცირებული მონაცემია. მოგვიანებით, როცა ისტორიკოსებს უკვე განსაიდუმლოებულ დოკუმენტებზე მუშაობის ნება დართეს, გაირკვა, რომ სტალინის მიერ 60 მილიონი რეპრესირებული, რბილად რომ ვთქვათ, გაბუქებულია და 1921-53 წლებში (!) კონტრრევოლუციური და სხვა განსაკუთრებით სახიფათო დანაშაულის ჩადენის გამო სსრკ-ში მსჯავრში დაედო 4 060 036 ადამიანს, მათგან 799 455 სიკვდილით დასაჯეს. პატიმართა მაქსიმალური რაოდენობა, 1950 წლის 1 იანვრის მონაცემებით, იყო 2 760 095 კაცი. საშუალოდ პატიმართა რაოდენობა კი 1,5 მლნ-დან 2,5 მლნ-მდე მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს „დემოკრატიის სავანე“ აშშ-ში პატიმართა რაოდენობამ 2,2 მლნ-ს მიაღწია.**

**დასავლელი მკვლევარების მიერ რეპრესირებულთა მონაცემების ფალსიფიკაციის მიზანი მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მისაკუთრება და სსრკ-ის, უწინარესად, ამ ომში გამარჯვების სულისჩამდგმელის, სტალინის, როლის დამცრობა-დაკნინება რომ იყო, კარგად წარმოაჩინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ახლახან გარდაცვლილი ვიქტორ ზემსკოვის კვლევის შედეგებმა, რომლის შესახებაც მასალა — „რეპრესიები უემოციოდ. ვიქტორ ზემსკოვის ფაქტები და არგუმენტები“ — ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №28, 28 ივლისი-4 აგვისტო, 2015 წ.).
დღეს კი გთავაზობთ ინტერვიუს ვიქტორ ზემსკოვთან, რომელიც 26 წლის წინათ, 1989 წელს დაიბეჭდა გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიში“.**



„გულაგის“ ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები

**დასავლელი მკვლევარების მიერ რეპრესირებულთა მონაცემების ფალსიფიკაციის მიზანი მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მისაკუთრება და სსრკ-ის, უწინარესად, ამ ომში გამარჯვების სულისჩამდგმელის, სტალინის, როლის დამცრობა-დაკნინება რომ იყო, კარგად წარმოაჩინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ახლახან გარდაცვლილი ვიქტორ ზემსკოვის კვლევის შედეგებმა**

„მხატვრული კვლევის გამოცდილება“, — ასე შეაფასა თავისი ნაშრომი თვითონ ოსტატმა, — დღეს ყურადღების ცენტრშია. და, რაც უნდა იყოს მკითხველის რეაქცია — შეძრწუნება, გულისწყრომა, განცვიფრება, ცრემლი, აღშფოთება, თანაგრძნობა — მას მოსდევს შეკითხვა: „სად არის იმ ტრაგიკული პერიოდის დოკუმენტები?“

სამოქალაქო სტატისტიკის იმედი, მიუხედავად იმ სისხლიანი წლების ყველაზე ნიჭიერი ხუმარების — ილფისა და პეტროვის მტკიცებისა, რომ ყველაფერი იცის, ნაკლებია. შესაძლებელი იყო, რომ სტალინური „გამარჯვებების“ მსახურ ქალს (სტატისტიკას — რედ.) ჭეშმარიტება აესახა? სხვა საქმეა ბერიას აღმრიცხველის სტატისტიკა. დავადოთ ის, როგორც პერგამენტი, „გულაგის არქიპელაგს“ და გავერკვეთ ეპოქის უდიდეს დანაშაულებში.

დაჯავშნილი სეიფები საიმედოდ ინახავს ავის მომასწავებელ არქივებს. ოღონდ გაუგებარია, რა მიზეზებით მოხვდა „გულაგის“ დოკუმენტაციის ნაწილი სამოქალაქო არქივში, ყველაზე უწყინარ დოკუმენტებს შორის. ამ დოკუმენტებს მიაკვლია მეცნიერმა — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის, სსრკ-ის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ვიქტორ ზემსკოვმა,** რომელმაც მასალები „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქციას გააცნო.

**„აიფ“: — შეგიძლიათ, სიცხადე შეიტანოთ: რა არის ეს — „გასაოცარი ქვეყანა გულაგი, გეოგრაფიულად არქიპელაგად დანაწევრებული, მაგრამ კონტინენტში შებორკილი, — თითქმის უხილავი ქვეყანა“?**

**ვიქტორ ზემსკოვი:** — 1940 წლის 1 მარტის მდგომარეობით, „გულაგი“ (ბანაკების მთავარი სამმართველო — რედ.) შედგებოდა 53 ბანაკისგან (მათ შორის, იმ ბანაკებისგან, რომლებიც დაკავებული იყო სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობით), 425 გამასწორებელ-შრომითი კოლონიისგან (მათ შორის, 170 სამრეწველო, 83 — სასოფლო-სამეურნეო და 172 — „კონტრაგენული“, ანუ სხვა მეურნეობებში მშენებლობაზე მომუშავენი), რომლებიც გაერთიანებული იყო საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ გამასწორებელ-შრომით კოლონიებში, და არასრუწლოვანთა 50 კოლონიისგან.

„გულაგის“ სისტემაში იზოლაციის ორგანოებთან ერთად შედიოდა ე.წ. გამასწორებელი სამუშაოების ბიუროები, რომელთა ამოცანაც იყო მსჯავრდადებულთა არა იზოლაცია, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ იძულებითი მუშაობა.

**1940 წლის 1 მარტს „გულაგის“ გამასწორებელ-შრომით ბანაკებში პატიმართა საერთო რაოდენობა დადგინდა ცენტრალური აღრიცხვის მონაცემების მიხედვით — 1 668 200 კაცი. მათგან 352 ათასი სასჯელს იხდიდა გამასწორებელ-შრომით კოლონიებში (მათ შორის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კოლონიებში — 192 ათასი).**

პატიმრები განაწილდნენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით (1940 წლის 1 მარტი): კონტრრევოლუციური მოღვაწეობის გამო — 28,7%; მმართველობის წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის — 5,4%; ხულიგნობისთვის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულისთვის — 12,4%; ქურდობისთვის — 9,7%; თანამდებობრივი დანაშაულისთვის — 8,9%; პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის — 5,9%; სოციალისტური საკუთრების დატაცებისთვის — 1,5%; სხვა დანაშაულისთვის — 27,5%.

**— „ თავხედობა არ მეყოფა, დავწერო არქიპელაგის ისტორია: მე დოკუმენტები არ წამიკითხავს“, — ამბობს სოლჟენიცინი თავის ნაშრომზე. თქვენ ეს დოკუმენტები წაიკითხეთ, იყო თუ არა ზუსტი ნობელის პრემიის ლაურეატი?**

— კონკრეტული რომ ვიყო, გთავაზობთ, შემოვიფარგლოთ მხოლოდ საწყისი თავებით, რომლებიც „ნოვი მირის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა. მოვიყვან რამდენიმე სტრიქონს და მათ „გავშიფრავ“.

***„მათ, ვინც არქიპელაგის მცველებად მიდიან, იწვევენ სამხედრო კომისარიატების გავლით“.**

1940 წლის დასაწყისში „გულაგის“ გასამხედროებული დაცვა 107 ათას ადამიანს ითვლიდა, მათი შენახვა წელიწადში 790 მლნ რუბლი ჯდებოდა. კოლონიებისა და ბანაკების ადმინისტრაციები წლიდან წლამდე განიცდიდნენ სირთულეებს მცველებად თავისუფლად დაქირავებული მუშაკების შერჩევის გამო და ამიტომ ამ საქმეში ჩართავდნენ ხოლმე ისეთ ▶

მოკლედ

## აშშ-ის სპეცსამსახურები იაპონიის მთავრობისა და იაპონური კომპანიების წარმომადგენლებს უსმენდნენ

**„ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკული სპეცსამსახურების სიაში იაპონიის მთავრობისა და იაპონური კომპანიების წარმომადგენლების 35 სატელეფონო ნომერი იყო, მათ შორის, სამინისტროებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელების.**

აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლები მათი მოსმენების შედეგად ინფორმირებული იყვნენ იაპონიის სავაჭრო გარიგებების, აგრეთვე, პრემიერმინისტრ სინძო აბეს რეზიდენციაში გამართული კონფიდენციალური შეხვედრების თაობაზე.

„ვიკილიქსის“ ცნობით, აშშ ასევე უსმენდა იაპონიის ბანკის ხელმძღვანელებსა და კომპანია „მიცუბიშის“ წარმომადგენლებს. „ვიკილიქსის“ მიერ ადრე გასაჯაროებული ინფორმაციის თანახმად, ვაშინგტონი გერმანიის, საფრანგეთისა და ბრაზილიის მთავრობის წარმომადგენლებსაც უსმენდა.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატიმრები განაწილდნენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით (1940 წლის 1 მარტი): კონტრრევოლუციური მოღვაწეობის გამო — 28,7%; მმართველობის წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის — 5,4%; ხულიგნობისთვის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულისთვის — 12,4%; ქურდობისთვის — 9,7%; თანამდებობრივი დანაშაულისთვის — 8,9%; პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის — 5,9%; სოციალისტური საკუთრების დატაცებისთვის — 1,5%; სხვა დანაშაულისთვის — 27,5%.**

◀ ადამიანებს, რომლებიც პატიმრების ნდობას იმსახურებდნენ. **1939 წლის იანვარში დაცვაში პატიმარ მსროლელთა რაოდენობა 25 ათასი იყო, 1940 წელს კი შემცირდა და 12 ათასი შეადგინა.**

***„გადატვირთული იყო 1945-46 წლები, ოდესაც ევროპიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ ეშელონები და ყველანი „გულაგში“ უნდა გაეგზავნათ“.**

1946 წელს შესამოწმებელ-გასაფილტრ ბანაკებში შემოწმება გაიარა 228 ათასმა რეპატრიანტმა. მათგან 199,1 ათასი 1947 წლის 1 იანვარს გადაიყვანეს სპეცდასახლებებში, შეიყვანეს სამრეწველო კადრებში („მუშა ბატალიონებში“) და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაამგზავრეს. დანარჩენ 28,9 ათას რეპატრიანტს კი გაუგრძელეს შემოწმება (მათი ნაწილი, შესამოწმებელ-გასაფილტრავის გარდა, გამასწორებელ-შრომით ბანაკებშიც იმყოფებოდა).

***„შეიძლება ვცდები, მაგრამ ვიტყვი: 37-38 წლების ნაკადი არც ერთადერთი იყო და არც მთავარი, ის იყო ერთ-ერთი იმ სამი დიდი ნაკადიდან, რომლებმაც აქოთებული მილები ჩაყარეს საპატიმროების კანალიზაციაში“.**

**ცნობა „გულაგის მოსახლეობის მოძრაობის შესახებ“ თავისთავად ყველაფერს ამბობს. გარდა ამისა, არის კიდევ ცნობა „ენ-კა-ვე-დეს“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი — რედ.) ბანაკებში პატიმართა საერთო რაოდენობის შესახებ** *(იხ. ცხრილი №1).*

***„1939 წლის გათავისუფლება — ეს ორგანოების ისტორიაში დაუჯერებელი შემთხვევაა, ლაქა მათ ისტორიაზე! თუმცა ეს ანტინაკადი დიდი არ ყოფილა ერთის გარდა — დაკავებულთა 2 პროცენტი...“**

1939 წელს „გულაგიდან“ გაათავისუფლეს 327 400 ადამიანი, მათ შორის ბანაკებიდან — 223 600, კოლონიებიდან — 103 800.

***„...ხომ რჩებოდნენ დედები... ცოლები და შვილები. არც ისე ზუსტი სოციალური ანალიზით, ადვილი წარმოსადგენია მათი განწყობა ოჯახის უფროსის დაპატიმრების შემდეგ. ამით, უბრალოდ, აიძულებდნენ, ისინიც ჩაესვათ საპყრობილეში!“**

და აპატიმრებდნენ კიდეც. „გულაგში“ მყოფი „სამშობლოს მოღალატეების“ ოჯახების წევრთა რაოდენობა (1 იანვრისთვის): 1939 წ. — 13172; 1940 წ. — 13044; 1941 წ. — 12128; 1942 წ. — 12429; 1943 წ. — 8817; 1944 წ. — 6033; 1945 წ. — 5698; 1946 წ. — 2197; 1947 წ. — 1014.

***„მათგან ზოგიერთმა (პატიმარმა — რედ.) მოახერხა, პატარა უკუნაკადებში მოხვედრილიყო და გამოეღწია! ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ახსოვდათ, რომ სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ ეძლევათ და სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია“.**

1947 წლის ივლისში „გულაგის“ აგენტურული ქსელის ხვედრითი წილი მოიცავდა



„გულაგის“ ერთ-ერთი ბანაკი



სოლჟენიცინი

პატიმრების მხოლოდ 8%-ს, ანუ — 139 ათას ადამიანს, მათგან 10 ათასი იყო რეზიდენტი, 4 ათასი — აგენტი, 125 ათასი — ცნობების მიმწოდებელი.

**— როგორი ვითარება იყო „ყველაფრის გამსუფთავებელი“ 58-ე სტატიით დაპატიმრებულთა მიმართ, რომელმაც ძალა მისცა „ყოველთვის ფხიზლად მყოფ და ყველაფერში შემღწევი ორგანოების მრავალწლიან მოღვაწეობას“? რამდენმა ადამიანმა გამოსცადა საკუთარ თავზე მისი „ყოვლისმომცველი ჩახუტება“?**

— კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩამდენთა ხვედრითი წილი „გულაგის“ ბანაკების პატიმართა შორის იყო: 1934 წელს — 26,5%; 1935 წ. — 16,3%; 1936 წ. — 12,6%; 1937 წ. — 12,8%; 1938 წ. — 18,6%; 1939 წ. — 34,5%; 1940 წ. — 33,1%; 1941 წ. — 28,7%; 1942 წ. — 29,6%; 1943 წ. — 35,6%; 1944 წ. — 40,7%; 1945 წ. — 41,2%; 1946 წ. — 59,5%; 1947 წ. — 54,3%; 1948 წ. — 38,0%.

არსებობს მონაცემები ამ სტატიის ცალკეული მუხლების მიხედვითაც. გამოთვლილია პატიმართა მოკვდაობის ზრდის მაჩვენებლები ომის წლებში „კვების ნორმებისა და საკვების კალორიულობის“ შემცირების გამო. აგრეთვე, გამოთვლილია ყოველწლიური ცვლილებები „ერთ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობის მიხედვით“.

**— ყველაზე მეტად რამ განგაცვიფრათ მოკვლეულ დოკუმენტებში?**

— „გულაგის“ ყოველწლიური ანგარიშების პრეამბულებში ყოველთვის ხაზგასმული იყო, რომ „გულაგი“ სადამსჯელო ორგანოზე მეტად აღმზრდელობითი ორგანოა. ამ დოკუმენტების შემდგენელთა წარმოდგენით, „არქიპელაგი“ იყო თითქმის საქველმოქმედო დაწესებულება, რომელიც გზააბნეულ მოქალაქეებს სოციალიზმის აქტიურ აღმშენებლად გადაქცევაში ეხმარებოდა. „გულაგის“ ნაკრები ანგარიშები — ასგვერდიანი ტომები — სახალხო მეურნეობის საწარმოს ანგარიშებს უფრო ჰგავს. მათში აღრიცხულია იმ ლურსმნების რაოდენობაც კი, რომლებიც ტარის შესაქმნელად გამოიყენეს.

***„არგუმენტი ი ფაქტის“ მასალების მიხედვით***

## ცხრილი №1

| წწ. | 1 იანვრისათვის | საშუალოდ წელიწადში |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |

## ცხრილი №2 — „გულაგის“ ბანაკების მოსახლეობის მოძრაობა

| | 1934 | 1935 | 1936 | 1937 | 1938 | 1939 | 1940 | 1941 | 1942 | 1943 | 1944 | 1945 | 1946 | 1947 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იანვრისათვის | 510 307 | 725 483 | 839 406 | 820 881 | 996 367 | 1 317 195 | 1 344 408 | 1 500 524 | 1 415 596 | 983 974 | 663 594 | 715 506 | 600 897 | 808 839 |
| სულ შევიდა | 593 733 | 534 338 | 636 069 | 554 811 | 1 036 165 | 749 647 | 1 158 404 | 1 343 663 | 906 047 | 477 175 | 379 585 | 475 917 | 636 138 | 748 620 |
| მათ შორის | | | | | | | | | | | | | | |
| „ენ-კა-ვე-დეს“ ბანაკებიდან | 130 589 | 67 265 | 167 556 | 211 486 | 202 721 | 548 417 | 498 574 | 459 964 | 246 275 | 134 153 | 45 432 | 59 707 | 272 644 | 121 655 |
| პატიმრობის ადგილებიდან | 445 187 | 405 403 | 432 442 | 436 749 | 803 007 | 783 954 | 644 937 | 540 711 | 544 592 | 335 723 | 326 918 | 363 171 | 461 563 | 624 345 |
| გაქცეულთაგან | 45 752 | 45 988 | 35 971 | 58 460 | 23 679 | 9838 | 8837 | 6528 | 4984 | 3074 | 1037 | 963 | 1235 | 1575 |
| სხვა | 1274 | 1433 | 1281 | 1116 | 7758 | 7398 | 6237 | 7459 | 10 307 | 4221 | 2394 | 2126 | 579 | 1942 |
| სულ წავიდა | 378 526 | 410 465 | 644 594 | 766 515 | 715 557 | 722 454 | 1 003 286 | 1 428 591 | 1 221 905 | 727 555 | 327 677 | 565 524 | 438 346 | 449 402 |
| მათ შორის | | | | | | | | | | | | | | |
| „ენ-კა-ვე-დეს“ ბანაკებში | 103 003 | 73 190 | 173 484 | 214 507 | 240 466 | 347 444 | 563 338 | 540 305 | 352 174 | 140 755 | 64 139 | 96 438 | 382 547 | 153 899 |
| პატიმრობის სხვა ადგილებში | 17 164 | 24 976 | 23 436 | 43 916 | 55 790 | 74 292 | 57 315 | 135 557 | 144 527 | 140 093 | 79 305 | 70 287 | 77 334 | 58 702 |
| გათავისუფლებულია | 147 271 | 211 035 | 369 544 | 364 437 | 279 966 | 223 622 | 316 825 | 624 276 | 509 538 | 336 153 | 152 131 | 336 750 | 115 700 | 194 886 |
| გარდაიცვალა | 26 295 | 28 328 | 20 595 | 25 376 | 90 546 | 50 502 | 46 665 | 100 997 | 249 877 | 166 967 | 60 948 | 43 848 | 18 154 | 35 668 |
| გაიქცა | 83 490 | 67 493 | 58 313 | 58 264 | 32 033 | 12 333 | 11 813 | 10 592 | 11 822 | 6242 | 3586 | 2196 | 2642 | 3779 |
| სხვა დანაკლისი | 1390 | 2383 | 1832 | 1725 | 16 536 | 13 651 | 6431 | 16 384 | 12 917 | 7344 | 7590 | 6105 | 9711 | 2388 |
| მდგომარეობა 31 დეკემბრისთვის | 725 483 | 839 406 | 820 881 | 996 367 | 1 317 195 | 1 344 408 | 1 500 524 | 1 415 596 | 983 974 | 663 594 | 715 506 | 600 897 | 808 839 | 1 108 057 |

მოკლედ

# უკრაინული კომპანია მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

**კომპანია „მილენიუმ 2003“, რომელიც ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ილიჩევსკის პორტში ტვირთების განბაჟებაზე მონოპოლიის დაწესებაში დაადანაშაულა, ცილისწამებისთვის კიევის სასამართლოში სარჩელს შეიტანს. სააკაშვილის განცხადებით, ეს კომპანია ოლიგარქ იგორ კოლომოისკის ეკუთვნის და მას ტვირთების განბაჟების საკითხში მონოპოლია აქვს.** „საუბარია მილიარდობით დოლარზე, რომლებიც არა ბიუჯეტში, არამედ ოლიგარქების ჯიბეებში მიდის. სწორედ ამით აიხსნება, რატომ გამოიწვია კოლომოისკის უკმაყოფილება ჩემმა აქტიურმა პოზიციამ პორტის ხელმძღვანელობის მიმართ“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ამის საპასუხოდ „მილენიუმ 2003“-ის დირექტორის მოადგილემ სამველ ბარიკიანმა განაცხადა, რომ ეს ფირმა ტვირთების განბაჟებას არ აწარმოებდა და არც ახლა აწარმოებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ოდესის გუბერნატორს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, რის გამოც მან ასევე მცდარი ინფორმაცია გაავრცელა. კომპანია მოითხოვს მის მიერ საბაჟო მომსახურების შესახებ, აგრეთვე, მისი მესაკუთრეების თაობაზე ინფორმაციის, ასევე მოპასუხე მხარის მიერ განცხადების უარყოფას.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ისლამური სახელმწიფოს“ მისატაცებელთა რიგში დგანან თურქეთი და რუსული კავკასია. „კავკასიის იმარატის“ მთელმა რიგმა ბოევიკებმა უკვე შეჰფიცეს „ისლამურ სახელმწიფოს“ ერთგულება, აბუ ბაკრმა კი ჩრდილო-კავკასიური ფილიალის გახსნის შესახებ განაცხადა და FURAT MEDIA-ქვეგანყოფილება რუსულ ენაზე გაუშვა. დასკვნები ნათელია.



# «ისლამური სახელმწიფო» მსოფლიოსთვის სერიოზული საფრთხე ხდება

**რადიკალური დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ დაახლოებით 30 000 ბოევიკს ითვლის. დაჯგუფების მთავარი ამოცანაა მიწების მიტაცება, სასიცოცხლო სივრცის გაზრდა. „ისლამური სახლმწიფოს“ დანაყოფები არსებობს ლიბიაში, იემენში, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში.**



იმისათვის, რომ საკუთარი პოზიციები გააძლიერონ, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები ბრძოლებით ითვისებენ ახლომდებარე სახელმწიფოების ტერიტორიებს. „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები რეგულარულად სჯიან სიკვდილით მძევლებს. ცნობილი, რომ **ბოევიკებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს სახალხო თავდაცვის რაზმების წარმოამდგენელი ქურთებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ქურთებს ესროლეს ჭურვი, რომელიც ქლორით იყო დატენილი.** ქიმიური იარაღი გამოიყენეს ერაყის მოსულის რაიონში და სირიის პროვინცია ჰასეკში. ამის შესახებ ქურთებმა იმთავითვე განაცხადეს. დასავლეთს ძალზე უცნაური რეაგირება ჰქონდა, რადგან ქურთების მიმართ ნდობა არ აქვთ. დასავლეთი მოვლენების დადასტურებას დაელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ამის დაფიქსირება.

ჰასეკში ისლამისტებმა ნერვული სისტემის პარალიზების და პესტიციდების დასამზადებლად საჭირო ფოსფორი გამოსცადეს. გასაგები ხდება, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ ხელი მიუწვდება ქიმიური იარაღის არსენალებზე. მასობრივი განადგურებისთვის საკმარისია ქლორი ან საყოფაცხოვრებო ქიმიკატები; ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები მაღალი დონის გამომგონებლები არიან და კარგად იციან, თუ როგორ დახოცონ ადამიანები საჩვენებლად. ქიმიური იარაღის გამოყენებით განხორციელებული შეტევები მხოლოდ ტესტებია. გამორიცხული არ არის, რომ მათ მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების არეალი გაფართოვდება.

ქიმიური იარაღის გამოყენება ყველა საერთაშორისო კონვენციისა და სამხედრო მოქმედებების წარმოების წესების დარღვევაა, მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები უპირატესობას ანიჭებენ საერთაშორისო ნორმების დაუცველობას. ამდენად, ისინი მსოფლიოში ოფიციალურად არავისთან თანამშრომლობენ.

სამართლის ყველა საერთაშორისო ინსტიტუტი, კონვენციები, შეთანხმებები მათთვის ფიქციაა. ურწმუნოთა მიმართ ქიმიის გამოყენებას გარკვეული რელიგიური ქვეტექსტიც აქვს. სალაფიტების აზრით, „შხამებით მოწამვლის“ არსი არის ის, რომ მუჰამედი მოუწოდებდა, არ შეხებოდნენ ურწმუნოთა ნათესებსა და წყალს, მაგრამ თავდაცვის შემთხვევაში ნებადართულია საწამლავის გამოყენება საკვებისა და წყლის მოსაწამლად.

ამიტომ ისლამისტების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების ფსიქოლოგიასა და ტაქტიკურ მიდგომაში ცვლილებებზე მიანიშნებს. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართული მზარდი საერთაშორისო ზეწოლის პირობებში, ისინი ურწმუნოებზე ზემოქმედების სხვა მეთოდებს ეძებენ.

## «ისლამური სახელმწიფოს» მოღვაწეობის შედეგები, შესაძლოა, ტრაგედიად იქცეს მთელი კაცობრიობისა და ცივილიზებული მსოფლიოსთვის

ამის დადასტურებად შეიძლება გამოდგეს „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის — აბუ ბაკრის მიმართვაც, რომელშიც მან სიკვდილით დასჯის სცენების გადაღება და გავრცელება აკრძალა. იგი მიიჩნევს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ „აშინებს ბავშვებს“ და „აწყენინებს სხვა მუსლიმანებს“. აღნიშნული განცხადება ასევე შეიძლება გამოდგეს დაშინების სტადიიდან მსოფლიოს მუსლიმანების შეკრების სტადიაზე გადასვლის ნიშნადაც. „ისლამურ სახელმწიფოს“ ახალი ძალები, ახალი ადამიანები, ახალი სისხლი ესაჭიროება, ამიტომ რადიკალიზმიდან მოჩვენებითმა უკანდახევამ, შესაძლოა, მის რიგებში მიიზიდოს ზომიერად რადიკალური მუსლიმანები მსოფლიოდან. სწორედ ეს სჭირდებათ მათ შექმნილ სიტუაციაში.

აღნიშნული პროცესის ირიბი მტკიცებულებაა მტრული ქვედანაყოფების გადაბირება. როგორც ეს მოხდა ასადის ჯარისკაცებისა და მსოფლიოს ათასგვარი ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ, რომლებმაც „ისლამურ სახელმწიფოს“ შეჰფიცეს ერთგულება. „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები მზად არიან, მათთან დათმობებზე წავიდნენ. მართალია, ეს არ ნიშნავს მსოფლიო ხალიფატის დამყარებისა და მათ გზაზე მდგომი ნებისმიერი დაბრკოლების განადგურებაზე უარის თქმას; პრობლემა ისაა, რომ ტერიტორიის მიტაცების სურვილი შუა აზიის ქვეყნებში — ტაჯიკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენის სფეროს გავრცელებაშიც ვლინდება. მაგალითად, **ყირგიზეთის პარლამენტის ექსდეპუტატი „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ხელშეწყობის გამო დააკავეს. ტაჯიკური ომონის ყოფილი ხელმძღვანელი კი მოწოდებით გამოდის, იბრძოლონ ხელისუფლების წინააღმდეგ და საკუთარი მოწოდებების ტრანსლირებას „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიიდან ახდენს.** „ისლამური სახელმწიფოს“ მისატაცებელთა რიგში დგანან თურქეთი და რუსული კავკასია. „კავკასიის იმარატის“ მთელმა რიგმა ბოევიკებმა უკვე შეჰფიცეს „ისლამურ სახელმწიფოს“ ერთგულება, აბუ ბაკრმა კი ჩრდილო-კავკასიური ფილიალის გახსნის შესახებ განაცხადა და Furat Media-ქვეგანყოფილება რუსულ ენაზე გაუშვა. დასკვნები ნათელია.

ამგვარი მოვლენები ხდება აფრიკის ქვეყნებშიც. იქ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები იმყარებენ პოზიციებს „მალაიური არქიპელაგის ფრთის“ შექმნით ბრუნეის, აღმოსავლეთ ტიმორის, ინდონეზიის, მალაიზიისა და ფილიპინების ბოევიკების დახმარებით.

„ალ ქაიდასგან“ განსხვავებით, „ისლამური სახელმწიფო“ აქტიურად და თავდაჯერებულად ვითარდება, ახორციელებს თავის ამბიციურ ამოცანებს მსოფლიო ხალიფატის მშენებლობაზე.

ანუ ნომერი პირველი ამოცანაა, არ მიეცეს „ისლამურ სახელმწიფოს“ ამის საშუალება მის წინააღმდეგ ზემოქმედების მეთოდების შემუშავებით. სხვაგვარად **„ისლამური სახელმწიფოს“ მოღვაწეობის შედეგები, შესაძლოა, ტრაგედიად იქცეს მთელი კაცობრიობისა და ცივილიზებული მსოფლიოსთვის.**

cont.ws

# დოლარი მთავარი სარეზერვო ვალუტის სტატუსს კარგავს

**გასული საუკუნის განმავლობაში დოლარი საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველი იყო. ევროზონის შექმნის შემდეგ კი მან თავისი ძლევამოსილების პიკს მიაღწია, შეადგინა რა ოფიციალური სავალუტო რეზერვების 71%. მას შემდეგ მსოფლიო სავალუტო მარაგებში მისი წილი თანდათან იკლებდა და 2014 წლისთვის მოკრძალებულ 62,9 პროცენტამდე დავიდა.**




2010 წლის ანგარიშში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გააკეთა მოწოდება, უარი ეთქვათ ამერიკულ დოლარზე, როგორც ერთადერთ სარეზერვო ვალუტაზე

დოლარი ნელ-ნელა კარგავს მსოფლიო სარეზერვო ვალუტის პოზიციას. თუ ისტორიას გადავხედავთ, ამგვარი პროცესი უჩვეულო მოვლენა არ არის. თითქმის ყველა საუკუნეში, აღორძინების ეპოქიდან მაინც, მსოფლიო სარეზერვო ვალუტა იცვლებოდა. სხვადასხვა პერიოდში ბატონობდა პორტუგალიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ვალუტები.

სიტუაციის დღევანდელი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ქარის მიმართულება იცვლება. იმ ქვეყნებისა და ორგანიზაციების რაოდენობის შემცირების ფონზე, რომლებიც საერთაშორისო გარიგებებში ანგარიშსწორებისთვის დოლარს იყენებენ, დოლარი ნელ-ნელა კარგავს ჰეგემონიას. **ჩინეთი, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის ეპიცენტრშია, მუდმივად ამცირებს გარიგებებს, რომლებშიც ანგარიშსწორება ამერიკული დოლარით ხდება.**

ამ ტენდენციების კულმინაციას წარმოადგენს ჩინეთის ხელმძღვანელობით ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკის შექმნა, რომელიც მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდ უწევს კონკურენციას, ჰყავს 57 დამფუძნებელი ქვეყანა და აქვს 100 მილიარდი დოლარის კაპიტალი.

დოლარის სიცოცხლისუნარიანობაში მხოლოდ ჩინეთს როდი ეპარება ეჭვი. თავის **2010 წლის ანგარიშში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გააკეთა მოწოდება, უარი ეთქვათ ამერიკულ დოლარზე, როგორც ერთადერთ სარეზერვო ვალუტაზე.** ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭომ ასევე გამოხატა სურვილი, შექმნას საკუთარი სარეზერვო ვალუტა.

მოკლევადიან პერსპექტივაში, თუ ჩინეთის საფონდო ბირჟა ან ევროზონა დაემხობა, დოლარი, დიდი ალბათობით, კვლავაც გამეფდება, მაგრამ მოცემულ მომენტში პეკინი ფიქრობს იუანის ინტერნაციონალიზაციის საშუალებებზე და მისი ყოველი ნაბიჯი დოლარის ჰეგემონიის აღსასრულს აახლოვებს.

visualcapitalist.com

**ჯულიან ასანჟი ირწმუნება, რომ ამერიკელთა მიზანია, გააკონტროლონ ნავთობის საბადოები და ალყა შემოარტყან ირანს, რათა გაიმყარონ გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მისი ინფორმაციით, ვაშინგტონმა გადაწყვიტა, შეექმნა სახიფათო ტერორისტული ორგანიზაცია, რათა კიდევ ერთხელ ეცადა რეგიონის ყველა ხელისუფლების დამორჩილება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახლო აღმოსავლეთი — ამერიკელი «დემოკრატების» სიტყვა და საქმე

**მსოფლიოს მასმედიამ არაერთხელ მიაპყრო ყურადღება იმ ფაქტს, რომ ამერიკული როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შტრიხი ჩვეულებრივი დემაგოგიაა. ამგვარი დემაგოგიური პოლიტიკა განსაკუთრებით დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთში ამერიკული დიპლომატიისთვის. ამაში დარწმუნება შეიძლება აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას სიტყვისა და საქმის შედარებით.**



**საუდის არაბეთი ყოველდღიურად ბომბავს მშვიდობიან ქალაქებს, სოფლებსა და დასახლებებს, რის გამოც იზრდება იემენის მშვიდობიან მოქალაქეთა შორის მსხვერპლი. არადა, ეს ადამიანები მხოლოდ იმაში არიან დამნაშავენი, რომ «საუდელ მგელს ჭამა უნდა»**



„ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ“ კონგრესისადმი მორიგი გზავნილით გამოსვლისას ამერიკის პრეზიდენტმა, შეეხო რა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას, უაპელაციოდ განაცხადა: „ნაცვლად იმისა, რომ საზღვარგარეთ გავგზავნოთ სახმელეთო ჯარების მსხვილი კონტიგენტები, ჩვენ პარტნიორობას დავიწყებთ მრავალ ქვეყანასთან სამხრეთ აზიიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე და სიმშვიდეს დავუკარგავთ ტერორისტებს, რომლებიც ამერიკას ემუქრებიან. ამერიკული ლიდერობისა და მათ შორის ჩვენი სამხედრო ძლევამოსილების წყალობით ერაყსა და სირიაში მოხერხდა „ისლამური სახელმწიფოს“ შემოტევის შეჩერება“. ეს დემაგოგიური პასაჟი ღიმილის მომგვრელია მხოლოდ. ამისათვის **საკმარისია უკანასკნელი ახალი ამბების წაკითხვა, თუ რაოდენ „ეფექტიანად იბრძვის“ ვაშინგტონი და იმარჯვებს „ისლამურ სახელმწიფოზე“. ამასთანავე, სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუწყო ხელი ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების შექმნას, როგორიც „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფოა“.**

აი, საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ მჭევრმეტყველური ფაქტი: 2013 წლის 27 მაისს სირიაში თურქეთის გავლით საიდუმლოდ გადაიპარა ამერიკელი სენატორი, რესპუბლიკელი **ჯონ მაკკეინი**, რომელიც მეამბოხეთა ტერიტორიაზე შეხვდა ეგრეთ წოდებული სირიის თავისუფალი არმიის გენშტაბის მეთაურს — **სალიმ იდრისს** და შეიარაღებული დაჯგუფებების სხვა ლიდერებს. მაშინ სირიის თავისუფალი არმია ჯერ კიდევ „ალ ქაიდას“ მოკავშირე იყო. ყველა ზემოთ ხსენებული დაჯგუფება პირდაპირ მხარდაჭერას იღებდა აშშ-ის, საფრანგეთის, თურქეთისა და სხვა სახელმწიფოების მხრიდან.

**მალე სირიის თავისუფალი არმიის 13 ყველაზე წარმატებული დაჯგუფება ამერიკელი მრჩევლების ბრძანებით გავიდა ოპოზიციური კოალიციის შემადგენლობიდან და შექმნეს ცალკე ფრონტი, რომელსაც უწოდეს „ისლამური კოალიცია“ და რომელსაც სათავეში ჩაუდგა „ჯებხა ან-ნუსრა“ — „ალ ქაიდას“ ფილიალი სირიაში.**

მოგვიანებით კი კიდევ უფრო წარმოუდგენელი რამ მოხდა: „ალ ქაიდას“ მეორე ფილიალმა — „ისლამურმა სახელმწიფომ“ უარი განაცხადა ლიდერის — აიმენ აზ-ზავაჰირის მორჩილებაზე და დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც 2014 წლის 29 ივნისს სირიისა და ერაყის მის მიერ მიტაცებულ ოლქებში „ხალიფატის“ გამოცხადება მოჰყვა. პენტაგონი აქამდე „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის მხოლოდ იმიტირებას ეწევა და არც თუ იშვიათად ისვრის ბომბებს სირიისა და ერაყის უდაბნოს რაიონებში. ბოლოდროინდელ ამერიკულ პრესაში კი ტერორისტების დანაკარგებზე მონაცემები არ არის, არადა, ადრე ამ მონაცემებს ის ამაყად ამცნობდა ხოლმე ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს.

ამაში გასაკვირი არაფერია, თუ ამ თემაზე მთელ რიგ ამერიკულ დოკუმენტებს გადავხედავთ. მაგალითად, არგენტინულ გამოცემასთან ინტერვიუში WikiLeaks-ის დამფუძნებელმა **ჯულიან ასანჟმა** წარმოადგინა მთელი რიგი საიდუმლო დოკუმენტებისა, რომელთა თანახმადაც თეთრ სახლს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ელისის (ასე ეწოდებოდა თადაპირველად ისლამურ სახელმწიფოს“) შექმნასთან, „ერაყსა და სირიაში ცივილიზაციის განადგურებასთან“ და უკრაინაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებასთან. **დოკუმენტებს შორის არის დიპლომატიური ტელეგრამები, რომლებიც აჩვენებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ომისათვის პირობები სახელმწიფო დეპარტამენტსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში, ასევე ცსს-ში შეიქმნა.** ტელეგრამების ტექსტებში არის სირიის პრეზიდენტის — **ბაშარ ასადის** წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის მხრიდან ელისის დაფინანსების მტკიცებულებები. **ჯულიან ასანჟი ირწმუნება, რომ ამერიკელთა მიზანია, გააკონტროლონ ნავთობის საბადოები და ალყა შემოარტყან ირანს, რათა გაიმყარონ გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მისი ინფორმაციით, ვაშინგტონმა გადაწყვიტა, შეექმნა სახიფათო ტერორისტული ორგანიზაცია, რათა კიდევ ერთხელ ეცადა რეგიონის ყველა ხელისუფლების დამორჩილება.**

აი, კიდევ ერთი პასაჟი კონგრესისადმი ობამას გზავნილიდან, რომელზეც ღირს შეჩერება: „მეორეც, ჩვენ ვახდენთ ამერიკული გავლენისა და დიპლომატიის ძალის დემონსტრირებას. ჩვენ ვიცავთ პრინციპს, რომ დიდი ქვეყნები არ უნდა აშინებდნენ პატარებს“.

**ალბათ, ამის გამოა, რომ სპარსეთის ყურის ყველა არაბულ ქვეყანაში განთავსებულია უზარმაზარი სამხედრო ბაზები, რომლებშიც დაუღალავად შრომობენ პენტაგონისა და ცსს-ს მრჩეველები, ისინი გულდასმით აკვირდებიან და აკონტროლებენ ადგილობრივი ხელისუფლებების ქცევებს.** საკმარისია, ითქვას, რომ ამგვარი მრჩევლების დახმარებით მხოლოდ ბოლო დროს ყატარში ემირი შეიცვალა — თავისი არცთუ მოხუცი, მაგრამ „ამერიკული ყნოსვის“ დამკარგავი, მამა შვილმა ტამიმ ბინ ხამად ბინ ხალიფა ალ ტანიმ ჩაანაცვლა. უნდა ითქვას, რომ ყატარის ახალი მმართველი, სულ რაღაც, 35 წლისაა, არ აქვს საკუთარი ქვეყნის მართვისთვის საკმარისი გამოცდილება ესოდენ რთულ რეგიონში და ამიტომ ადვილად იჯერებს ვაშინგტონისა და თავისი მრავალრიცხოვანი ამერიკელი მრჩევლების დარიგებებს.

სხვათა შორის, ეს მრჩევლები ძალზე მოხერხებულად არიან განლაგებულნი ალადიდის ბაზაზე. ყატარის დედაქალაქ დოხას დასავლეთით მდებარე ამ ამერიკული სამხედრო ბაზის მეორე სახელწოდებაა აბუ ნახლეს აეროდრომი. თავისი არსით ალ-ადიდი არის სპარსეთის ყურეში პროდასავლური ძალების კოალიციის ბაზა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ისაა, რომ 2003 წელს ყატარის ალადიდში საუდის არაბეთის სამხედრო-საჰაერო ბაზა მოლიკ-სულთანიდან ახლო აღმოსავლეთში საჰაერო ოპერაციების მომზადების ამერიკული ცენტრი გადაიტანეს. ერაყსა და ავღანეთში ამერიკელების ომის დროს ეს ბაზა იქცა კოალიციის ძალთა სამართავ და დამხმარე ცენტრად.

2012 წლის 17 ივლისს ჟურნალმა The Wall Street-მა თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ყატარში აშშ-ის ახალ სარაკეტო რადარს ეძღვნებოდა, დაწერა: „აღნიშნულმა სარადარო სადგურმა უნდა სრულყოს სარაკეტო თავდაცვის სისტემა, რომელიც გათვლილია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ინტერესების დაცვაზე“. ყატარის რომელიღაც გასაიდუმლოებულ ადგილას ამერიკული სარაკეტო რადარის შექმნის შესახებ ცნობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ **ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკა ატარებს მილიტარისტულ სტრატეგიას, რომელიც რეგიონს საფრთხეს უქმნის.** ბოლო წლებში ხომ აშშ აქტიურად ზრდის თავისი სამხედრო ბაზების რაოდენობას ახლო აღმოსავლეთში და განსაკუთრებით — სპარსეთის ყურეში.

სულ სპარსეთის ყურის რეგიონში, სადაც, შეგახსენებთ, განლაგებულნი არიან მომცრო საამიროები, ამერიკული ჯარების რაოდენობა დაახლოებით 40 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლის: 7500 — ყატარში, 5000 — ბაჰრეინში, დაახლოებით 3000 — არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და რამდენადმე ნაკლები — საუდის არაბეთსა და ემანში. საერთო ჯამში, საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ იმ ადგილებში, სადაც საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობს, 235 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი მსახურობს; 175 ათასი თავმოყრილია ევროპის, აზიისა და სპარსეთის ყურის ბაზებზე. „რეგიონში მშვიდობის მხარდაჭერით“ დაკავებულია აშშ-ის არმიის პირადი შემადგენლობის დაახლოებით 11%.

**ვაშინგტონის დემაგოგიის ახალ მტკიცებულებად იქცა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და საუდის არაბეთის მეფე სალმან ბენ აბდელ აზიზ ალ საუდს შორის ახლახან შემდგარი სატელეფონო საუბარი.** ამ საუბარში ორივე ლიდერმა განაცხადა იმის შესახებ, რომ „იემენში სამხედრო კონფლიქტი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს“. მაგრამ განა სწორედ ერ-რიადი არ დაესხა თავს იემენს პროვოცირების გარეშე? **საუდის არაბეთი ყოველდღიურად ბომბავს მშვიდობიან ქალაქებს, სოფლებსა და დასახლებებს, რის გამოც იზრდება იემენის მშვიდობიან მოქალაქეთა შორის მსხვერპლი. არადა, ეს ადამიანები მხოლოდ იმაში არიან დამნაშავენი, რომ „საუდელ მგელს ჭამა უნდა“.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხედრო ბაზებზე საუდელებს მრავალრიცხოვანი ამერიკელი მრჩევლები ჰყავთ, რომლებიც ასწავლიან საუდელ მფრინავებს, არემონტებენ თვითმფრინავებს, ატარებენ ლოჯისტიკას და დაბომბვების შესახებ მონაცემებს იემენში გადასცემენ. ამერიკული პრესა წერდა, რომ საუდელ მფრინავებს სადაზვერვო მონაცემები ამერიკული თანამგზავრებიდან გადაეცემათ. თუ ამას დავუმატებთ, რომ ყველა საწყობი პირამდეა ავსებული ამერიკული შეიარაღებით, უფრო ნათელი გახდება ვაშინგტონური ადმინისტრაციის სიტყვა და საქმე „დიდი და, ცხადია, ძლიერი ქვეყნების სამხედრო თვალსაზრისით ზეწოლის არარსებობის შესახებ მათ პატარა მეზობლებზე“. ვაშინგტონში რატომღაც არ იხსენებენ, რომ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ბაჰრეინში მღელვარება დაიწყო, საუდის არაბეთმა მყისვე შეიყვანა თავისი ჯარები ამ პატარა საამიროში. რატომღაც არ ისმის ამერიკელი დემოკრატების ხმა საერთაშორისო კანონების, კერძოდ კი ადამიანთა უფლებების, ამ საარაკო დარღვევასთან დაკავშირებით.

სავსებით ნათელია, რომ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ კი სპარსეთის ყურის რეგიონში, ვაშინგტონური ადმინისტრაციის აგრესიული პოლიტიკა მიმართულია პოლიტიკის, ეკონომიკისა და სტრატეგიის რანგში გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციისკენ. ამერიკელმა დემოკრატმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელიც ამ ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე ასვლისას ახლოაღმოსავლურ პრობლემებზე საკუთარ თვალსაზრისს უფრო თავშეკავებულად გამოხატავდა, ვიდრე მისი წინამორბედები, თავისი შემდგომი ქმედებებით აჩვენა, რომ აღნიშნულ საკითხში მისდევს მისი თაობის ამერიკელი ლიდერების საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასა და პრინციპებს. და დემაგოგია უკანასკნელი საშუალება არაა თეთრი სახლის ამჟამინდელი მბრძანებლებისთვის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საკუთარი აგრესიული პოლიტიკის გასამართლებლად.

cont.ws

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიდასავლური რიტორიკა მატულობს ყოფილი დასავლეთ გერმანიის მიწებზეც და გერმანიის განსაკუთრებული გზის განახლება სავსებით რეალურია, დარწმუნებულია DIE WELT.**

# Die Welt: გერმანიაში პუტინს აღმერთებენ

**ბოლოდროინდელი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გერმანიის აღმოსავლეთში ვლადიმერ პუტინს დადებითად აფასებს გერმანელების 40%, დასავლეთში კი ანალოგიური პოზიცია მხოლოდ 19 პროცენტს აქვს. გერმანიის ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სიმპათიას რუსეთის მიმართ ისტორიული საფუძვლები აქვს, თუმცა „პუტინის რეჟიმის“ მიმართაც კეთილგანწყობა თანამედროვე გერმანიაში სახიფათოდ იზრდება, — წერს გერმანული გაზეთი Die Welt.**



ეს მონაცემები საერთაშორისო ცენტრ Pew Research-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა. „შესაძლოა, იქ უეცრად აღმოაჩინეს მოსკოვის მიმართ სიმპათიები, ან იქნებ სწორედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საბჭოთა კავშირს წარმოიდგენდნენ მეგობრის სახით, ბავშვებს კი სკოლის წლებიდანვე უნერგავდნენ „გერმანულ-საბჭოთა“ მეგობრობის ცნებას?“ — სვამს კითხვას სტატიის ავტორი მარკო მარტინი. მაგრამ მისი აზრით საქმე სულაც არ არის ასე.

როგორც გამომცემლობა აღნიშნავს, ანტისაბჭოთა ხუმრობები ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, სახელმწიფოებრივი ანტიფაშისტური მიმართულება კი სინამდვილეში მცირედ თუ უწყობდა ხელს ნაცისტების მიერ საბჭოთა კავშირში ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა გამო სირცხვილის გრძნობის გაჩენას.

გდრ-ის ინტელიგენტები უფრო დახვეწილ მიდგომას ანიჭებდნენ უპირატესობას და კითხულობდნენ ლამაზყდიან რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, თუმცა ეს გატაცება სერიოზული არ იყო. ამ პუბლიკისთვის დიდწილად უცნობად დარჩა რუსი დისიდენტების სახელები, ხოლო პოლონეთის მაგალითი, სადაც ამართლებენ ნატოს გაძლიერებას, მხოლოდ მცირე ნაწილს თუ შთააგონებს. გდრ-ის ობივატელს თავისი ავტორიტარულ-პრუსიული, ნაცისტური მსოფლმხედველობითაც კი უფრო მეტი საერთო ჰქონდა რუსულ სამყაროსთან და ხელისუფლების მისეულ გაღმერთებასთან, ვიდრე სლავური ნაციის მეზობლებს, რომლებიც თავს უფრო პროდასავლურად გრძნობდნენ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, დღეს ახალგაზრდა პოლონელები დიდი მღელვარებით შეჰყურებენ „უკრაინაში რუსეთის შეჭრას“ და უხარიათ, რომ მათი ქვეყანა, დიდი ხანია, ნატოში შევიდა. ჩეხეთისა და უნგრეთის მოსახლეობასაც ანალოგიური განცდა აქვს, თუმცა ამ ქვეყნების ლიდერებმა, „მიუხედავად მთელი სამწუხარო ისტორიული გამოცდილებისა, უცებ პუტინთან თავაზიანობა დაიწყეს“, — ირწმუნება ავტორი. მისი აზრით, საქმე იმდენად „რუსოფობია“ არ არის, რამდენადაც პოლიტიკური გათვლა, რომელიც შესაძლებელს ხდის ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე იქნეს თავიდან აცილებული საზოგადოებრივი და საპარლამენტო დაპირისპირებები და დებატები.

მიუხედავად მთელი ნაციონალურ-პატრიოტული მოკაზმულობისა, პუტინისეული სისტემა ფლობს გარკვეულ ხიბლს, რომელიც იოლად ძლევს საზღვრებს. საუბარია პოლიტიკაზე მაჩოს სტილში, რომლის დროსაც უპირატესობა ენიჭება გადამწყვეტ მოქმედებებს სიტყვების ნაცვლად, პროგნოზირებადი კრახის შემთხვევაში კი პროპაგანდის თანამედროვე საშუალებების დახმარებით ყოყმანის გარეშე პოულობს განტევების ვაცს — სექსუალური უმცირესობა იქნება ეს, არასამთავრობო ორგანიზციები, ინტელექტუალები, ლიბერალები, ათეისტები, მეწარმეები, ებრაელები თუ ამერიკელები.

გამოცემის აზრით, შეცდომა იქნებოდა, ზემოხსენებული კვლევის შედეგებზე მინიშნებით „შიგა ერთობის“ შესახებ ძველი სიმღერის გაგრძელება. „რუსეთის ძალადობრივი ქმედებები“ სიმპათიას იწვევს მემარცხენეებს, კლუბ PEGIDA-ს წევრებსა და ბისმარკის თაყვანისმცემლებს შორის პარტიაში „ალტერნატივა გერმანიისათვის“. სხვა პარტიები, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსახლეობის ფართო ფენებზე, ასევე უპირისპირებენ ამერიკულ დემოკრატიას „პუტინის რეჟიმს“. **ანტიდასავლური რიტორიკა მატულობს ყოფილი დასავლეთ გერმანიის მიწებზეც და გერმანიის განსაკუთრებული გზის განახლება სავსებით რეალურია, დარწმუნებულია Die Welt.**

**cont.ws**

# სახელმწიფო გადატრიალებების საფრთხე მერკოსურის სამიტის ცენტრალურ თემად იქცა

**ცოტა ხნის წინათ, როდესაც პრეზიდენტი დილმა რუსეფი მერკოსურის (სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი) კუთხით თავის კოლეგებთან ერთად საუბრობდა ინსტიტუციური გადატრიალების მცდელობებზე, რომლებიც ბოლო ხანს იშვიათი მოვლენას არ იყო კონტინენტზე, მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენელმა, ბრაზილიის ნაციონალური კონგრესის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ედუარდო კუნიამ დღის წესრიგში დააყენა იმპიჩმენტის მოთხოვნა, რომელიც წარდგენილ იქნა გადამდგარი სამხედრო მოსამსახურის, ამჟამად კი დეპუტატის — ჟაირ ბოლსონაროს მიერ. ეს დეპუტატი ყველაზე მეტი პოპულარობით რიო-დე-ჟანეიროს შტატის ამომრჩევლებს შორის სარგებლობს.**



მიმდინარე წლის იანვრიდან ბრაზილიაში პოლიტიკური არასტაბილურობა მატულობს. დილმას მეორე ვადით გაპრეზიდენტების შემდეგ ოპოზიციურმა სექტორებმა პირობა დადეს, რომ იგი 2018 წლამდე ვერ გაძლებს.

ბრაზილიის კონგრესი პოლიტიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ დასაყრდენს სწორედ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის — ედუარდ კუნიეს წყალობით წარმოადგენს. მან გამოაცხადა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, გამოსულიყო ოფიციალური ოპონენტის რანგში და პლანალტუს წინააღმდეგ ღია პოლიტიკურ დაპირისპირებაში აგრესიას არ მალავდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც დილმა მერკოსურელ კოლეგებთან — კრისტინა ფერნანდესთან, ორასიო კარტესთან, ტაბარე ვასკესთან და ნიკოლას მადუროსთან საუბრობდა.

ბრაზილიური პოლიტიკური ქვაბის ადუღება ქალაქ ბრაზილიაში მერკოსურის 48-ე სამიტს დაემთხვა, მასთან ერთად კი დასრულდა ორგანიზაციაში დილმა რუსეფის დროებითი თავმჯდომარეობა. მან უფლებამოსილება პარაგვაელ ლიდერს — **ორასიო კარტესს** გადასცა.

თუკი შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ბრაზილიელი დიპლომატები უცხოელ კორესპონდენტებს ატყობინებდნენ, რომ ინსტიტუციონალური გადატრიალება სამიტზე ერთ-ერთ განსახილველ თემად შეიძლებოდა ქცეულიყო, თუმცა არა პირველი რანგის საკითხად, ფაქტებმა სხვა რამ აჩვენა: ამ პრობლემას აქტიურად განიხილავდნენ გაერთიანების წევრები. მეამბოხეებმა უდავოდ მიაღწიეს იმ სამიტის ლიდერებამდე, რომელიც კონგრესიდან 200 მეტრში, იტამარატის სასახლეში — ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ შენობაში მიმდინარეობდა.

**ნაცვლად იმისა, რომ თემისთვის შორიდან შემოევლო, დილმამ კატეგორიული განცხადების გაკეთება არჩია: „სამხრეთ ამერიკაში არ არის ადგილი ანტიდემოკრატიული ავანტიურებისთვის“, — განაცხადა მან და პასუხად თავისი რამდენიმე კოლეგისგან დასტურის ჟესტები მიიღო.**

შემდეგ დილმამ, როგორც ბრაზილიური დიქტატურის დროინდელმა პოლიტპატიმარმა, საზოგადოებას შეახსენა, რომ „დიქტატურის გამო რეგიონმა მრავალ ტანჯვას გაუძლო. დღეს ჩვენს ქვეყნებში დემოკრატია ყვავის და მწიფდება, გასულ წელს საერთო არჩევნები ჩატარდა ურუგვაისა და ბრაზილიაში, წელს არჩევნები ჩატარდება არგენტინაში“.

ავტორიტარიზმის წლებზე საუბრისას ბრაზილიის პრეზიდენტმა ასევე გაიხსენა პრეზიდენტი ჟუან გულარტეჟანგუ, რომელიც 1964 წლის 31 მარტის გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს და რომელიც 1976 წლის 6 დეკემბერს არგენტინაში დევნილი გარდაიცვალა.

დილმამ მაღალი შეფასება მისცა პრეზიდენტ გულარტეჟანგუს მოღვაწეობას და გაიხსენა დემოკრატიისა და ადამიანთა კეთილდღეობისაკენ მისი სწრაფვა. ღონისძიებაზე იგი მერკოსურის გამოჩენილ მოქალაქედ გამოაცხადეს — ეს არის აღიარება, რომელიც ყველაზე ნათელ პიროვნებებს ენიჭებათ. იგივე წოდება მიანიჭეს ურუგვაელ მწერალს — ედუარდო გალეანოს, რომლის სიცოცხლეც მიმდინარე წლის აპრილში შეწყდა.

სამიტის დიასახლისის გამოსვლის ეს ორი ფრაგმენტი, რომლებმაც საგარეო საქმეთა სამინისტროს Salgo Portinari-ში გაიჟღერა, იმაზე მიანიშნებს, რომ ინსტიტუციონარული წესრიგის დამხობის ალბათობა არც თუ მცირეა.

არგენტინის პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ წელს ოპერაცია „კონდორის“ 40 წლისთავია და ივარაუდა, რომ „შესაძლოა, სადმე ახლა იბადება ახალი, უფრო დახვეწილი გეგმა, რომელიც არ მოითხოვს შეიარაღებული ძალების ჩარევას, — განაგრძო ფერნანდეს კირშნერმა. — ვინ იცის, იქნებ ახლა ისინი საკუთარ თავს გრიფებს უწოდებენ და არა კონდორებს, მაგრამ ისინი მუდამ მტაცებელი ფრინველები არიან და ამიტომ ჩვენ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გავამყაროთ დემოკრატია“. ამ სიტყვებით მან მხარდაჭერა გამოუცხადა სახელმწიფოებსა და ხალხებს, რომლებიც დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე დგანან.

მადურომ ასევე ახსენა ოპერაცია „კონდორი“ და „იმპერიალისტები“, რომლებიც, მისი აზრით, დაჟინებით განაგრძობენ ლათინური ამერიკისთვის დაბრკოლებების შექმნას.

ვენესუელის ლიდერმა მერკოსურის მხარდაჭერა მიიღო ბარაკ ობამას მიერ ხელმოწერილი აშშ-ის დეკრეტის მიმართ პროტესტის გამოხატვისას. დეკრეტი ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საშიშ სახელმწიფოდ აფასებს ვენესუელას.

საბოლოო დოკუმენტში, რომელსაც ხუთმა ხელისუფლებამ მოაწერა ხელი, „დასტურდება ჩაურევლობის პრინციპისადმი ერთგულება და აშშ-ის ხელისუფლების 2015 წლის 9 მარტის აღმასრულებელი დეკრეტის მიუღებლობა“.

**posthunt.net**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „რუსეთი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ზნეობრივი ღირებულებების ერთადერთი მცველნი არიან. დასავლეთი და აშშ მორალური დაცემის ლიდერებად იქცნენ“.




# ამერიკელი პასტორი: რუსეთი ჰომოსექსუალიზმთან ბრძოლით «მთელი მსოფლიოსთვის ზნეობრივ ავტორიტეტად» იქცა

**„ამერიკელ პასტორთა ქსელის“ ხელმძღვანელი სემ რორერი კიდევ ერთხელ გამოვიდა Dove TV-ზე გაფრთხილებით, რომ აშშ-მა დაკარგა მსოფლიოში წამყვანი მორალური ავტორიტეტის როლი ობამას ადმინისტრაციის მისწრაფების გამო, განიკითხოს სხვა ქვეყნებში ნებისმიერი ანტიჰომოსექსუალური კანონი და განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინის პერიოდში რუსეთი „ზნეობრივ ავტორიტეტად“ იქცა.**

„ჩვენ დავკარგეთ მორალური ლიდერის როლი“, — განაცხადა ყოფილმა რესპუბლიკელმა კანონმდებელმა პენსილვანიიდან. — ჩვენი ადმინისტრაცია ცდილობს, საერთაშორისო დახმარების ორგანიძებას აფრიკის ქვეყნებისთვის, რომლებმაც მიიღეს ჰომოსექსუალიზმის საწინააღმდეგო კანონები ტრადიციული ქორწინებების მხარდასაჭერად. სინამდვილეში ცდილობენ, რომ ამ ქვეყნებს თავს მოახვიონ ერთნაირსქესიანთა ქორწინებები. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ალბათ, სხვებზე მეტად ცდილობს, დანერგოს მსგავსი ქორწინებები“.

„ვუყურებ რუსეთს, პუტინს და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლებიც ახლა მსოფლიოში მორალური ავტორიტეტები ხდებიან, — განაგრძო რორერმა. — გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ **რუსეთი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ზნეობრივი ღირებულებების ერთადერთი მცველნი არიან. დასავლეთი და აშშ მორალური დაცემის ლიდერებად იქცნენ“.**

„უბრალოდ, გაუგებარია, ხედავდე, როგორ ვიქეცით არა სინათლედ სიბნელეში, არამედ ბოროტების მქადაგებლებად“, — განაცხადა პორერმა.

rightwingwatch.org

# სიტყვები — «ქმარი» და «ცოლი» — ანტიჰომოსექსუალური ტერმინები?

**ერთნაირსქესიანთა ქორწინებებზე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით შთაგონებულმა, დემოკრატებმა კალიფორნიაში წარადგინეს კანონპროექტი, რომელიც კრძალავს სიტყვების — „ცოლი“ და „ქმარი“ გამოყენებას ფედერალურ კანონმდებლობაში, რადგან ამ „გენდერულმა ტერმინებმა“, შესაძლოა, გეების უფლებები შელახოს.**

ცნებები — „ცოლი“ და „ქმარი“ — შარშან ამოიღეს კალიფორნიის შტატის კანონმდებლობიდან, რათა ის ერთნაირსქესიანთა ქორწინებების შესაბამისი გამხდარიყო.

ორ ათეულზე მეტი დემოკრატის მიერ შეთავაზებული ახალი კანონპროექტის შესაბამისად, ეს წესი გავრცელდება ფედერალურ კანონმდებლობაზეც. კანონპროექტს შემოაქვს ახალი „გენდერულ-ნეიტრალური“ ტერმინები — „მეუღლე“ ან „მეუღლეთა წყვილი“.

კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა განაცხადა, რომ ტერმინებში ცვლილებების შეტანა აუცილებელია „ყველა ქორწინების თანასწორობის“ მიზნით. „ახლა, როდესაც გეიქორწინებები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონად იქცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წყალობით, ლიბერალები, გამოდიან რა ამ გადაწყვეტილებიდან, ტყავს იძრობენ, რათა მონახონ, ქვეყანაში კიდევ სად გამოიყენონ გეი-ლობის ძალისხმევა“, — წერს ჩიკაგოელი მიმომხილველი უორნერ ტოდ ჰიუსტონი.



ამასთანავე, ქალაქ ტოლედოს მუნიციპალური სასამართლოს მოსამართლემ, რომელმაც უარი განაცხადა ერთნაირსქესიანი წყვილების დაქორწინებაზე თავისი რელიგიური მოსაზრებების გამო, ოჰაიოს უმაღლესი სასამართლოსგან მოითხოვა დასკვნა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა, უარი განაცხადოს ერთნაირსქესიანთა ქორწინებების რეგისტრირებაზე.

გეი-აქტივისტების ჯგუფმა „ტოლედოს თანასწორობა“ განაცხადა, რომ ამგვარი დამოკიდებულებით ერთნაირსქესიანი წყვილი დამცირებული იქნა, მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ მათი ქორწინება სხვა მოსამართლემ დაარეგისტრირა.

prisonplanet.com

## ცნებები — «ცოლი» და «ქმარი» — შარშან ამოიღეს კალიფორნიის შტატის კანონმდებლობიდან, რათა ის ერთნაირსქესიანთა ქორწინებების შესაბამისი გამხდარიყო

# ამერიკულ ეროვნულ პარკში ბავშვები იკარგებიან

**არსებობს ისტორიები, რომელთა გამოც ზოგჯერ ღამით დაძინებაც შეუძლებელია. ისინი აღწერილია პოლიციის ყოფილი ოფიცრის — სან-ხოსე დევიდ პოლიდესის წიგნში. მან ათასობით საათი დახარჯა ამერიკის ეროვნულ პარკებში ადამიანთა გაუჩინარების შემთხვევათა გამოძიებაზე.**

ეს ჩვეულებრივი გაუჩინარებები არ არის. სიტყვა „ჩვეულებრივში“ იგულისხმება შემთხვევები, რომლებიც შეიძლება (თუნდაც თეორიულად) აიხსნას უბედური შემთხვევებით, მხეცების თავდასხმებით ან კრიმინალით.

**ამ ნამდვილი ისტორიების გამო მეტყველების უნარს კარგავენ ისინი, ვინც ჩვეულებრივ იოლად აკეთებს დასკვნებს: „ისინი აშკარად უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს“ ან „ამაში ნამდვილად თოვლის კაცია დამნაშავე“.**

თავის წიგნში პოლიდესი არ ცდილობს აღწერილ გაუჩინარებებში ეჭვმიტანილთა პოვნას. ეს ისტორიები არ იძლევა რაიმე გონივრული დასკვნების გაკეთების საშუალებას.

ბევრ ისტორიაში ფიგურირებენ ბავშვები და მათი გაუჩინარების გარემოებები შემაძრწუნებლად მსგავსია. ხშირად ისინი, უბრალოდ, ჰაერში ორთქლდებოდნენ თავიანთი მშობლებისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, უამრავი მოწმის თანდასწრებით. ხანდახან მათ რამდენიმე დღის შემდეგ პოულობდნენ აბსოლუტურად ჯანმრთელებს, მაგრამ წაშლილი მეხსიერებით, რა ხდებოდა მათ თავს გაუჩინარების მომენტიდან. ზოგიერთს გარდაცვლილს პოულობდნენ გაქრობის ადგილიდან ძალიან შორს და ისეთ ძნელად მისადგომ წერტილებში, სადამდეც ზრდასრული ადამიანიც კი ვერ შეძლებდა მიღწევას.

ზოგიერთი ადამიანი გაქრა და რამდენიმე საათში ან დღეში მოულოდნელად გაჩნდა იმ ადგილას, რომელიც არაერთგზის გადაქექეს სამძებრო რაზმებმა.






ზოგიერთები უკვალოდ გაქრნენ, მიუხედავად პროფესიონალთა ძალისხმევისა და ძიების შთამბეჭდავი მასშტაბებისა.

მაგრამ ამ ისტორიებში არის მსგავსი შტრიხებიც, რომლებიც განსაკუთრებით შემზარავია და შემაშფოთებელი. თითქმის ყველა გაუჩინარება საშინელი ქარიშხლის წინ მოხდა. დაახლოებით ისე, თითქოს „ის“ ცდილობდა, ადამიანებისთვის დაკარგულის ძებნაში შეეშალა ხელი.

**გაუჩინარებულთა უმეტესობა იყო ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები. ხშირად გაუჩინარება ხდებოდა კენკროვანი ბუჩქების ან გრანიტის ლოდების მახლობლად. დაკარგულებს, როგორც წესი, მდინარეების დამშრალ კალაპოტებთან პოულობდნენ.**

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პარკში ამგვარი შემთხვევები უფრო ხშირად ხდებოდა, ზოგიერთში კი — იშვიათად. განსაკუთრებით შოკისმომგვრელი გაუჩინარებები დაკავშირებულია იოსემიტის ნაციონალურ პარკთან.

შემაშფოთებელია ამ შემთხვევებზე ეროვნული პარკების სამსახურების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მასმედიის რეაქციაც. რაც უნდა უცნაური იყოს, მოვლენების სერიოზულობის გათვალისწინებით, ნაციონალური პარკების სამსახური არ აწარმოებს არანაირ სტატისტიკას მის ტერიტორიაზე დაკარგული ადამიანების შესახებ. ზოგჯერ პოლიცია და მასმედია აჩუმათებს ცალკეული ადამიანის გაუჩინარების ამბავს და ოჯახსაც იმავეს აიძულებს.

მხოლოდ დევიდ პოლიდესის მსგავსი ადამიანები ცდილობენ ამ პრობლემაზე ყურადღების მიპყრობას. იგი გამოდის მრავალრიცხოვან ტელე და რადიოშოუში, საუბრობს გაუჩინარებების შესახებ. ამის თაობაზე ინტერნეტში შესაძლებელია მისი და დაკარგული ბავშვების მშობლების უამრავი ინტერვიუსა და ნაამბობის მოძიება.

defrostingcoldcases.com

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სხეულის ენა შეიძლება საკმაოდ ფართოდ გამოვიყენოთ ცხოვრებაში. ის შეიძლება დაგვეხმაროს საზოგადოებაში თვითდამკვიდრებაში, საკუთარი თავის უკეთ გამოხატვაში, მომხიბლავ, მეგობრულ და წარმატებულ ქცევაში.**

# ზოგი რამ სხეულის ენის შესახებ

**ადამიანები, როგორც წესი, უფრთხილდებიან თავიანთ რეპუტაციას და საუბრისას ცდილობენ, რამე ზედმეტი არ წამოსცდეთ; ჰგონიათ, ამისთვის საკმარისია, თუ თითოეულ სიტყვას წარმოთქმამდე აწონ-დაწონიან; ავიწყდებათ, რომ ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, მიმიკა და ჟესტი სიტყვების გარეშეც კი გამოხატავს მის ხასიათსა და მდგომარეობას, მის გრძნობებსა და აზრებს. „გამცემი“ ამ შემთხვევაში ჩვენვე ვართ, უფრო სწორად — ჩვენი სხეული...**



სხვა ადამიანის ხასიათისა და სათქმელის უსიტყვოდ გამოცნობის ხელოვნებას სხეულის ენის წაკითხვას ეძახიან. სხეულის ენის შესწავლა საკმაოდ საინტერესოა. წლებია, მას იკვლევენ და ცდილობენ, ამოხსნან.

**ჩვენი სხეულის ენა გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემს ჩვენს განწყობასა და ემოციებზე, ვიდრე ვერბალურად მათი გამოხატვა.** ჩვენს ნებისმიერ ჟესტს სხვები ქვეცნობიერად თავისებურად აღიქვამენ ჩვენს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რადგან ზოგიერთი ჟესტი ძალიან პოზიტიურ ასოციაციას ქმნის, ზოგი კი — ნეგატიურს.

**სხეულის ენა არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე. ეს არის ენა, რომლითაც საუბრობს ყველა, ისინიც კი, ვინც არ იცის ამ ენის არსებობის შესახებ. ეს ხერხი ადამიანს ურთიერთობაში და ქვეტექსტის აღქმაში ეხმარება.**

არავერბალური კომუნიკაცია უნარია, რომელიც სწავლასა და გავარჯიშებას ექვემდებარება, თუმცა არსებობს გარკვეული თანდაყოლილი მიდრეკილებებიც. ქალები კაცებზე უკეთ ახერხებენ არავერბალური კომუნიკაციის გაგებას და მის გამოყენებას. კომუნიკაციის არავერბალური ხერხების ფლობა ძალზე მომგებიანია. ამ მხრივ განაფული ადამიანები უფრო წარმატებულნი არიან.

საკუთარი სხეულის მართვა ადამიანს დიდ შესაძლებლობებს ანიჭებს. **სხეულის ენაში კარგად ჩახედული ადამიანები უკეთ აღიქვამენ არავერბალურ კომუნიკაციაში ჩადებულ კოდებს და ახერხებენ, სწორად შეაფასონ გარშემო მყოფთა რეაქციები, რაც მათ საშუალებას მისცემს, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში სასურველი მიმდინარეობა მისცენ მოვლენებს.**

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების სიღრმისეული და თანმიმდევრული შესწავლა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.

**ალბერტ მერაბიანი,** ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კომუნიკაციის არავერბალურ ასპექტებსა და მათ უდიდეს მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. 1971 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მერაბიანი ამტკიცებდა, რომ კომუნიკაციაში სამი ძირითადი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება.

ესენია სიტყვები, ინტონაცია და სხეულის ენა. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, ეს კომპონენტები ერთმანეთს ეთანხმებოდეს. თუ ეს ასე არ ხდება, ადამიანი ღიზიანდება, რადგან ორი სხვადასხვა არხის მეშვეობით ორ სხვადასხვაგვარ ინფორმაციას იღებს.

**სხეულის ენა შეიძლება საკმაოდ ფართოდ გამოვიყენოთ ცხოვრებაში. ის შეიძლება დაგვეხმაროს საზოგადოებაში თვითდამკვიდრებაში, საკუთარი თავის უკეთ გამოხატვაში, მომხიბლავ, მეგობრულ და წარმატებულ ქცევაში.** მათ, ვინც ამ საკითხს ოდნავ ყურადღებით მოეკიდება, საშუალება მიეცემა, პაემანზე პარტნიორის ფლირტით მიხვდეს მის რეალურ გრძნობებს ან თავად აგრძნობინოს, რომ მოსწონს, ოღონდ სიტყვების გარეშე. ამ ხელოვნების დიდი წარმატებით გამოყენება შეიძლება კარიერული წინსვლისთვის, ჭადრაკის ან პოკერის თამაშში მოგებისთვის, მოტყუებისგან თავის არიდებისთვის და ზოგადად, ირგვლივ არსებული სიტუაციის სწორად შეფასებისთვის. ეს იგივეა, რაც კითხვა სტრიქონებს შორის.

როდესაც ცდილობ, წაიკითხო და გაიგო ადამიანის სხეულის ენა, ძალიან ადვილია, დაიბნე ჟესტიკულაციის გამო. მაგალითად, როდესაც ელაპარაკებით ადამიანს ზამთარში ღია ცის ქვეშ და ის აჯვარედინებს ხელებს და ფეხებს, ეს შეიძლება, უბრალოდ, სიცივის გამო ხდებოდეს და სულაც არ იყოს თავდაცვითი მანერა, რასაც სხეულის ენაზე იგივე ქმედება ნიშნავს ნეიტრალურ მდგომარეობაში (ხელებისა და ფეხების გადაჯვარედინებით წარმოსახვაში ადამიანი იცავს სასიცოცხლო ორგანოებს თავდასხმისგან).

**კისრის ფხანა** შეიძლება ადამიანის მერყეობასა და არასანდოობაზე მიანიშნებდეს ან, უბრალოდ, დაავიწყდა შხაპის მიღება.

ქალები, როგორც წესი, მოკლე ქვედა კაბების ტარებისას დაჯდომის დროს აუცილებლად ფეხს ფეხზე გადაიდებენ. ეს ფეხის გადაჯვარედინება არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თავდაცვით პოზიციას იჭერენ. მეორე მხრივ, ჭარბწონიან ადამიანებს ფეხების გადაჯვარედინება საერთოდ არ შეუძლიათ, მაშინაც კი, როდესაც მართლაც თავდაცვის პოზიცია აქვთ.

**სხეულის ენა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება, მაგრამ ჟესტიკულაციის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც მას უწევს ცხოვრება. გარეშე ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხეულის ენის განსაზღვრაში.**

**ემოციების გამოხატვის მხრივ, ადამიანის სხეულის ყველაზე „მაღალგანვითარებული“ ნაწილი მისი სახეა. ზოგიერთი ადამიანისთვის იმდენად დამახასიათებელია ესა თუ ის ემოცია, რომ მისი სახის კუნთები ერთგვარად გამოხატავს ამ ემოციას**



რაც ერთი კულტურისათვის მისაღებია, ის მიუღებელია სხვა კულტურისთვის.

მაგალითად: **იტალიელები** და **ესპანელები** ხელის ჩამორთმევის მაგიერ ერთმანეთს ლოყაზე კოცნიან. საყოველთაო თანხმობის ნიშნად მიღებული თავის დაკვრა **ბულგარეთში** „არა“-ს ნიშნავს. იაპონელები გაოცებას ისე გამოხატავენ, როგორი სახეც ჩვენ გვექნებოდა შეშინების დროს. იაპონელები ლაპარაკის დროს ზრდილობიანად იღიმებიან და თავს უკრავენ მოსაუბრეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გეთანხმებიან; ეს, უბრალოდ, გამამხნევებელი ჟესტია. **საუდის არაბეთში** კაცისთვის ხელის ჩამორთმევისას ხელზე ხელის მოჭერა დაფასებასა და პატივისცემას ნიშნავს. ცერა თითის ზემოთ აწევა, როგორ წესი, მოწონებას და „კარგია“-ს ნიშნავს, მაგრამ **საბერძნეთში** ეს გინების ჟესტია.

თუ შიშველ ქალს შემთხვევით გადააწყდით, შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელი ქალი სახეს დაიფარავს; ამერიკელი, ავსტრალიელი, ბრიტანელი და სხვა უამრავი ეროვნების ქალი ერთი ხელით მკერდს დაიფარავს, მეორეთი კი სასქესო ორგანოს; შვედი — მხოლოდ სასქესო ორგანოს; სუმატრაში მუხლებს დაიფარავენ; სამოელი კი ჭიპზე დაიფარებს ხელს.

სხეულის ენის კითხვის ერთ-ერთი უმთავრესი წესია ერთიანად ხედვა. ყველა ენაში არის სიტყვები, რომლებიც ქმნიან წინადადებას, სიტყვების გადანაცვლებით კი ხშირად წინადადების შინაარსიც შეიძლება მთლიანად შეიცვალოს. ასევე არის სხეულის ენაც. თითოეული ჟესტი თუ მიმიკა სიტყვას შეესაბამება და საჭიროა გაიგო, თუ რა ითქვა მთლიანობაში. ის წაკითხული და აღქმული უნდა იყოს ისე, როგორც წინადადება და არა როგორც ცალკეული სიტყვები, ანუ ჟესტები.

ვთქვათ, ქალი ეთამაშება თავის თმას, ატრიალებს მას და თითებზე იხვევს. ცალკე ეს ჟესტი საკუთარი თავის დაწყნარებას შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ, თუ ის თამაშობდა თავისი თმით და შემდეგ გადააჯვარედინა ხელები და ფეხები, ეს შეიძლება ახსნილი იქნეს იმით, რომ ქალი შეწუხებულია, შეფიქრიანებულია, ნერვიულობს ან გარკვეული წნეხის ქვეშ არის მოქცეული.

**ემოციების გამოხატვის მხრივ, ადამიანის სხეულის ყველაზე „მაღალგანვითარებული“ ნაწილი მისი სახეა. ზოგიერთი ადამიანისთვის იმდენად დამახასიათებელია ესა თუ ის ემოცია, რომ მისი სახის კუნთები ერთგვარად გამოხატავს ამ ემოციას.** ამგვარი ადამიანების სახის გამომეტყველებით ადვილად მიხვდებით მათ ხასიათს: წუწუნაა თუ პრეტენზიული, მუდმივად უკმაყოფილო თუ კეთილგანწყობილი და გულწრფელი. ეს იმიტომ ხდება, რომ, როდესაც რომელიმე კონკრეტული ემოციის (მაგალითად, უკმაყოფილების) შესაბამისი მიმიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირ-ხშირად ჩნდება სახეზე, ის კუნთები, რომლებიც ამ მიმიკაში მონაწილეობს, ჰიპერტროფირდება (ზედმეტად ვითარდება და იზრდება); ამდენად, ადამიანის სახის ფორმაც იცვლება და იგი ატარებს უკმაყოფილების გამომეტყველებას.

არსებობს კიდევ ძალიან ბევრი ხანმოკლე, ზოგჯერ წამიერი გამომეტყველება, რომელიც ხშირად პიროვნების სურვილისგან დამოუკიდებლად გაიელვებს მის სახეზე.

ადამიანის სახისთვის დამახასიათებელია შვიდი ძირითადი ემოცია:

**უკმაყოფილება** — გამოიხატება ტუჩის ცალი მხარის მაღლა აწევით. ეს შეიძლება იყოს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს და იგი ტოვებს ირიბი ღიმილის შთაბეჭდილებას;

**სიხარული** არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ემოცია და მისი დამახასიათებელია ღიმილი. ღიმილი ორგვარია: პირველი წარმოადგენს ტუჩის უბრალო მოძრაობას, რომლის დროსაც მისი კუთხეები ზევითკენ იწევა, რაც მარტივი საკონტროლებელია, და შეიძლება ცრუ იყოს, ხოლო ეს სიცრუე რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა, დავაკვირდეთ ლოყებსა და თვალის გარშემო ადგილს. თუ ლოყები ზევით აიწია და თვალების გარშემო ადგილები დანაოჭდა, მაშინ ეს ღიმილი ნამდვილია, თუმცა ცრუ ღიმილიც შეიძლება ზრდილობიან ჟესტად ჩავთვალოთ.

**ზიზღის გამოხატვისას** ყველაფერი მიემართება წარბებს შორის წერტილისკენ — ცხვირი, წარბები და ტუჩი, მაგრამ ფარულ ზიზღს შეიძლება არ ახასიათებდეს ყველა ეს მოძრაობა ერთდროულად და შეიძლება გამოიხატოს, უბრალოდ, ტუჩის ზევით აწევა ან წარბების ერთმანეთთან მიახლოება.

**გაოცება** არის ემოცია, რომელსაც ახასიათებს ერთი განსაკუთრებული რამ – მისი ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ერთ წამზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხელოვნურადაა გამოხატული. გაოცებისას წარბები იწევა მაღლა, რასაც შეიძლება მოჰყვეს პირის გაღებაც, მაგრამ ძირითად შემთხვევაში ეს ემოცია მხოლოდ წარბების ზევით აწევით შემოიფარგლება. ასევე, წაბების აწევა იწვევს თვალის გარშემო სივრცის გაფართოებას, რაც გაკვირვებას ახასიათებს.

**მოწყენის** გამოხატვისას მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტუჩების კუთხეებს. ნებისმიერ შემთხვევაში, კუთხეების დახრა მოწ- ►

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# საუბრისას სახეზე შეხება, განსაკუთრებით კი ცხვირზე, სიცრუის ფართოდ აღიარებული გამოხატულებაა. ასევე, მოსაუბრე ყველაზე ხშირად მაშინ ტყუის, როცა პირზე ხელს იფარებს.

◀ყენას გამოხატავს, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი სევდიანია. ამ ემოციას ასევე ახასიათებს ქუთუთოების მოდუნება, რომლის დროსაც თვალის არე არის შევიწროებული. მოწყენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტორია ირიბი წარბები, რომელიც შეიძლება ძნელი შესამჩნევი იყოს.

**ბრაზის** ერთ-ერთი გამომხატველია შეკრული წარბები, როდესაც წარბები ერთმანეთთანაა მიახლოებული და ქვევითაა მიმართული. ბრაზის დროს ადვილი შესამჩნევია ქვედა ტუჩი, რომელიც წინ არის წამოწეული და მკვეთრადაა გამოკვეთილი.

**შიშისას** ადამიანის წარბები ზევით არის აწეული და ერთმანეთთან მიახლოებული. წარბებთან ერთად იწევა თვალის ზედა ქუთუთოც. შიშის დროს, მისი დაფარვის მიზნით, სახეზე, შესაძლებელია, აღიბეჭდებოდეს ღიმილი, მაგრამ წარბები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

ეს არის ის შვიდი ძირითადი ემოცია, რომელიც შეიძლება შევამჩნიოთ ადამიანის სახეზე, მაგრამ იგი შეიძლება გამოხატული იქნას რაიმე მოძრაობით ან ჟესტით.

მაგალითად, **საუბრისას სახეზე შეხება, განსაკუთრებით კი ცხვირზე, სიცრუის ფართოდ აღიარებული გამოხატულებაა.** ასევე, მოსაუბრე ყველაზე ხშირად მაშინ ტყუის, როცა პირზე ხელს იფარებს.

**ტყუილის** კიდევ ერთი ნათელი ნიშანი არის ხელოვნური ღიმილი. ჭეშმარიტი ღიმილი თვალის კუთხეებამდე აღწევს და სახის გამომეტყველებას მთლიანად ცვლის. ხელოვნური ღიმილი კი მხოლოდ პირსა და ტუჩებს მოიცავს. მათი გარჩევა საკმაოდ ადვილია. ადამიანის ემოციების სიწრფელეზე მიმიკის სიმეტრიულობა მეტყველებს; რაც უფრო მეტია სიყალბე და სიცრუე, მით უფრო განსხვავდება სახის მარცხენა და მარჯვენა ნახევრების მიმიკა.

როდესაც ადამიანი მთლიანად გულწრფელია, ის თქვენკენ ერთ ან ორივე ხელისგულს იშვერს. გულახდილი საუბრისას ხელისგულები მთლიანად ან ნაწილობრივ გაშლილია. როდესაც ადამიანი რაღაცის დამალვას ცდილობს, ის ხელებს ჯიბეებში იწყობს ან გულზე დაიკრეფს. ჩატარდა საინტერესო კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რომ ადამიანების უმრავლესობას უჭირს ტყუილის თქმა, როდესაც მათი ხელისგულები გაშლილია.

გაშლილი ხელები პატიოსნებისა და გახსნილობის გამომხატველია და ნდობასთან ასოცირდება. გულ-მკერდზე ჩაკეცილი ხელები კი არასასურველი სიტუაციისგან დამალვის მცდელობას გამოხატავს.

ადამიანები ერთმანეთისკენ გადაიხრებიან, როდესაც გრძნობენ კომფორტს და ურთიერთშეთანხმებას.

**პირზე ხელის აფარება** — ჟესტი სიცრუის დროს. ხელი ფარავს პირს და ცერა თითი მიჭედილია ლოყაზე მაშინ, როდესაც ტვინი ქვეცნობიერის დონეზე აგზავნის სიგნალებს წარმოთქმული სიტყვების შესაკავებლად. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ რამდენიმე თითი პირთან ან მუშტიც კი. ზოგიერთი ადამიანი ამ ჟესტის შესანიღბად მოჩვენებით დახველებას ცდილობს.

თუ ეს ჟესტი მეტყველების დროსაა გამოყენებული, მოწმობს იმას, რომ ადამიანი იტყუება; ხოლო თუ ის პირზე ხელს იფარებს იმ მომენტში, როდესაც თქვენ ესაუბრებით, ის კი გისმენთ, — ეს ნიშნავს, რომ ის ხვდება, რომ ცრუობთ.

**ცხვირზე ხელის შეხება** წინა ჟესტის დახვეწილ ფორმას წარმოადგენს, იგი შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე მსუბუქი შეხებით ცხვირის ქვეშ ჩაღრმავებასთან ან ერთი სწრაფი, თითქმის შეუმჩნეველი შეხებით. ამ ჟესტის ერთ-ერთი განმარტება ის არის, რომ, როდესაც ცუდი აზრები აღწევენ ცნობიერში, ქვეცნობიერი უბრძანებს, ხელი დააფაროს პირს, მაგრამ ყველაზე უკანასკნელ მომენტში, ამ ჟესტის შენიღბვის სურვილისას, ხელი სწყდება პირს და მსუბუქად ეხება ცხვირს.

**ქუთუთოს მოსრესა** გამოწვეულია იმით, რომ ტვინში ჩნდება სურვილი, დავემალოთ იმ ტყუილსა და ეჭვს, რომელთაც ვაწყდებით; ან გინდათ, გაექცეთ იმ ადამიანის თვალებში ჩახედვას, რომელიც ტყუის.

**ყურის მოსრესა** იმის მანიშნებელია, რომ შესაძლებელია, ადამიანმა საკმარისზე მეტი ისმინა და ახლა თვითონ სურს აზრის გამოთქმა.

**შუბლზე ხელის გადასმა** არის იმის ნიშანი, რომ ადამიანი რაღაცას ებრძვის ან დისკომფორტს განიცდის.

**კისერზე ხელის მოსმა** გულისხმობს ემოციურ დისკომფორტს, ეჭვს ან დაუცველობას.

**ლოყასთან ან სახესთან** ხელის მიტანა — ეს არის ნერვიულობის შემცირების მცდელობა.

როდესაც ადამიანები განიცდიან სტრესს და ნერვიულობენ, ისინი ხელებს ნ მაგიდის ქვეშ მალავენ, იდებენ ფეხებზე და ამოძრავებენ, თითქოს მათი მტვრისგან გასუფთავება უნდათ. სწორედ ეს ჟესტი მიუთითებს მათ ნერვიულობასა და დისკომფორტზე.

თუკი ადამიანს საგნები სხეულის პირდაპირ უჭირავს, მაგალითად, ყავის ფინჯანი, ხელჩანთა და მსგავსი რაღაცები, ესე იგი ეს პიროვნება მორცხვი და თავშეკავებულია, მისი მოქმედება კი გამოხატავს იმას, რომ იგი იმალება საგნების უკან. ამიტომ, თუ არ გინდათ, ვინმემ თქვენი სისუსტეები შეიტყოს, საგნები მუდამ გვერდით (და არა წინ) დაიჭირეთ.

**საათზე ხშირ-ხშირად დახედვა** მობეზრების ნათელი ნიშანია, განსაკუთრებით თუკი ვინმეს ესაუბრებით. ასევე, ცუდი ნიშანია ფრჩხილების კვნეტა საუბრის დროს. თავიდან აიცილეთ ამგვარი აშკარა და უარყოფითი ჟესტიკულაცია.

თუ გინდათ, ვინმეს აგრძნობინოთ, რომ იგი (ან მისი იდეები) არ მოგწონთ, მოწყენილი უყურეთ საუბრის დროს.

ცუდი ტონის მაჩვენებელია, თუკი ადამიანებს ძალიან მიუახლოვდებით. ისინი თავს არაკომფორტულად იგრძნობენ და, შესაბამისად, მათ კეთილგანწყობასაც ვერ მოიპოვებთ. ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი პერსონალური სივრცის შეგრძნება, რომლის დარღვევის შემთხვევაში მათ გააღიზიანებთ.

**დოინჯშემორტყმული** პოზა, როგორც წესი, ქედმაღლობასა და სიამაყეს გამოხატავს. სჯობს ასეთი ჟესტი მხოლოდ ახლო მეგობრების წრეში, გამოიყენოთ და არავითარ შემთხვევაში — საქმიან შეხვედრაზე.

როდესაც მოსაუბრეს **არ უყურებთ პირდაპირ**, ეს მას მიანიშნებს, რომ ან არ გსიამოვნებს მასთან ურთიერთობა, ან არ გაინტერესებთ, რასაც გეუბნება. საინტერესო და სახალისო საუბრის დროს მოსაუბრეები ერთმანეთის პირისპირ დგანან და არა გვერდულად.

თუ მოსაუბრემ საუბრისას **ნიკაპი მოისრისა**, ფიქრობს, რა გიპასუხოთ. ანალოგიურია სათვალის გასწორება: ტყუილის თქმას აპირებს, მაგრამ იწყებს ფიქრს, როგორ თქვას ის დამაჯერებლად.

საუბრისას **პიჯაკის ღილების გახსნა,** ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ჟესტია, მაგრამ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი გახსნილია და, ამავე დროს, გაუხარდა თქვენი ნახვა.

**წარბების აწევისას** ადამიანი თავის სტატუსს უსვამს ხაზს, გამოხატავს თავის პოზიციას. ცალი ხელის ჯიბეში ჩადება მიგვითითებს, ამ დროს ადამიანი ბოლომდე არ იხსნება.

საუბრისას სკამზე მიწოლა იმას მოასწავებს, რომ ადამიანი საკმაოდ კარგად იცნობს იმ საკითხს, რომელზეც უნდა ესაუბროთ და აპირებს, ღრმად განიხილოს ის.

**საინტერესოა ხელის ჩამორთმევის სახეობებიც.** თუ ადამიანის ხელი თქვენი ხელის ზევიდან მოექცა, ეს ნიშნავს, რომ თავიდანვე ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას. თუ იგი ორივე ხელით მოგესალმათ და თქვენი ერთი ხელი საკუთარ ხელებში მოიქცია, არ გეგონოთ, რომ სითბოს გამოხატავს. პირიქით, ის ამით გეუბნებათ, რომ აღარაფერი გამოგივათ, თქვენზე მაღლა დგას რანგით და, რასაც გეტყვით, უნდა დაიჯეროთ და შეასრულოთ.

**ხელის ნაწილობრივ ჩამორთმევა** (თითებით) კი იმას მიანიშნებს, რომ თანამოსაუბრე მორიდებულია და თან ეშინია.

**ხელების ზურგზე შემოწყობა** ნიშნავს, რომ ადამიანი პრობლემის გადაჭრას ცდილობს.

**სწრაფი მეტყველების დროს** იზრდება ნათქვამის შინაარსის ზეგავლენა ადამიანზე და ამ შემთხვევაში ნათქვამი უფრო სარწმუნო ხდება.

მიღებულია, რომ მზერა 3 წამი, ურთიერთმზერა კი 1.20 წამი უნდა გრძელდებოდეს. ამ ნორმებზე ხანმოკლე მზერა — ინტერესის არ ქონად, ხოლო უფრო ხანგრძლივი ზედმეტი ყურადღების გამოხატულებად აღიქმება.

**მაღლა აწეული თავი** წინ წამოწეული ნიკაპით თვითრწმენას, სიმამაცესა და შეუპოვრობაზე მეტყველებს; გვერდზე გადახრილი თავი მორჩილებაზე მიუთითებს, წინ დახრილი თავი — უარყოფით და აგრესიულ დამოკიდებულებაზე.

მოლაპარაკებისას მოსაუბრის **მარცხენა მხარეს ჯდომა** ზრდის წარმატების მიღწევის ალბათობას. პირისპირ ჯდომა უფრო შეჯიბრისა და კონფრონტაციის, ანუ წინააღმდეგობის მაჩვენებელია.

კაცობრიობის ისტორიაში არავერბალური კომუნიკაცია დროში ბევრად წინ უსწრებდა ვერბალურს. ენის წარმოშობამდე ადამიანები ჟესტებით, გამომეტყველებით, ტირილით, სიცილით, ყვირილითა და შეხებით ატყობინებდნენ ერთმანეთს, თუ სად იყო ცხოველი, რომლის მონადირებაც შეიძლებოდა; რას გრძნობდნენ ერთმანეთის მიმართ ან რას განიცდიდნენ — შიოდათ თუ სწყუროდათ.

დღეს სხეულის ენას ფსიქოლოგიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და იმდენად დამოუკიდებელია, რომ ადამიანი ვერ აკონტროლებს. მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხეულის ენა ზუსტი მეცნიერება არ არის. ჩვენ, ადამიანები, მისი დახმარებითაც კი საკმაოდ ამოუცნობნი ვართ.

გარდა ამისა, არავერბალური კომუნიკაციის მხოლოდ რამდენიმე სიგნალი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად და ყველა ქვეყანასა თუ კულტურაში ერთნაირად მიღებულად, მათ უმრავლესობას კი მრავალი მნიშვნელობა აქვს და ის, რაც ერთ კულტურაში, ერთ ქვეყანაში მიღებულია, შესაძლებელია, სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელიც კი იყოს სხვაგან.

ასეა თუ ისე, არავერბალური კომუნიკაციის ილეთების დაუფლება საკმაო დროსა და პრაქტიკას მოითხოვს. მაგრამ, თუ თქვენი საქმიანობა ადამიანებთან ურთიერთობას უკავშირდება, საკუთარი სხეულით მანიპულირებაში დახელოვნება არა მხოლოდ უფრო სასურველ გახდის თქვენთან ურთიერთობას, არამედ მიზნების მიღწევაშიც დაგეხმარებათ.



**დოინჯშემორტყმული პოზა, როგორც წესი, ქედმაღლობასა და სიამაყეს გამოხატავს. სჯობს ასეთი ჟესტი მხოლოდ ახლო მეგობრების წრეში, გამოიყენოთ და არავითარ შემთხვევაში — საქმიან შეხვედრაზე**







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პლუტონს, შესაძლოა, ატმოსფერო ჰქონდეს

**პლანეტათაშორისმა სადგურმა New Horizons-მა პლუტონს ჩაუფრინა და პლანეტის მზის დაბნელება გადაიღო. ფოტო 15 ივლისს არის გადაღებული, თუმცა დედამიწაზე ის მხოლოდ 23 ივლისს ჩამოვიდა. ფოტოზე დაყრდნობით, ნასას მეცნიერები ფიქრობენ, რომ პლანეტას, შესაძლოა, ატმოსფერო ჰქონდეს.** როგორც ცნობილია, აპარატის მისიამ მუშაობა 2020 წლისთვის უნდა დაასრულოს. როგორც ნასაში აღნიშნავენ, პლუტონის ექსპედიცია კაცობრიობის მიერ კოსმოსის შესწავლის ისტორიაში ერთ-ერთი საკვანძო მომენტია. როგორც მისიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, მისი წარმატებით დასრულება ნიშნავს იმას, რომ კოსმოსურმა ზონდმა ერთხელ მაინც მოახერხა, მოენახულებინა ყველა პლანეტა „კლასიკური ცხრიანიდან“ მზის სისტემაში — დაწყებული მერკურით, პლუტონით დასრულებული.





## საბერძნეთის ყველაზე იაფი კუნძულები

**საბერძნეთში 6000-მდე კუნძულია. ქვეყნის გადარჩენისთვის საჭირო თანხის მოსაგროვებლად, საბერძნეთს შეუძლია, რამდენიმე მათგანი გაყიდოს.**

### ლიჰნარის ნახევარკუნძული

ფასი — 3 მილიონი ევრო, მდებარეობა — 10 წუთის სავალი კორინთოდან. ფართობი — 384 451 კვადრატული მეტრი. არის სასმელი წყალი, გზა და ზეთისხილის უამრავი ხე.

### კუნძული გაია

ფასი — 3 მილიონი ევრო, მდებარეობა — ეხინადის კუნძულების ჯგუფი, იონიის ზღვაში, ფართობი — 174 014 კვადრატული მეტრი.

ამ კუნძულზე საწყლოსნო სპორტისთვის იდეალური პირობებია, ასევე თევზჭერისთვის, დაივინგისა და ცურვისთვის. ის იმაზე იაფია, ვიდრე ლონდონის პრესტიჟულ რაიონში ერთი ბინა.

### კუნძული სტროგილო

ფასი — 4,5 მილიონი ევრო, მდებარეობა — დოდეკანესის არქიპელაგი, ეგეოსის ზღვა, ფართობი — 218 530 კვადრატული მეტრი.

კუნძული მდებარეობს კუნძულ მარფოსის სიახლოვეს. კუნძული აუთვისებელია, მაგრამ იქაური წყლის დალევა უბრალო ფილტრაციის შემდეგ შეიძლება, ელექტროენერგიის გაყვანა კი მარტივად მოხერხდება მარფოსიდან.

### კუნძული სიფნოსი

ფასი — 5 მილიონი ევრო, მდებარეობა — ეგეოსის ზღვა, არქიპელაგ კიკლადის დასავლეთით. ფართობი — 191 182 კვადრატული მეტრი.

ეს კუნძული ათენიდან რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს და იქ უკვე აშენებულია ოცი ულამაზესი სახლი.

### კუნძული ნისოს სოფია

ფასი — 5,5 მილიონი ევრო, მდებარეობა — იონიის ზღვა, ფართობი — 176 000 კვადრატული მეტრი.

კუნძული ეკუთვნის კერძო პირს და დაცულია რამსარსკის საერთაშორისო კონვენციით, რაც იმას ნიშნავს, რომ მის წყლებში კომერციულ გემებს შესვლა არ შეუძლიათ.



# ყველაზე ცუდი «საზაფხულო ქვეყნები»

ყოველწლიურად ასიათასობით ტურისტი მოგზაურობს მსოფლიოს მასშტაბით ახალი თავგადასავლების საძებნელად. საბედნიეროდ, ჩვენი პლანეტის ქვეყნების დიდი ნაწილი ტურისტებს მეგობრულად იღებს, მაგრამ არსებობს ისეთი ადგილები, სადაც წასვლას ნამდვილად არ გირჩევთ.



## ჩრდილოეთი სუდანი

**ტურისტების რაოდენობა წლის განმავლობაში: 5 500**

უცნაურია, რომ აქ საერთოდ ვინმე ჩადის.

ქოლერის ეპიდემია, პერმანენტული ომები...

და სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებსაც კი სასტიკად ექცევა, რომ აღარაფერი ვთქვათ სტუმრებზე.



## ლიბია

**ტურისტების რაოდენობა წლის განმავლობაში: 6 250**

ომის შემდგომი ქაოსისა და არეულობის გამო ამ ქვეყანაში ჩასვლა უკვე ძალიან დიდ რისკს ნიშნავს, ამიტომ არ გირჩევთ საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდებას.



## ეკვატორული გვინეა

**ტურისტების რაოდენობა წლის განმავლობაში: 5 700**

ვიზაზე ისე არც ერთი ქვეყანა არ გაგაწვალებთ, როგორც ეკვატორული გვინეა. ამერიკის მოქალაქეებს გზა ხსნილი აქვთ, მაგრამ ყველა დანარჩენს ბიუროკრატული ჯოჯოხეთის გავლა მოუწევს. იქ ნამდვილად არის ლამაზი პლაჟები და ჯუნგლი. თუ გაითვალისწინებით, რამდენად ცოტა ტურისტს უშვებენ ქვეყანაში, თავს ისე იგრძნობთ, თითქოს ქალაქში მხოლოდ თქვენ იმყოფებით.



## გვინეა ბისაუ

**ტურისტების რაოდენობა წლის განმავლობაში: 7 500**

ქვეყნის ინფრასტრუქტურა განადგურებულია, თუმცა აქ იხილავთ ლამაზ არქიპელაგს, რომელიც ოცი კუნძულისგან შედგება. როგორც ამბობენ, აქ საუკეთესო ხამანწკები აქვთ, თუმცა ქუჩაში გამოსვლა შიშის ზარს დაგცემთ, იმდენად შორს არის ყველაფერი ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებისგან.



## თურქმენეთი

**ტურისტების რაოდენობა წლის განმავლობაში: 8 961**

დასავლელი ჟურნალისტების აზრით, თურქმენეთი იმავე ლიგას მიეკუთვნება, რომელსაც ჩრდილოეთ კორეა. ყოველ ტურისტს სახელმწიფო გიდი ამაგრებს, რათა მუდამ ყურადღების ქვეშ იყოს. თურქმენეთში მოგზაურობა ნამდვილი სიმამაცეა.



# პლუტონზე ყინულოვანი მთები აღმოაჩინეს

**ნასას პლანეტათაშორისმა სადგურმა ზონდ „ახალი ჰორიზონტის“ საშუალებით პლუტონის ზედაპირზე სამკილომეტრიანი ქვიანი წარმონაქმნი აღმოაჩინა. იმის გამო, რომ ყინული ძალიან რბილია მსგავსი სიმაღლისა და ზომის ქვების წარმოსაქმნელად, მეცნიერები თვლიან, რომ ეს გეოლოგიური ფორმირებაა.**



გარდა ამისა, ზონდმა აღმოაჩინა, რომ პლანეტა პლუტონის თანამგზავრის სამხრეთი პოლუსი შავი მტვრითაა დაფარული. ჯუჯა პლანეტის ფოტოებზე, აგრეთვე, ჩანს 3 500 მეტრის სიმაღლის ყინულოვანი მთები და გიგანტური უდაბნო.

შეგახსენებთ, რომ ზონდმა პლუტონთან მიახლოება 2015 წლის იანვარში დაიწყო. ნასას მეცნიერების გამოთვლებით, „ახალი ჰორიზონტი“, რომელიც უკვე შევიდა ისტორიაში, როგორც ყველაზე სწრაფი კოსმოსური აპარატი, ჯუჯა პლანეტას 12 500 კილომეტრის მანძილზე 14 ივნისს მიუახლოვდებოდა.

ვარაუდობენ, რომ პლუტონთან მიახლოეhბისას ზონდი მოახერხებს პლუტონის შემადგენლობის, პლანეტის გეოლოგიის, ზედაპირის ტემპერატურის შესწავლას, აგრეთვე, გადაამოწმებს, აქვს თუ არა საერთო ატმოსფერო პლუტონსა და მის თანამგზავრ ჰარონს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 15 წელიწადში მინიგამყინვარება დაიწყება

**ახალი მოდელი, რომელიც მზის ციკლებს ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს, იუწყება, რომ მზის აქტივობა 60 პროცენტით დაეცემა 2030-დან 2040 წლის ჩათვლით, რაც ნიშნავს, რომ 15 წელიწადში დედამიწაზე, შესაძლოა, მინიგამყინვარების პერიოდი დაიწყოს. მზის ასეთი დაბალი აქტივობა ბოლოს 1645-1715 წლებში შეინიშნებოდა.** უელსში ნაციონალური ასტროლოგების შეხვედრაზე მათემატიკის პროფესორმა ვალენტინა ჟარკოვამ, რომელიც დიდ ბრიტანეთში მოღვაწეობს, წარმოადგინა ახალი მოდელი, რომელიც მზის სიმხურვალის ცვალებადობას პროგნოზირებს. ჟარკოვას თქმით, მას შეუძლია, მოვლენები 97-პროცენტიანი სიზუსტით იწინასწარმეტყველოს. ბოლო მინიგამყინვარების პერიოდში ინგლისში მდინარე ტემზა მთლიანად გაიყინა.




## მომავლის ბუნებრივი კატაკლიზმები

**მეცნიერთა აზრით, გლობალური დათბობის გავლენა ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ ათეულობით წლის შემდეგ გახდება შესამჩნევი. თუმცა, როგორც ვაშინგტონელი მკვლევარები ამტკიცებენ, სათბურის ეფექტის შედეგები თვალსაჩინო უკვე 10 წელიწადში იქნება. კარნეგის მეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა გამოთვალეს დრო, რომელიც უნდა გავიდეს ნახშირორჟანგის ატმოსფეროში ემისიის შემდეგ, ეს დედამიწის ტემპერატურაზე რომ აისახოს.**

შედეგად, მათი განცხადებით, თუკი ამჟამინდელი თაობა არ შეამცირებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფას, მათ ისეთი ექსტრემალური ბუნებრივი კატაკლიზმების ატანა მოუწევთ, როგორიცაა: წყალდიდობები, სიმშრალე და ჰაერის მაღალი ტემპერატურა. თუმცა კლიმატის ცვლილების უფრო სერიოზული შედეგები, მაგალითად, მსოფლიო ოკეანის დონის ზრდა, ყინულების კატასტროფული დნობა მხოლოდ ასეულობით ან ათასეულობით წლის შემდეგ დაიწყება, — ამტკიცებს კვლევის ავტორი კატარინა რიკე.

მეცნიერები ასეთ ხანგრძლივ დაგვიანებას იმით ხსნიან, რომ ოკეანის ზედა შრეებს გაცხელებისთვის გაცილებით დიდი დრო ესაჭიროებათ, ვიდრე ატმოსფეროს. სწორედ ამიტომ ამ დროში $CO_2$-ს ოკეანე შთანთქავს და იგი ატმოსფეროდან ქრება. ეს ორი პროცესი ერთმანეთის კომპენსირებას დაახლოებით ათი წლის განმავლობაში მოახდენს. ვადის ამოწურვის შემდეგ, კლიმატის რეაქცია დედამიწის მკვიდრთათვის გაცილებით უფრო შესამჩნევი გახდება.

## მსოფლიოს ყველაზე გრძელი გზები

**მსოფლიოს უდიდესი გზები არ არის მონაკვეთები, რომლებიც მხოლოდ „ა“ პუნქტში იწყება და „ბ“ პუნქტში მთავრდება. ზოგადად, გზების სიგრძე თანამედროვე მსოფლიოში მაგისტრალური სახელწოდებებით განისაზღვრება, რის შედეგადაც ისინი ათეულათასობით კილომეტრებს აღწევს. სხვანაირად, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენს, რომ ალასკის უკიდურეს ჩრილოეთით დაწყებული გზა, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ქალაქ ბუენოს-აირესში მთავრდება, ერთი გზაა და ის მსოფლიოში ყველაზე გრძელია.**



**პანამერიკული გზატკეცილი** (Pan American Highway) არის გზების ქსელი, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 47 958 კილომეტრია.

ამ გზის მხოლოდ 87 კმ-ია შეწყვეტილი, ამ წყვეტას დორიენის ნაპრალს უწოდებენ და ის პანამაში მდებარეობს.

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის თანახმად, პანამერიკული გზატკეცილი მსოფლიოს უგრძესი საავტომობილო გზაა, თუმცა დარიენის ნაპრალის გამო სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა ტრადიციული საავტომობილო გზით დაკავშირებული არაა.

პანამერიკული გზატკეცილი იწყება ან მთავრდება ჩრდილოეთ ამერიკიდან, ალასკაზე მდებარე პრადჰოს უბიდან და სამხრეთ ამერიკის ქვემო ნაწილამდე აღწევს.

**გზატკეცილი 1, ავსტრალია** (Highway 1, Australia) სიდიდით მეორე გზაა მსოფლიოში და 14 500 კმ-ს მოიცავს. გზატკეცილ 1-ს 1955 წელს ეროვნული სტატუსი მიენიჭა. მისი მშენებლობა 1955 წელს დაიწყო და ქვეყნის ყველა შტატის დედაქალაქებს აერთიანებს.

**ტრანსციმბირული გზატკეცილი** (Trans-Siberian Highway) რუსეთში მდებარეობს და მისი სიგრძე 11 000 კმ-ია. ის სანკტ-პეტერბურგში იწყება და ვლადივოსტოკში მთავრდება.

**ტრანსკანადის გზატკეცილის** (Trans-Canada Highway) სიგრძე 7 821 კმ-ია და ამ ქვეყნის ყველა დიდ ქალაქს ერთმანეთთან აკავშირებს. გზის მშენებლობა 1950 წელს დაიწყო, ხოლო ინაუგურაცია 1962 წელს შედგა, საბოლოოდ მშენებლობა კი 1971 წელს დასრულდა.

**ოქროს კვადრილატერული გზატკეცილი** (Golden Quadrilateral Highway Network) არის გზების ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინდოეთის ოთხ მთავარ ქალაქს — დელის, მუმბაის, ჩენაისა და კალკოტას. მისი საერთო სიგრძე 5 846 კმ-ია და საბოლოო სახე 2012 წელს მიიღო.

**ჩინეთის ეროვნული გზატკეცილი 010** ( China National Highway 010) სიგრძით 5,700 კმ-ია. გზატკეცილი ასევე ცნობილია tongsan eqspreve-ის სახელით.

დანარჩენ საპატიო ადგილებზე ამერიკული გზატკეცილები — US Route 20, US Route 6, Interstate 90 (I-90) და Interstate 80 (I-80) მოხვდნენ. მათი სიგრძე, შესაბამისად, 5 415, 5 158, 4 860 და 4 666 კილომეტრია.

**საქართველოს ყველაზე გრძელი გზა „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ მაგისტრალია და მისი საერთო სიგრძე 552 კილომეტრია.**

# უკვდავი ცხოველები და მცენარეები

**ზოგი მრავალუჯრედიანი ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ პოტენციურად უკვდავია; ანუ სიკვდილი შეუძლიათ, მაგრამ არა სიბერის ან დაავადებისგან, არამედ გარეშე ფაქტორებისგან, მაგალითად, გარემოს გლობალური ცვლილების გამო ან მტაცებელი ცხოველის კლანჭებში. სხვა შემთხვევაში ეს არსებები არასოდეს მოკვდებიან.**



### ჰიდრა

ჰიდრას უკვდავობის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ალაპარაკდნენ, მაგრამ ამის დამტკიცება მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა. მათ აქვთ რეგენერაციის უნარი, რაც უკვდავ სახეობად აქცევს. მოკლე დროში მათ ორგანიზმს შეუძლია ცალკეული ნაწილები აღიდგინოს.





### მედუზა

„ტურიტოპსის ნუტრიკულას“ სახეობის მედუზას შეუძლია თავისი გენების მართვა. ხიფათის დროს ისინი იცვლიან განვითარების სტადიას და უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას, რომლის შემდეგაც ხელახლა იზრდებიან. ამ მექანიზმს მედუზები მაშინ იყენებენ, როდესაც სიბერეს მიაღწევენ: პოლიპად გადაიქცევიან და შემდეგ ხელახლა იზრდებიან მედუზებად. შესაბამისად, ბუნებრივი სიკვდილით ისინი არ კვდებიან.



### მოლუსკი მინი

2006 წელს ირლანდიის ნაპირზე აღმოჩენილი მოლუსკის ზედაპირზე წლოვანების რკალების დათვლისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მოლუსკი 1499 წელს დაიბადა. აქედან გამომდინარე, დადგინდა, რომ შესაფერის პირობებში „არქტიკა ისლანდიკის“ ჯიშის მოლუსკები ათასობით წელს ცოცხლობენ.



### დიდი კუ

კუები საუკუნეობით ცოცხლობენ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ორგანოები დროთა განმავლობაში არ ზიანდება, ამიტომ, თუ მტაცებელ ცხოველებს და დაავადებებს აარიდებენ, არ დაიხოცებიან.



### ამერიკული კიბო

კიბოს ეს სახეობა დნმ-ს თავადვე აღიდგენს. მათ გააჩნიათ ორგანიზმში ნივთიერება, რომელიც არ აძლევს დაბერების საშუალებას. მეცნიერების შეფასებით, ყველაზე მოხუცი კიბო, რომელიც აღმოუჩენიათ, 140 წლის იყო. ამის მიუხედავად, მას არანაირი სიბერის ნიშნები არ აღებეჭდებოდა. თვლიან, რომ ამერიკული კიბო ბიოლოგიურად უკვდავია.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# ჩილე — ანდები, ატაკამა, პატაგონია და აღდგომის კუნძულის გიგანტური ქანდაკებები

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ჩილე (ოფიციალური სახელწოდება — რესპუბლიკა ჩილე) — სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე სახელმწიფოა, რომელსაც უკავია ტერიტორია წყნარ ოკეანესა და ანდების მთათა სისტემას შორის. აღმოსავლეთით ესაზღვრება არგენტინას, ჩრდილოეთით — პერუს, ჩრდილო-დასავლეთით — ბოლივიას. აქვს სანაპირო ზოლი წყნარ და ატლანტის ოკეანეებზე.

სახელწოდება „ჩილე" ინდიელთა ტომ კეჩუას ენაზე ნიშნავს „ცივს". ჩილეს ტერიტორიაზე, ვიდრე მას ესპანელები დაიპყრობდნენ, ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები კეჩუა, აიმარი, მაპუჩე, ალაკალუფი და სხვ. XIV საუკუნიდან — ინკები. მე-16 საუკუნეში ეს ტერიტორია ესპანელმა კონკისტადორებმა დაიპყრეს და დააარსეს ქალაქები სანტიაგო, ესტრემადურა, კონსეფსიონი, ვალდივია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩილელმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა ესპანეთისგან — 1810 წლის 18 სექტემბერს.

ჩილეს ტერიტორია გადაჭიმულია სამხრეთ ამერიკის დასავლეთში წყნარი ოკეანის გასწვრივ. ამ სახელმწიფოს, აგრეთვე, ეკუთვნის აღდგომისა და ცეცხლოვანი მიწის (არგენტინასთან ერთად) კუნძულები და ხუან ფერნანდესის არქიპელაგი. ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე უდაბნო ატაკამა დედამიწის ყველაზე მშრალ ადგილად ითვლება. მთა **ოხოს-დელ-სალდოს** კრატერში არსებული ტბა მსოფლიოს ყველაზე მაღლა მდებარე ტბაა (6893 მ.).

**ყველაზე დიდი მდინარეებია ბიო-ბიო** (380 კმ), **უასკო** (198 კმ) და **ბეიკერი** (170 კმ).

**დიდი ტბები: რანკო, ლიანკიუედა, პალენა.**

**კლიმატი.** ჩილეს ტერიტორიაზე კლიმატი ტროპიკულის (ჩრდილოეთი) არის, ზომიერიც (შუა ზოლი) და ანტარქტიდულიც (სამხრეთი). ქვეყნის სამხრეთში საშუალო ტემპერატურა +3-დან +16-მდე მერყეობს, ჩრდილოეთში +12-დან + 28-მდე.

**ფლორა.** ჩილეს ჩრდილოეთში უდაბნო ატაკამაა და იქ თითქმის არაფერი ხარობს, შუა ზოლში უპირატესად სუბტროპიკული მცენარეებია — მარადმწვანე ბუჩქნარი და ტყეები. სამხრეთში მთის ფერდობები დაფარულია წიწვოვანი ხეებით.

**ფაუნა.** ჩილეს ტერიტორიაზე ბინადრობს ავაზა, მგელი, ლამა, ირემი, ნუტრია და სხვ. ფრინველთაგან აღსანიშნავია სირაქლემის რამდენიმე სახეობა.

**ჩილეს ტერიტორია 765 950 კვ.კმ-ს შეადგენს** (37-ე მსოფლიოში).


სანტიაგო


ვინია დელ მარი


ქვის გიგანტური ქანდაკებები აღდგომის კუნძულზე

**მოსახლეობა.** 2013 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ცხოვრობს **17,2 მლნ** კაცი (62-ე). მოსახლეობის 35% ევროპეიდული რასის წარმომადგენელია, 60% — მეტისი, ინდიელები 5%-ს შეადგენენ. ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჭარბობენ ესპანელები (ბასკები და გალისიელები), იტალიელები, გერმანელები, ფრანგები. პორტუგალიელები და ხორვატები.

**დედაქალაქი** — **სანტიაგო** (5,5 მლნ).

**დიდი ქალაქები: სანტიაგო, კონსეფსიონი (946 ათასი), ვინია დელ მარი (292 ათასი). ვალპარაისო (274 ათასი).**

ოფიციალური ენა: **ესპანური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ჩილე საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტი, რომელიც მთავრობასაც მეთაურობს, 4 წლით ირჩევა. ამჟამად ჩილეს პრეზიდენტია **მიშელ ბაჩელეტი.**

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი ნაციონალური კონგრესი, რომელიც შედგება სენატისა და დეპუტატების პალატისგან.

ჩილე დაყოფილია 15 ოლქად, თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ინტენდანტი. ოლქები დაყოფილია პროვინციებად (სულ 53 პროვინცია), რომლებსაც ხელმძღვანელობენ გუბერნატორები. პროვინციები, თავის მხრივ, იყოფა კომუნებად (346 კომუნა).

**რელიგია.** მოსახლეობის 80% კათოლიკეა. 1970 წელს ჩილეს კათოლიკურმა ეკლესიამ მიუღებლად ჩათვალა კაპიტალიზმი და უარი თქვა მის ხელთ არსებულ ყველა ფასიან ქაღალდზე, აგრეთვე, კუთვნილ მიწებსა და შემოსავლიან ობიექტებზე. ჩილეში კათოლიკური ეკლესიის გარდა, არსებობენ გავლენიანი პროტესტანტული ჯგუფები (მოსახლეობის 13%) და იუდაიზმის მიმდევრები.

## ეკონომიკა

ქვეყნის ეკონომიკის მთავარი დარგი სამთო მრეწველობაა. ჩილე მსოფლიოში პირველია სპილენძის მოპოვებითა და ექსპორტის მიხედვით. განვითარებულია, აგრეთვე, მეტალურგიული, ხის დამამუშავებელი და კვების მრეწველობები. სოფლის მეურნეობის დარგები, მათ შორის, მეთევზეობა, ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 7%-ს უზრუნველყოფს. განვითარებულია მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, ყურძენი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი. ჩილე ხილისა და თევზეულის ექსპორტის მიხედვით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორისაა.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი** 2011 წელს **281,4 მლრდ დოლარს** შეადგენდა, **მოსახლეობის ერთ სულზე** — **16,3 ათას დოლარს.**

**ვალუტა: ჩილეს პესო. 1 პესო = 0,0015 აშშ დოლარს.**

**ინტერნეტდომენი: Cl**

**სატელეფონო კოდი: +56**

**საათობრივი სარტყელი: GTM — 3**

## კულტურა

ჩილეს კულტურა ესპანური კულტურის ძლიერი გავლენით იქმნებოდა. ჩილეს ლიტერატურას მსოფლიოში სახელი გაუთქვა პოეტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლიტერატურის დარგში **პაბლო ნერუდამ,** აგრეთვე, **გაბრიელა მისტრალმა** (ნობელის პრემიის ლაურეატი) და **ისაბელ ალიენდემ**, რომელსაც მეტსახელად „გაბრიელ გარსია მარკესს კაბაში" ეძახიან.

**ღირსშესანიშნაობები.** ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ტბა ჩუნგარა, ვულკანი პარინაკოტა, ტატიოს გეოზერები, სან პედრო დე ატაკამა, გრანიტის კოშკები ტორეს დელ პეინი, აგრეთვე პატაგონია — ამერიკის კონტინენტის ყველაზე სამხრეთი რაიონი. სანტიაგოში — ამერიკის ხალხთა მუზეუმი, ისტორიული და სამხატვრო მუზეუმები. აღდგომის კუნძულზე — გიგანტური ქვის სტატუები.

## სამზარეულო

ჩილეს სამზარეულო ჩამოყალიბდა ესპანური სამზარეულოსა და ადგილობრივი ხალხების კერძების რეცეპტების შერწყმით. ჩილელები კერძების დასამზადებლად ძირითადად იყენებენ თევზეულს, მოლუსკებს, კრევეტებს. აგრეთვე, ცხვრისა და ძროხის ხორცს. ქათმის ხორცს კი მეორეხარისხოვან პროდუქტად მიიჩნევენ. ჩილელები სადილსა და ვახშამზე აუცილებლად მიირთმევენ ღვინოს. ჩილე ღვინის ექსპორტის მიხედვით, მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს შორისაა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

### ემპანადა

**ეს არის გამომცხვარი ღვეზელი, რომლის შიგთავსს ამზადებენ ხორცისგან, ყველისგან, ხილისგან ან ბოსტნეულისგან, შემდეგ კი ცომში ახვევენ და აცხობენ. როგორც წესი, ემპანადას ხელით მიირთმევენ და წითელ ღვინოს აყოლებენ.**



**ინგრედიენტები:**

* ძროხის ხორცი (მოხარშული) — 700 გრ.
* ძროხის ხორცის ბულიონი — 200 გრ
* ხორბლის ფქვილი — 50 გრ
* კარაქი — 80 გრ
* ზეთისხილი — 50 გრ.
* კვერცხი (მაგრად მოხარშული) — 2 ც
* შაქარი — 1,5 ჩ/კ
* ხახვი — 1 თავი
* მარილი — გემოვნების მიხედვით
* პილპილი — გემოვნების მიხედვით
* კვერცხის გული — 1

ცომისათვის:

* ხორბლის ფქვილი — 1 კგ
* კარაქი — 250 გრ
* რძე — 150 მლ
* კვერცხი — 2

**მომზადება:**

1. მოამზადეთ შიგთავსი. ხორცი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში ან ძალიან წვრილად დაკეპეთ დანით. ზეთისხილი და მოხარშული კვერცხი წვრილად დაჭერით. ხახვი დაჭერით და კარაქის ნახევარში მოხრაკეთ 5 წთ-ის განმავლობაში.

2. საშუალო ზომის ქვაბში გააცხელეთ დარჩენილი კარაქი, დაუმატეთ ფქვილი და აურიეთ, შემდეგ ამ მასას დაუმატეთ ბულიონი და ნელ ცეცხლზე გამუდმებით ურიეთ, ვიდრე არ გასქელდება.

3. ქვაბში ჩაყარეთ მოხრაკული ხახვი, ძროხის ხორცის ფარში, ზეთისხილი და კვერცხი. დაუმატეთ მარილი, პილპილი, შაქარი და აურიეთ. შემდეგ ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით და გააციეთ.

4. მოამზადეთ ცომი. ფქვილს მოაყარეთ მარილი, მოასხით გამდნარი კარაქი, რძე და ორი კვერცხი, კარგად მოზილეთ.

5. ცომი თხელ ფენად გააბრტყელეთ და მასზე დაახლოებით 12 სანტიმეტრიანი წრეები ამოჭერით. ცომის თითოეულ წრეში ჩადეთ 1 სუფრის კოვზის ოდენობის შიგთავსი.

6. ცომის წრეები ორად მოკეცეთ და კიდეები დაუხურეთ. წაუსვით 1 ს/კ წყალში გახსნილი კვერცხის გული და გადაიტანეთ კარაქიან დიდ ტაფაზე.

გამოცხვება 25-30 წუთის განმავლობაში.

**ერთტონიანი მასების შეჯახებისას, 30 კმ/სთ სიჩქარითაც კი, თუ უსაფრთხოების ქამარი შეკრული არ გაქვთ, შეიძლება მძიმედ დაშავდეთ, განსაკუთრებით, თუ შეჯახება, პირდაპირი კი არა, გარკვეული კუთხით ხდება. ასეთ შემთხვევაში ინერციის ენერგია ადამიანს უბიძგებს არა წინ, არამედ სავარძლებს შორის სივრცეში ან ხელსაწყოების წინა პანელისკენ.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 8 მითი უსაფრთხოების ღვედზე



**ბევრი თვლის, რომ ადამიანი, რომელსაც შეკრული აქვს უსაფრთხოების ღვედი, დისკომფორტს განიცდის; ზოგს აშინებს, რომ უბედური შემთხვევის მომენტში, როდესაც ავტომობილი წყალში იძირება ან იწვის, უსაფრთხოების ღვედმა შეიძლება ავტომობილიდან გამოსვლისას დააბრკოლოს; ზოგი თავს უფლებას აძლევს, არ შეიკრას ღვედი მოკლე მანძილზე მგზავრობისას ან დაბალი სიჩქარით მოძრაობისას. ამ თეზისებს ბევრი სუსტი მხარე აქვს.**

** აი 8 მითი უსაფრთხოების ღვედზე:**

**მითი №1. უსაფრთხოების ღვედი მოუხერხებელია**

**უარყოფა:**

თუ ღვედის შეკვრის ჩვეულება ადამიანს ბავშვობიდანვე აქვს ჩანერგილი, ის იმ შემთხვევაში, როდესაც ღვედი არ აქვს შეკრული, დისკომფორტს განიცდის.

**მითი №2. მძღოლებს, რომელთა ავტომობილებიც აღჭურვილია უსაფრთხოების საჰაერო ბალიშებით (აირბაგები), ღვედი არ სჭირდებათ.**

**უარყოფა:**

ეს მცდარი თვალსაზრისია, რომელიც განპირობებულია დაბალი ტექნიკური განათლებით. ავტოავარიების 50%-ში საჭიროა, ერთდროულად ამუშავდეს უსაფრთხოების საჰაერო ბალიშები და ღვედები. საჰაერო ბალიშის ამუშავებისას ღვედი იჭერს ადამიანს და ბალიშის შემხვედრ დარტყმას ასუსტებს.

**მითი №3. უსაფრთხოების ღვედმა შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანის გადმოსვლას ავტომობილიდან, რომელიც წყალში იძირება ან რომელსაც ცეცხლი უკიდია.**

**უარყოფა:**

ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათია. 1000-დან 999 — ეს ის შემთხვევებია, როდესაც უსაფრთხოების ღვედმა ან საჰაერო ბალიშმა ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

**მითი №4. სჯობს, ავარიის მომენტში ავტომობილიდან გადმოვარდე.**

**უარყოფა:**

სინამდვილეში ავტომობილიდან გადმოვარდნილ მძღოლს ან მგზავრს 100-დან 1 შანსი აქვს, ცოცხალი გადარჩეს, ლაპარაკი აღარ არის ჯანმრთელობის დაზიანებაზე.



**მითი №5. უსაფრთხოების ღვედი შეიძლება ტრავმის მიზეზი შეიქნას**

**უარყოფა:**

ღვედი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ტიპის ტრავმის მიზეზი — ეს არის ხერხემლის ტრამვა კისრის არეში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მკვეთრმა დამუხრუჭებამ. ასეთ შემთხვევაში სხეული ინერციით მიდის წინ. თუმცა იმ ტრამვებთან შედარებით, რომლებიც შეიძლება მიიღოს ადამიანმა ავტოავარიისას, უსაფრთხოების ღვედით გამოწვეული ტრამვა გაცილებით მსუბუქია.

**მითი №6. უსაფრთხოების ღვედები საჭირო არ არის, როდესაც ავტომობილი დაბალი სიჩქარით მოძრაობს.**

**უარყოფა:**

ერთტონიანი მასების შეჯახებისას, 30 კმ/სთ სიჩქარითაც კი, თუ უსაფრთხოების ქამარი შეკრული არ გაქვთ, შეიძლება, მძიმედ დაშავდეთ, განსაკუთრებით, თუ შეჯახება, პირდაპირი კი არა, გარკვეული კუთხით ხდება. ასეთ შემთხვევაში ინერციის ენერგია ადამიანს უბიძგებს არა წინ, არამედ სავარძლებს შორის სივრცეში ან ხელსაწყოების წინა პანელისკენ.

**მითი №7. უსაფრთხოების ღვედები მოკლე მანძილზე მგზავრობისას საჭირო არ არის**

**უარყოფა:**

გზის ნებისმიერ მონაკვეთზე მოძრაობას შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი ავტოსაგზაო შემთხვევა. ზოგჯერ ადამიანები ავარიაში მოყოლილან სტარტიდან 10 მ-ის გავლის შემდეგ.

**მითი №8. უკანა სავარძელზე ჯდომისას უსაფრთხოების ღვედის გამოყენება საჭირო არ არის**

**უარყოფა:**

პირდაპირი შეჯახებისას ტრავმირების რისკი უკანა სავარძელში მჯდომს უფრო მაღალი აქვს. თანამედროვე ავტომობილებს უკანა სავარძლებზეც აქვს უსაფრთხოების ღვედები.

# როგორ უნდა წარმართოთ საუბარი ადამიანთან, რომელიც გაღიზიანებთ

ფსიქოლოგის რჩევები

**თითოეულ ჩვენგანს უწევს ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც აუტანელნი არიან. ის შეიძლება იყოს თავხედი, კატეგორიულად მომთხოვნი, ცინიკოსი, ფარისეველი ან უშნოდ ოხუნჯი. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავებიან და განსხვავებულ სამყაროსთან კონტაქტს თავიდან ვერ ავიცილებთ. მნიშვნელოვანია, რა ვითარებაში გაქვთ ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც საშინლად გაღიზიანებთ — სამსახურში, ტრანსპორტში თუ წვეულებაზე. თუ ფსიქოლოგთა ქვემომოყვანილ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, წონასწორობას ვერავინ დაგაკარგვინებთ და ძალდაუტანებლად ისაუბრებთ ნებისმიერ ადამიანთან.**



**1. გამოიყენეთ პაუზის ძალა**

როგორც კი რაღაც შეგაკრთობთ საუბრისას, **ღრმად ჩაისუნთქეთ.** მნიშვნელობა არ აქვს, რა მოისმინეთ — სულელური ხუმრობა, შეურაცხყოფა თუ არაობიექტური რეპლიკა. თქვენი პირველი ნეგატიური რეაქცია დაძაბულობას შეიტანს საუბარში. და თუ ეს თანამშრომელია, რომელთანაც აუცილებელია სამომავლო გეგმების ან გადაუდებელი საქმიანი საკითხის განხილვა, ჩაისუნთქე და ნაბიჯი უკან გადადგი. სჯობს, ისეთი გამომეტყველება მიიღოთ, თითქოს არაფერი გაგიგონიათ. იგნორირება დიდი ხელოვნებაა, რომელიც მოგცემთ საშუალებას, საუბარი თქვენთვის საჭირო კალაპოტში გადაიყვანოთ. პაუზის შემდეგ განაგრძეთ ძალდაუტანებელი საუბარი.

**2. წინასწარი უარყოფითი პოზიციის გარეშე**

ადამიანი, რომელიც არ მოგწონთ, შეიძლება, ბევრს უყვარდეს. მას, ალბათ, ჰყავს საყვარელი ადამიანი, შვილი, მეგობარი... ანუ არიან ადამიანები, რომლებსაც ის უყვართ. თითოეულ ჩვენგანში ხომ უარყოფითიც არის და დადებითიც. თუ თანამოსაუბრეში წინასწარ დაიწყებთ უარყოფითი შტრიხების ძებნას, კარგი არაფერი გამოგივათ. დაიმახსოვრეთ: ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რისი დანახვაც გვინდა. **წინასწარვე ნუ დაიკავებთ უარყოფით პოზიციას და თქვენ ნებისმიერთან შეძლებთ მოლაპარაკებას.**

**3. „რა მოხდება, თუკი...“**

დაიწყეთ ნებისმიერი საკითხის განხილვა ამ სიტყვებით და გაოცდებით, როგორ შეიცვლება გარშემო მყოფთა თვალსაზრისი.

როდესაც **ვარაუდს** სთავაზობთ, ნებისმიერ საკითხზე შეიძლება სერიოზული მსჯელობა. ეს ჯადოსნური სიტყვები დაგეხმარებათ კომპრომისული გადაწყვეტილების პოვნაში. ხშირად გამოიყენეთ ეს სიტყვები.

**4. შექმენი ხელშეუხებელი პირადი სამყარო**

როგორც კი შენიშნავთ, რომ ადამიანი დასაშვების ზღვარს სცდება, გაემიჯნეთ მას. თქვენ გარშემო წარმოიდგინეთ მანათობელი ველი — თავისებური ენერგეტიკული ფარი. ეს თქვენ ბალანსის დაცვაში დაგეხმარებათ, თუნდაც თანამოსაუბრე თქვენთვის ენერგიის წართმევას ცდილობდეს.

**5. გააკონტროლე თავი და გაათვითცნობიერე ვითარება**

ყოველთვის გაქვთ უფლება, გააწყვეტინოთ თანამოსაუბრეს, რომელიც თავს ბევრის უფლებას აძლევს. უთხარით მას, რომ არ გსურთ შემოთავაზებულ თემაზე საუბარი, თუკი ეს თემა თქვენთვის ძალიან პირადულია. არის კიდევ ერთი ხერხი — ყველაფერი ისე მიიღეთ, თითქოს ხუმრობაა. იუმორთან ჭიდილი უაზრობაა. პოლიტიკა და რელიგია — ეს ის თემებია, რომლებიც სასწრაფოდ უნდა დახუროთ.

**6. მიეცი მეორე შანსი**

თუკი ადამიანმა თქვენზე რაღაც არაკორექტული თქვა, უნდა ჰკითხოთ: „რაო-რაო, რაღაც ვერ გავიგე?!“. ამრიგად, თქვენ თანამოსაუბრეს მისცემთ შანსს, გამოერკვეს და მდგომარეობა გამოასწოროს. არის სხვა მეთოდიც: ნებისმიერი ფრაზა განმარტოთ სრულიად სხვანაირად, თქვენს სასარგებლოდ, ოღონდ უარყოფითი აზრის გარეშე. ეს ყველაზე არ იმოქმედებს, მაგრამ ზოგიერთთან ურთიერთობაში დაგეხმარებათ.

**თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, გახდებით დიპლომატი, რომელსაც შეუძლია, თანამოსაუბრის ყურადღება მიაპყროს მის ნაკლოვანებებზე. ეს რთულია, მაგრამ ასეთი უნარი საშუალებას მოგცემთ, მშვიდად, აუღელვებლად ისაუბროთ ნებისმიერთან.**

**გაუფრთხილდით თქვენს ნერვებს!**

# ერიდეთ სახიფათო ტოქსინს!

**სიცხეში ავტომობილი, რომელიც ჩრდილში აწეული მინებით დგას, დღის განმავლობაში სალონში გამოყოფს 400-დან 800 მგ-მდე ბენზოლს. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი გაჩერებულია მზეში, ბენზოლის დონე სალონში 2000-დან 4000 მგ-მდე აღწევს, რაც დასაშვებზე 40-ჯერ მაღალია!**

ბენზოლი არის სახიფათო ტოქსინი, რომელიც სასუნთქი გზების საშუალებით




გადადის სისხლში და აზიანებს თირკმლებს, შლის ძვლებს, ვნებს ღვიძლსა და სხვა ორგანოებს, იწვევს კიბოს! ეს ნივთიერება დიდი ხნის განმავლობაში რჩება ადამიანის ორგანიზმში.

ინსტრუქციაში, რომელიც ახალ ავტომობილებს მოჰყვება, წერია, რომ ავტომობილში ჩაჯდომისა და კონდინციონერის ჩართვის შემდეგ ფანჯრები 2 წუთით უნდა დატოვოთ ღია, მაგრამ რატომ? – ამას ავტომობილების არც ერთი მწარმოებელი არ აღნიშნავს, რადგან ინფორმაციამ შეიძლება რეპუტაცია შეულახოს.

დადგენილია, რომ კონდინციონერი, ვიდრე დაიწყებს ჰაერის გაცივებას, გამოყოფს ცხელ ჰაერს, რომელიც შეიცავს სახიფათო ტოქსინ ბენზოლს (გამოირჩევა გაცხელებული პლასტმასის სპეციფიკური სუნით, რომელსაც კონდინციონერის ჩართვისთანავე იგრძნობთ), ამიტომ, ვიდრე სუნი არ გავა, ფანჯრის მინები არ ასწიოთ.

**წყარო:**
**Premium Autoparts**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ პერიოდში ადამიანებისთვის რთული იქნება თავიანთი პოზიციების დაცვა, შესაბამისად, პრობლემები გაჩნდება ურთიერთობებში. წარმატებას მიაღწევენ ადამიანები, რომლებიც დასახული მიზნისკენ მეთოდურად ივლიან. სასიკეთო პერიოდია ლომისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**5 – 11 აგვისტო ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

თქვენმა შეუპოვრობამ, შესაძლოა, საპასუხო რეაქცია გამოიწვიოს და კონფლიქტში აღმოჩნდეთ, ამიტომ გაითვალისწინეთ ახლობელი ადამიანების რჩევები და კომპრომისული გადაწყვეტილებები მიიღეთ.

ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი შრომა დაგჭირდებათ.

მარტოხელა ვერძებმა, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც ოჯახის შექმნაზე დაფიქრდებიან.

მოერიდეთ მზის მწველ სხივებს და გაუფრთხილდით გულს.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 10 აგვისტო.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

ამ პერიოდში შეძლებთ თქვენი პოტენციალის სრულად გამოვლენას. დასახავთ გეგმებს, რომლებიც წარმატებას მოგიტანთ ახლო მომავალში. შეძლებთ ყველა საფინანსო საკითხის მოგვარებას და ეს თქვენს ბიუჯეტსაც დაეტყობა. არ არის გამორიცხული დამატებითი შემოსავლებიც.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული იქნება, თუკი მას მეტისმეტი მოთხოვნებით არ შეაწუხებთ.

თუ კუჭის რომელიმე ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან.

**დადებითი დღე: 11 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 6 აგვისტო.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

თუ დარწმუნებული არ იქნებით, რომ თქვენი გადაწყვეტილება სწორია, საქმეს ნუ წამოიწყებთ. შეეცადეთ, იპოვოთ ოქროს შუალედი თქვენს სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის და სამომავლო გეგმებზე რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოთ.

ამ პერიოდში მარტოხელა ტყუპებს რომანტიკული თავგადასავალი ელით, რაც შეიძლება ქორწინებით დასრულდეს.

თავი აარიდეთ დაძაბულ, სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 7 აგვისტო.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

გაგიჩნდებათ დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, მაგრამ, თუ შეუპოვრად არ იმოქმედებთ და გულმოდგინედ არ იშრომებთ, არაფერი გამოგივათ.

ხელშეკრულების გაფორმებისას ყველა დეტალი ყურადღებით გააანალიზეთ, რადგან, შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ.

ამ პერიოდში მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკული პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 10 აგვისტო.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

ამ პერიოდში ოჯახის ბიუჯეტის განაწილებით იქნებით დაკავებული. შესაძლოა, მოგიწიოთ მემკვიდრეობის საკითხის გადაჭრაც. რთულ ვითარებაში რჩევისათვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

კარგი იქნება, თუ დაოჯახებული ლომები შვებულებას მეუღლესთან ერთად გაატარებენ. ეს მათ ურთიერთობას კიდევ უფრო განამტკიცებს.

თუ იგრძნობთ, რომ გადაიღალეთ და ამის გამო გაღიზიანებული ხართ, გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად ჩაიტარეთ წყლის პროცედურები და ისუნთქეთ პიტნის ან ლავანდის არომატი.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 7 აგვისტო.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთი მოვლენების ეპიცენტრში, რომელთა შედეგიც თქვენთვის უცნობი იქნება. თუ ინტუიციას მიენდობით ან ყველაფერს კარგად აწონ-დაწონით, შემდეგ კი სწორი მიმართულებით იმოქმედებთ, წარმატება არ დააყოვნებს. ფული ეკონომიურად ხარჯეთ და თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებს.

თუ ემოციებს არ მოთოკავთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. შეეცადეთ, პრობლემური საკითხები ერთობლივად მოაგვაროთ.

მოერიდეთ ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას. მაღალია მენჯ-ბარძაყის სისტემის ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

მოზღვავებული ენერგია საჭირო კალაპოტისკენ რომ მიმართოთ, ყურადღების კონცენტრაცია უნდა შეძლოთ. თუ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოთ.

წარმატებას მიაღწევენ შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული სასწორები — მხატვრები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ეჭვიანობამ შეიძლება მწვავე კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებით მუშაობისას.

**დადებითი დღე: 9 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

მოგიწევთ ბევრი შრომა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მაგრამ ამით საფუძველს ჩაუყრით სამომავლო წარმატებებს.

შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს ადამიანმა, რომელსაც დიდი ხანია, იცნობთ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გაქვთ, ეს კარგი პერიოდია შესარიგებლად, თუმცა ამისთვის გულწრფელი მონანიება დაგჭირდებათ.

დაიცავით კვების რეჟიმი — შეეცადეთ, უარი თქვათ ხორცზე და მიიღოთ მეტი ხილი და ბოსტნეული.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 10 აგვისტო.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ახლობლებისა და კოლეგების გაკრიტიკება, მათთვის შენიშვნებისა და მითითებების მიცემა ცუდად შეიძლება დასრულდეს. იმპულსური გადაწყვეტილებები და საქციელი, დაუკვირვებლად ნათქვამი კონფლიქტს გამოიწვევს და ახლობელმა ადამიანმა შეიძლება მეტად საჭირო მომენტში მიგატოვოთ. არ არის გამორიცხული, ფინანსურადაც იზარალოთ. ამიტომ მოთოკეთ ემოციები და ადამიანებთან კონსტრუქციულად ითანამშრომლეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

დაიცავით კვების რეჟიმი — შეზღუდეთ ცხიმიანი საკვები და ამით ჭარბი წონისგან განთავისუფლდებით.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

შესაძლოა, აღმოჩნდეთ რთულ მდგომარეობაში, რომელიც თქვენ მიმართ გარშემო მყოფთა არასასიკეთო დამოკიდებულებით იქნება გამოწვეული. შექმნილი ვითარების გასანეიტრალებლად მეტი შეუპოვრობა გმართებთ. თუ გაბედულად დაიცავთ პოზიციებს, დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ.

შესაძლოა, მარტოხელა თხის რქები შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ.

გაუფრთხილდით კანს — ფრთხილად შეარჩიეთ კოსმეტიკური საშუალებები.

**დადებითი დღე: 10 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 7 აგვისტო.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

მერწყული

მოგიწევთ მზის ქვეშ საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლა — ეს კი იოლი საქმე არ იქნება. იაქტიურეთ, შეუპოვრად იმოქმედეთ და წარმატება არ დააყოვნებს. განხორციელება იდეებისა, რომლებიც ამ პერიოდში გაგიჩნდებათ, სამომავლოდ არ გადადოთ.

საყვარელი ადამიანის მიმართ ეჭვიანობამ, შესაძლოა, მწვავე კონფლიქტებამდე ან, სულაც, დაშორებამდე მიგიყვანოთ. სჯობს, მასთან გულწრფელად ისაუბროთ პრობლემებზე.

ამ პერიოდში მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 10 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 6 აგვისტო.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

მოგიწევთ ბალანსის დაცვა სულიერ მოთხოვნებსა და მატერიალურ ფასეულობებს შორის.

თუ ცვლილებები გსურთ, გულზე ხელდაკრეფილი ნუ დაჯდებით, მაგრამ შესაძლოა, იდეების განხორციელებაში ხელი მეტისმეტმა თავდაჯერებულობამ შეგიშალოთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან წარმოქმნილი უთანხმოების მოსაგვარებლად. გულწრფელად დაელაპარაკეთ მას თქვენს გრძნობებზე და შეეცადეთ, მისი შენიშვნებიც გაითვალისწინოთ.

შეზღუდეთ ალკოჰოლური სასმელის მიღება და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 10 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 6 აგვისტო.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. ჭამის მოთხოვნილება
2. ერთგვარი სუნელი
3. ირანის დედაქალაქი
4. გამოცანა ნახატებით
5. ცხენის ჩლიქის დასაცავი საშუალება
6. ფეხბურთელი ... ბალოტელი
7. მსახიობი ... უილიამსი
8. ფსიქიკური აშლილობა
9. ცხოველების ჯგუფი
10. მოკრივე მუჰამედ ...
11. სადიზმით შეპყრობილი ადამიანი
12. შიიზმის მიმდევარი მუსლიმანი
13. ქალაქი რუსეთში
14. პატარა ძაღლი, გოშია
15. ბამბით გამოტენილი ცხოველის ტყავი
16. წვრილად დაჭრილი შემწვარი კარტოფილი
17. რაიმე საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები
18. თეატრალური კოლექტივი
19. იგივეა, რაც კოპიტი
20. რაიონი რაჭაში
21. კუს ზურგის რქოვანი ფარი
22. მ. ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟი
23. ზღვის მონითალო ფერის ძვირფასი ქვა
24. ტანსაცმელზე დაკერებული დაწნული ზონარი
25. მსახიობი ... ხასი
26. ერთხმიანი ნაწარმოები
27. მაწვნის მსგავსი პროდუქტი
28. ეგვიპტის დედაქალაქი
29. წითელი ყვავილი
30. [illegible] სამედიცინო დაწესებულებებში
31. გამრთობი მსახიობი ქალი იაპონიაში
32. სასროლეთი თბილისთან ახლოს
33. სარძევე ჯირკვლის ანთება
34. წყლიანი ადგილი უდაბნოში
35. მინერალური წყალი
36. კედელში გამოკვეთილი ადგილი სურათისთვის
37. ჩინური კომუნიზმის ფუძემდებელი ... ძედუნი
38. მუს. ნოტი
39. რელიგიური დღესასწაული
40. იგივეა, რაც სოია
41. მწერალი ... მორჩილაძე
42. ჩრ. კორეის ყოფილი ლიდერი კიმ .. სენი
43. ღვთის სადიდებელი სიტყვა
44. ჩვენებითი ნაცვალსახელი
45. ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები ქსოვილზე
46. ქუნჯუტის თესლი
47. მომღერალი დაიანა ...
48. მეტყველების ორგანო
49. ლევან გოთუას „გმირთა ...“
50. ... ჭავჭავაძე
51. ბერძნულ მითოლოგიაში — დედალოსის შვილი
52. ან.ფ. „... დამაცადე“
53. ისტორიული მესხეთის ნაწილი
54. ციხე პარიზში
55. ბავშვების აღმზრდელი ქალი
56. ერთგვარი კითხვარი
57. საზეიმო ნაწარმოები
58. სამსიმიანი საკრავის მესამე სიმი
59. სამკითხაო კარტი
60. რეგიონი ჰიმალაის მთებში





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | | | | |
| 5 | 1 | | | 9 | | 8 | 6 | |
| | 8 | | 7 | | | | 4 | 3 |
| | | 1 | 5 | | | | 7 | |
| | | 8 | | 3 | | 6 | | |
| | 7 | | | | 6 | 3 | | |
| 3 | 5 | | | | 9 | | 2 | |
| | 6 | 9 | | 2 | | | 3 | 5 |
| | | | | 1 | | | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | 1 | | | | |
| | | | | | 5 | 4 | | 6 |
| | | 8 | | 3 | | | 9 | |
| 5 | | | | | 1 | | 6 | 2 |
| 9 | | | | 8 | | | | 1 |
| 7 | 6 | | 4 | | | | | 9 |
| | 2 | | | 5 | | 6 | | |
| 3 | | 5 | 2 | | | | | |
| | | | | 4 | 7 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | | | 3 | |
| | | 5 | 4 | | | | 9 | |
| | | | | | 3 | | | 7 |
| 8 | | 6 | 5 | | | 3 | 7 | |
| | 5 | | | 9 | | | 2 | |
| | 1 | 9 | | | 7 | 8 | | 4 |
| 1 | | | 8 | | | | | |
| | 4 | | | | 1 | 9 | | |
| | 8 | | | | | | | 3 |



# ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲣᲢᲘᲜᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡ

**მილიარდერმა დონალდ ტრამპმა — აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მოაგვარებს ურთიერთობას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან.**

„ვფიქრობ, შევძლებ პუტინთან ურთიერთობის მოგვარებას, ის ვერ იტანს ობამას, ობამა — მას, ამერიკასა და რუსეთს შორის წარმოუდგენლად ცუდი ურთიერთობაა“.

მილიარდერმა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნაში დაადანაშაულა ჰილარი კლინტონი, რომელიც 2009-2013 წლებში სახელმწიფო მდივნის პოსტს იკავებდა და ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატია რესპუბლიკური პარტიიდან.



## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲭᲐᲛᲐ 3 ᲙᲘᲚᲝ ᲙᲐᲘᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ

**პრემიერმინიტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მიერ ვერტმფრენ „სუპერ პუმას“ შეძენის საკითხს მაღალმთიანი აჭარიდან გამოეხმაურა.**

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა შუამთობის დღესასწაულზე დასწრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მან იცის, რომ აჭარაში ტრადიციულ კერძს — კაიმაღს ამზადებენ. პრემიერმა გაიხსენა, რომ შუამთობის დღესასწაულზე მიხეილ სააკაშვილმა 3 კილო კაიმალი ჭამა, ცუდად გახდა და ვერტმფრენის დასმა შუახევში გახდა აუცილებელი.

„მითხრეს, რომ აქ 200 კილო ტრადიციულ კერძს, კაიმაღს ამზადებენ. სხვათა შორის, ერთი ისტორია გამახსენდა, როდესაც 3 წლის წინათ აქ სააკაშვილი იყო ჩამოსული, ჭამა 3 კილო კაიმაღი. აქედან გაფრინდა ბორჯომში, გახდა ცუდად და მოუწიათ, შუახევში დაესვათ ვერტმფრენი. შემდეგ დაიწყო ჩხუბი, — რატომ არ არის ვერტმფრენში ტუალეტიო და აქედან გაჩნდა „სუპერ პუმას“ შეძენის იდეა. ამიტომ გადაიხადა მან 40 მილიონი ევრო იმის გამო, რომ კომფორტულად ემგზავრა და კომფორტულად ეჭამა კაიმაღი. ეს ნახევრად ხუმრობით“, — აღნიშნა პრემიერმინისტრმა.



# ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲛᲐ 11 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲭᲠᲐ

**ნიუ იორკის ბრუკლინის რაიონში უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 11 ადამიანი დაჭრა და მიიმალა.** ადგილობრივი ინტერნეტპორტალის ინფორმაციით, ერთ-ერთ წვეულებაზე უცნობმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ატეხა სროლა, რის შემდეგაც მიიმალა. უცნობია ინციდენტის სხვა დეტალები. პოლიცია დამნაშავის ძებნის ოპერაციას ატარებს.

# ᲥᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნება საქართველოს ეროვნული გმირის — ჟიული შარტავას სახელობის დოქტორანტურა. „საქართველო და მსოფლიოს“ ეს აცნობა ბატონმა ბაკურ გულუამ, რომელიც ამ საქმის საორგანიზაციო ჯგუფში არის მიწვეული.**

რამდენად სერიოზულია ეს გადაწყვეტილება, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ინიციატორთა შორის არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი და სხვა თვალსაჩინო მეცნიერები.

— ამ მამულიშვილური იდეის მატერიალიზაციის საკითხი დღის წესრიგში დადგა, უპირველეს ყოვლისა, იმ ვაკუუმის გამო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კადრების მომზადების სისტემაში შეიქმნა. პოლიტიკური კადრები, რომლებიც ასე აუცილებელია სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობისთვის, არსად მზადდება, მით უფრო, სამეცნიერო ხარისხებით აღჭურვილი, გამოცდილი და კომპეტენტური, — განაცხადა ბატონმა ბაკურ გულუამ.

უნდა დავეთანხმოთ, რადგან ვითარების ლოგიკა და მიმდინარე პროცესები გვიკარნახებს, რომ საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი, მუნიციპალური თუ ცენტრალური ხელისუფლების დონეებზე დასაქმებული უნდა იყვნენ სპეციალური განათლება მიღებული პროფესიონალები და არა შემთხვევითი ადამიანები, რისი მოწმენიც, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ვართ.

ჟიული შარტავას სახელობის დოქტორანტურა ამ პრობლემის გადასაწყვეტად არის მოწოდებული.



## სერგეი ლავროვი:

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲣᲬᲔᲕᲡ

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ყატარში ვიზიტისას განაცხადა, რომ მოსკოვი სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სირიისა და ერაყის მოქმედ მთავრობებს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.**

„ჩვენ გავუწევთ სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას სირიის მთავრობას, რათა მათ ეს საფრთხე დაძლიონ. მხარდაჭერას ვთავაზობთ ერაყსაც,“ — განაცხადა ლავროვმა.

რაც შეეხება ბარაკ ობამას გადაწყვეტილებას, სირიის ოპოზიციური ძალების მხარდასაჭერად სამხედრო ავიაციის გამოყენებაზე, რუსეთის პირველმა დიპლომატმა კონტრპროდუქტიული უწოდა. ლავროვის თქმით, ეს გადაწყვეტილება არღვევს საერთაშორისო სამართალს და ხელს უშლის ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ფრონტის შექმნას. ამჟამად ახლო აღმოსავლეთში მთავარი საფრთხე „ისლამური სახელმწიფოა“.

# ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲛᲔᲑᲐᲟᲔᲔᲑᲛᲐ ᲞᲐᲑᲚᲝ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲡ ᲛᲘᲐᲙᲕᲚᲘᲔᲡ

**ფრანგმა მებაჟეებმა 27 მილიონ დოლარად შეფასებული პაბლო პიკასოს ნახატი იპოვეს. „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული შედევრია.**



პიკასოს ქმნილება კორსიკის პორტში შესული გემის ბორტზე იყო. გემის კაპიტნის მტკიცებით, ნახატი, მისი მფლობელის თანხმობით, ესპანეთიდან შვეიცარიაში უნდა გადაეტანა, თუმცა მან თანხმობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. უფრო მეტიც, ნახატთან ერთად საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა იპოვეს ესპანეთის სასამართლოს გადაწყვეტილების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, პიკასოს შედევრის ქვეყნიდან გატანა აკრძალულია.

ნახატი ესპანელ ბანკირს — ჰაიმე ბოტენს ეკუთვნის. საფრანგეთის საბაჟო სამსახური ოფიციალური მადრიდისგან ნახატის უკან დაბრუნების შესახებ პასუხს ელოდება.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ თამაზ ცერცვაძეს სიდედრის**

**ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ**

**გარდაცვალების გამო**

**პანაშვიდი: 5 აგვისტოს.**
**დაკრძალვა: 6 აგვისტოს, 14 საათზე.**
**მისამართი: ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ჭანჭათი**

# 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲖᲔ: ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ; ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ; ᲐᲚ ᲞᲐᲩᲘᲜᲝ. 1. ᲛᲐᲓᲐ; 2. ᲘᲚᲘ; 3. ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ; 4. ᲠᲔᲑᲣᲡᲘ; 5. ᲜᲐᲚᲘ; 6. ᲛᲐᲠᲘᲝ; 7. ᲠᲝᲑᲘᲜ; 8. ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ; 9. ᲯᲝᲒᲘ; 10. ᲐᲚᲘ; 11. ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲘ; 12. ᲨᲘᲘᲢᲘ; 13. ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ; 14. ᲤᲘᲜᲘᲐ; 15. ᲤᲘᲢᲣᲚᲘ; 16. ᲤᲠᲘ; 17. ᲓᲝᲡᲘᲔ; 18. ᲓᲐᲡᲘ; 19. ᲘᲤᲐᲜᲘ; 20. ᲝᲜᲘ; 21. ᲑᲐᲙᲐᲜᲘ; 22. ᲯᲐᲧᲝ; 23. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘ; 24. ᲛᲐᲙᲠᲐᲛᲔ; 25. ᲝᲚᲘᲕᲘᲐ; 26. ᲐᲠᲘᲐ; 27. ᲐᲘᲠᲐᲜᲘ; 28. ᲙᲐᲘᲠᲝ; 29. ᲧᲐᲧᲐᲩᲝ; 30. ᲛᲝᲠᲒᲘ; 31. ᲒᲔᲘᲨA; 32. ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘ; 33. ᲛᲐᲡᲢᲘᲢᲘ; 34. ᲝᲐᲖᲘᲡᲘ; 35. ᲚᲘᲙᲐᲜᲘ; 36. ᲞᲐᲜᲝ; 37. ᲛᲐᲝ; 38. ᲚᲐ; 39. ᲨᲝᲝᲑᲐ; 40. ᲫᲐᲫᲐ; 41. ᲐᲙᲐ; 42. ᲘᲠ; 43. ᲝᲡᲐᲜᲐ; 44. ᲘᲛ; 45. ᲞᲚᲘᲡᲔ; 46. ᲡᲔᲖᲐᲛᲘ; 47. ᲠᲝᲡᲘ; 48. ᲔᲜᲐ; 49. ᲕᲐᲠᲐᲛᲘ; 50. ᲘᲚᲘᲐ; 51. ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ; 52. ᲐᲑᲐ; 53. ᲢᲐᲝ; 54. ᲑᲐᲡᲢᲘᲚᲘᲐ; 55. ᲑᲝᲜᲐ; 56. ᲢᲔᲡᲢᲘ; 57. ᲙᲐᲜᲢᲐᲢᲐ; 58. ᲑᲐᲛᲘ; 59. ᲢᲐᲠᲝ; 60. ᲢᲘᲑᲔᲢᲘ.**

## ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 8 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 | 6 | 7 |
| 9 | 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 3 | 1 | 5 | 8 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 1 | 3 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 | 1 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 1 | 2 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 7 | 3 | 5 |
| 8 | 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 4 | 9 | 6 |

## ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 9 | 6 | 1 | 4 | 8 | 3 | 7 |
| 1 | 7 | 3 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 6 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 5 |
| 5 | 8 | 4 | 9 | 7 | 1 | 3 | 6 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 8 | 6 | 7 | 4 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 4 | 2 | 3 | 5 | 8 | 9 |
| 4 | 2 | 7 | 3 | 5 | 9 | 6 | 1 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 2 | 6 | 8 | 9 | 7 | 4 |
| 8 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 | 3 |

## ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 9 | 8 | 1 | 5 | 3 | 2 | 6 | 7 |
| 8 | 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 7 | 9 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 6 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 8 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 2 | 6 | 4 | 5 | 7 | 1 | 3 |


# ᲫᲕᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐ-ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ᲢᲔᲚ: 599-722-138; 247-58-83**
**ᲛᲘᲡ.: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №142, I ᲡᲐᲠᲗ.**
**ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ №6. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ**


ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894